საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№23 (447)
27 ივნისი – 3 ივლისი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru

## სტოლტენბერგი: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება
16

## პარლამენტი საზოგადოების ზურგს უკან მორიგი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის მიღებას ცდილობს
4



რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს, თანამედროვე „ლიბერალური“ გაგებით, ცნებები: თავისუფლება, თანასწორობა, შემწყნარებლობა და სოლიდარობა? რეალურად რა შინაარსი და საერთოდ, რა იდეოლოგია იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა? თავისუფლება რისგან? თანასწორობა ვისი და ვისი? შემწყნარებლობა და სოლიდარობა ვის ან რის მიმართ?

### დრო, როცა ევროლიბერალი ზონდერები ქართველთა ოჯახებს შვილების წასართმევად ჩამოუვლიან, არც ისე შორს არის

## ლიბერასტების გადამწყვეტი შეტევა დედაეკლესიაზე
7



### «ეს პროცესები მართლმადიდებლური სამყაროს გახლეჩისკენაა მიმართული და საქართველო მართლმადიდებლობის დამცველი უნდა იყოს»
6

**«როდესაც ეპისკოპოსები რამე პრინციპულ განცხადებას აკეთებენ, ეს მოსაზრება სჯულის კანონით უნდა იყოს გამყარებული და არა რაღაც უსუსური არგუმენტებით»**

„ზოგიერთმა ეპისკოპოსმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთი და იგივე არ არის“

## რატომ არის ყოველწლიურად გამოცდების შედეგები სამარცხვინო, სასკოლო განათლების დონე კი — კატასტროფული?
18



**არასწორი სასწავლო პროგრამა და სუსტი პედაგოგები — აი დღევანდელი განათლების სისტემა**

## პრემიერის პრემიერა

პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა „ვალიდან ვალამდე“ ცხოვრების მანკიერი წესი, როდესაც გაზრდილ ვალს მხოლოდ იმისთვის იღებენ, რომ წინა ვალი დაფარონ. აშკარაა, რომ დღევანდელი სიტუაცია პათოლოგიურია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიტუაციის მყისიერი გამოსწორების ჯადოსნური რეცეპტი არ არსებობს 3



## აგიტაცია-პროპაგანდამ კი არ მოიმატა, ბატონებო, ხალხი იწყებს გამოფხიზლებას!
5

დემოკრატიის ეტალონად გამოცხადებული ამერიკა პირდაპირ ამბობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მასში შემავალი ერების ინტერესებს ვერ იცავს

**რუსეთმა და საუდის არაბეთმა შეძლეს ყველა მონაწილე ქვეყანასთან საერთო ენის გამონახვა და ნავთობის ფასების განსაზღვრა მათ ხელში გადავიდა**



17

## ევროსაზიზღრობა ადამიანურობის ზღვარს ქვემოთ დაეშვა
20

თარიღი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# 77 წლის წინათ, 1941 წლის 22 ივნისს, დაიწყო დიდი სამამულო ომი

დასაწყისი...



ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი რიბენტროპი დიპლომატიურ კორპუსს აუწყებს საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების შესახებ. 1941 წლის 22 ივნისი

გაგრძელება...









და დასასრული



**ადრე მთავრობები, როგორც წესი, განიხილავდნენ პენსიის მატებას, როგორც ერთჯერად პოპულისტურ, უპირველესად, წინასაარჩევნო აქტს, ბახტაძე კი ალტერნატიულ ტაქტიკას იყენებს და სურს, ის პროცესად აქციოს (წელს მოვუმატებთ ამდენს, მომდევნო წელს — ამდენს და ა.შ.). სავარაუდოდ, ის აპირებს, დაარწმუნოს პენსიონერები, რომ ხელისუფლება მათ არ ივიწყებს და პენსიებს ყოველთვის ზრდის.**



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# პრემიერის პრემიერა

**საქართველოს ახალი მთავრობა ჰყავს და ყველამ იცის, რომ ის დროებითია. ეს პარადოქსული მდგომარეობა დაახლოებით ორ, დიდი-დიდი სამ კვირას გაგრძელდება — საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ მთავრობას შეცვლილი სტრუქტურით დაამტკიცებენ. უმჯობესი იქნება, ეს ერთობ უხერხული პაუზა იმ პრობლემების აღსაწერად გამოვიყენოთ, რომლებსაც მინისტრთა კაბინეტი ვერ გაექცევა.**

„დროებითი მთავრობის“ დამტკიცების აუცილებლობა იურიდიულმა კოლიზიამ გამოიწვია. სამინისტროების რაოდენობის შემცირება, უბრალოდ, ვერ მოესწრებოდა იმ ვადაში, რომელშიც ახალ პრემიერს მთავრობის შემადგენლობა უნდა წარედგინა. სამინისტროების რაოდენობა ადრეც არაერთგზის შეუმცირებიათ, მაგრამ ამას ბიუროკრატიის რიცხოვნობისა და, მით უმეტეს, მისი გავლენის შეზღუდვა არ მოჰყოლია. ერთი მეორეს ავტომატურად არ იწვევს, მეტიც — შეიძლება პირიქით გამოვიდეს.

„ახალ კაბინეტში აუცილებლად გვეყოლება ახალი სახეები“, — აცხადებს პრემიერი. **რაც შეეხება ამჟამად მინისტრების ჩანაცვლებას მოადგილეებით, ფინანსთა სამინისტროში ის ტექნიკურ ხასიათს ატარებს — ბახტაძე დაწინაურდა და მისი მოვალეობის შესრულება მოადგილეს დაეკისრა. ეკონომიკის სამინისტროში საქმე გაცილებით რთულადაა. საზოგადოებამ აღიქვა ის, რაც ივნისის შუა რიცხვებში მოხდა, უპირველესად, როგორც გიორგი კვირიკაშვილის დაცემა, და დიმიტრი ქუმსიშვილს ნაკლები ყურადღება მიაქცია, მიუხედავად იმისა, რომ ის ძველ პრემიერზე არანაკლებ და, სავარაუდოდ, უფრო მეტად გავლენიანი იყო, უბრალოდ, კულისებში მოქმედებდა და ავანსცენაზე იშვიათად ჩანდა. ზოგიერთი კომენტატორი მომხდარს აფასებს, როგორც კვირიკაშვილი-ქუმსიშვილის ტანდემის მარცხს, რაც პარადოქსულად სწორიცაა და არასწორიც.** წინაპირობა მათი ტაქტიკური ალიანსის შესაქმნელად დაახლოებით 7-8 თვის წინათ გაჩნდა, როდესაც ორივეს, წესით, საფრთხე უნდა ეგრძნო, მაგრამ იქამდე მათი გავლენის სფეროები მუდმივი „სასაზღვრო კონფლიქტის“ პირობებში არსებობდა, უპირველესად, იმიტომ, რომ ქუმსიშვილი საკუთარს საკმაოდ აქტიურად აფართოებდა.

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრს, ჯერჯერობით ვერც ერთმა კომენტატორმა ვერ შემოგვთავაზა დამაჯერებელი ვერსია, რატომ არ შეიძლებოდა, სხვა მინისტრების მსგავსად, **მიხეილ ჯანელიძე** თანამდებობაზე კიდევ ორი კვირის განმავლობაში დარჩენილიყო. კვირიკაშვილისა და ქუმსიშვილისგან განსხვავებით, მას სისტემის დესტაბილიზაცია ამ პერიოდში, ალბათ, მაინც არ შეეძლო.

**ერთადერთი კანდიდატი „დროებით მთავრობაში“, რომლის გარშემო გარკვეული დაძაბულობა შეიქმნა, თეა წულუკიანია. ნაციონალებს („მიშისტურ“ თუ „ევროქართულ“ შეფუთვაში — მნიშვნელობა არ აქვს) სურთ, რომ მან თანამდებობა დატოვოს, რადგან ის, პრაქტიკულად, ბოლო კადრია აღმასრულებელი ხელისუფლების ზედა ეშელონში, რომელიც მათ აქტიურად უპირისპირდება.** მარტივად რომ ვთქვათ, ნაციონალები წულუკიანს ვერ იტანენ. სიტუაციას ამძაფრებს ბრძოლა მთავარი პროკურორის პოსტისთვის, მაგრამ ეს მინისტრის ერთადერთი პრობლემა არ არის — 6 წლის განმავლობაში მას არაერთი შეცდომა დაუგროვდა, სწორედ მის სახელს უკავშირებენ სერიოზულ ხარვეზებს სასამართლოსა და პროკურატურის რეფორმირების პროცესში, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც საკითხი მისი პასუხისმგებლობის სფეროში არ შედის. ნეგატიური როლი მისთვის „ივნისის კრიზისმა“ შესრულა, როდესაც მისი გადადგომა არასამთავრობო ორგანიზაციების ნაწილმა და მომიტინგეებმა მოითხოვეს. ფართომასშტაბიანი რეფორმის გატარებისთვის აუცილებელი ნდობის კრედიტი მას, ალბათ, მაინც აღარ აქვს.

ამან ბიძინა ივანიშვილი რთული არჩევანის წინაშე დააყენა. **ჯერ ერთი, თუ ის ურჩევდა წულუკიანს, თანამდებობა დაეტოვებინა, გარკვეული „კომპენსატორული მექანიზმის“ ამოქმედება მოუწევდა** — სხვა, არანაკლებ საპატიო თანამდებობის შეთავაზება, ხელშეწყობა საქმიანობაში აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებს გარეთ და ა.შ. ნებისმიერ შემთხვევაში, მას დასჭირდებოდა რაღაც ნაბიჯის გადადგმა, რათა საზოგადოებას არ ეფიქრა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ წულუკიანი დათმო, დამარცხდა და ა.შ. **მეორე**, აგრეთვე, სავსებით ლეგიტიმური ვარიანტი — **წულუკიანის პოსტზე დატოვება ლოკალური, მაგრამ მუდმივი კრიზისის კერის გაჩენის ტოლფასი იქნებოდა**.

ახალი პრემიერმინისტრის ინიციატივებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეკომბუდსმენის პოსტის შემოღებაა. გარემოს დაცვის კუთხით ძალიან სერიოზული პრობლემებია. მაგალითად, **ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, თბილისში ჰაერის დაბინძურება ნორმას 300%-ით აჭარბებს.** ეს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცუდი მაჩვენებელია. მას შემდეგ, რაც გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო დაანაწევრეს და მისი „ეკოლოგიური ნაწილი“ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შეუერთეს, სპეციალისტები კონტროლის ისედაც მორყეული სისტემის სრულ მოშლაზე ალაპარაკდნენ და მათი არგუმენტები უცხოელმა პარტნიორებმაც გაიზიარეს. შესაძლოა, ეკომბუდსმენის დანიშვნა ამ პრობლემის ნაწილობრივი მოგვარების მცდელობაა.



მამუკა ბახტაძე

**პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა «ვალიდან ვალამდე» ცხოვრების მანკიერი წესი, როდესაც გაზრდილ ვალს მხოლოდ იმისთვის იღებენ, რათა წინა ვალი დაფარონ. აშკარაა, რომ დღევანდელი სიტუაცია პათოლოგიურია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიტუაციის მყისიერი გამოსწორების ჯადოსნური რეცეპტი არ არსებობს**

**პენსიების გაზრდა 20 ლარით 2019 წლიდან და კიდევ 20 ლარით 2020 წლიდან, ერთი მხრივ, აიძულებს მთავრობას, მუდამ ამტკიცოს, რომ მეტის გაკეთება არ შეეძლო, მაგრამ, მეორე მხრივ, შეიძლება ასაკოვანი ამომრჩევლების „დამუშავებაში“ დაეხმაროს. საქმე ისაა, რომ ადრე მთავრობები, როგორც წესი, განიხილავდნენ პენსიის მატებას, როგორც ერთჯერად პოპულისტურ, უპირველესად, წინასაარჩევნო აქტს, ბახტაძე კი ალტერნატიულ ტაქტიკას იყენებს და სურს, ის პროცესად აქციოს (წელს მოვუმატებთ ამდენს, მომდევნო წელს — ამდენს და ა.შ.). სავარაუდოდ, ის აპირებს, დაარწმუნოს პენსიონერები, რომ ხელისუფლება მათ არ ივიწყებს და პენსიებს მუდმივად ზრდის.**

ახალმა პრემიერმინისტრმა ზუსტად აღწერა მოსახლეობისთვის ძალზე აქტუალური **ჭარბვალიანობის პრობლემა** და თქვა, რომ ის 2007 წლის ცვლილებებიდან აღმოცენდა, როდესაც ეფექტურ განაკვეთზე ზედა ზღვარი მოიხსნა და შესაძლებელი გახდა 200-300-400-500-პროცენტიანი სესხების გაცემა. „დაახლოებით 630 000 ადამიანი არის დღეს ე.წ შავ სიაში და მოკლებულია შესაძლებლობას, განახორციელოს სრულფასოვანი ეკონომიკური ცხოვრება. ამ ადამიანებს შორის არიან მოქალაქეები, რომლებსაც აქვთ საინტერესო ბიზნესპროექტები; არიან მცირე მეწარმეები, მაგრამ ვერ ავითარებენ თავიანთ პოტენციალს, იქიდან გამომდინარე, რომ უპასუხისმგებლო დაკრედიტების სისტემამ გამოიწვია მათი ჩამოშორება ეკონომიკური ცხოვრებიდან“, — განაცხადა პრემიერმინისტრმა. პრობლემის გადაწყვეტა კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, თუმცა, უპირველესად, მოსახლეობა, ალბათ, სესხების გაცემის რეგულაციების გამკაცრებას იგრძნობს. **პრობლემა ისაა, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდა „ვალიდან ვალამდე“ ცხოვრების მანკიერი წესი, როდესაც გაზრდილ ვალს მხოლოდ იმისთვის იღებენ, რომ წინა ვალი დაფარონ. თუ ასიათასობით ადამიანი ახალი სესხების აღების შესაძლებლობას დაკარგავს, ამან შეიძლება სერიოზული კრიზისი წარმოქმნას და ხელი ზვავისებურ პაუპერიზაციას შეუწყოს. ერთი მხრივ, აშკარაა, რომ დღევანდელი სიტუაცია პათოლოგიურია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სიტუაციის მყისიერი გამოსწორების ჯადოსნური რეცეპტი არ არსებობს.**

მცირე და საშუალო ბიზნესი რამდენიმე ახალი ინიციატივით, პრინციპში, კმაყოფილი უნდა იყოს. „ერთ-ერთი პირველი რეფორმა, რომელიც უნდა განხორციელდეს, 2013 წლის 1 იანვრამდე არსებული საგასახადო დავალიანების ჩამოწერაა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც იძულებულნი იყვნენ, გაეჩერებინათ ფუნქციონირება ასეთი დავალიანების გამო“, — განაცხადა ბახტაძემ. მისი თქმით, წლის ბოლომდე დაინერგება საგადასახადო ზედმეტობის ავტომატური დაბრუნების სისტემა, ხოლო მომდევნო ორ წელიწადში კომპანიებს დაახლოებით 1,5 მილიარდი ლარი დაუბრუნდება. მან ასევე ისაუბრა დამატებით შეღავათებზე ადგილობრივი მეწარმეებისთვის — ყველაზე შთამბეჭდავი ამ მხრივ, იყო ადგილობრივი წარმოების რძისა და მედიკამენტების დღგ-ისგან გათავისუფლების ინიციატივა. მცირე მეწარმეებისთვის მთავარი, ალბათ, შემდეგი მონაკვეთი იყო: „1 ივლისიდან ამოქმედდება უპრეცედენტო, მცირე ბიზნესისთვის მეგობრული დაბეგვრის შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმი, რომელიც გულისხმობს მინიმალური საგადასახადო განაკვეთის დაწესებას მცირე მეწარმეებისთვის. **მცირე ბიზნესისთვის საშემოსავლო გადასახადის განაკვეთი შემცირდება ხუთჯერ — 5%-დან 1%-მდე. ასევე, ხუთჯერ გაიზრდება მცირე ბიზნესის ერთობლივი შემოსავლის შეზღუდვის ნორმა, 100 000 ლარიდან 500 000 ლარამდე**“.

ბიზნესმენებს შეიძლება მოეწონოთ (რეალიზაციას გააჩნია) **სასამართლოებში კომერციული პალატების შექმნის იდეა** — ამან შესაბამისი დავების განხილვის ვადები, წესით, უნდა შეამციროს. ბახტაძის კიდევ ერთი ინიციატივა უცხოელ ინვესტორებს დააინტერესებს, ხოლო ადგილობრივ საზოგადოებაში, ალბათ, აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს: „ჩვენი შემდეგი ინიციატივა შეეხება იმას, რომ **საქართველოში არარეზიდენტ პირებს მივცეთ თავიანთი კომპანიებისა და საბანკო ანგარიშების გახსნის უფლება ონლაინ რეჟიმში**, ისე, რომ მათ საქართველოში ჩამოსვლა არ მოუწიოთ“. **ის, აგრეთვე, აპირებს მსხვილ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, თუ ისინი საქართველოში წარმომადგენლობებს დაარსებენ და სერვისებს საზღვარგარეთ გაყიდიან, ყველა ტიპის გადასახადი გაუნულოს.**

ეკონომიკური ინიციატივების თვალსაზრისით, ბახტაძემ გაცილებით შთამბეჭდავი სტარტი აიღო, ვიდრე მისმა წინამორბედმა, მაგრამ აშკარაა, რომ ახალ პრემიერს რამდენიმე ხელშესახები შედეგის მიღწევა და ისეთი საკადრო პოლიტიკის გატარება დასჭირდება, რომელიც კრიზისის მიზეზი არ გახდება და, ამავე დროს, შესაძლებლობას მისცემს, საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს.

**ეკონომიკური ინიციატივების თვალსაზრისით, ბახტაძემ გაცილებით შთამბეჭდავი სტარტი აიღო, ვიდრე მისმა წინამორბედმა, მაგრამ აშკარაა, რომ ახალ პრემიერს რამდენიმე ხელშესახები შედეგის მიღწევა და ისეთი საკადრო პოლიტიკის გატარება დასჭირდება, რომელიც კრიზისის მიზეზი არ გახდება და, ამავე დროს, შესაძლებლობას მისცემს, საზოგადოების ნდობა დაიმსახუროს**

SOS

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საკანონმდებლო პროექტი სახელწოდებით „ბავშვის კოდექსი“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა უმოკლეს დროში, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მოამზადა და განსახილველად გადასცა შესაბამის სამუშაო ჯგუფს. თავის მხრივ, პარლამენტში მოკალათებულმა 150-მა მანდატიანმა მუქთახორამ დოკუმენტს მწვანე შუქი აუნთო და როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, ანუ ხელისუფლება-ოპოზიცია („ნაც-ქოცები“) მისი დამტკიცების აუცილებლობაზე უპირობოდ შეთანხმდნენ, ყოველ შემთხვევაში, კრიტიკული აზრი ამ საკითხზე არც ერთ დეპუტატს არ გამოუთქვამს.**

# დრო, როცა ევროლიბერალი ზონდერები ქართველთა ოჯახებს შვილების წასართმევად ჩამოუვლიან, არც ისე შორს არის

**ევროლიბერალი მენტორების მიერ საბოლოოდ დაბულინგებულმა საქართველოს მარიონეტულმა პარლამენტმა 20 ივნისს ელვის სისწრაფით დაიწყო მორიგი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის მიღება.**

## პარლამენტი საზოგადოების ზურგს უკან მორიგი ანტიქართული და ანტისახელმწიფოებრივი დოკუმენტის მიღებას ცდილობს

საკანონმდებლო პროექტი სახელწოდებით „ბავშვის კოდექსი“ ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა უმოკლეს დროში, რომ იტყვიან, ერთი ამოსუნთქვით მოამზადა და განსახილველად გადასცა შესაბამის სამუშაო ჯგუფს. თავის მხრივ, **პარლამენტში მოკალათებულმა 150-მა მანდატიანმა მუქთახორამ დოკუმენტს მწვანე შუქი აუნთო და როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, ანუ ხელისუფლება-ოპოზიცია („ნაც-ქოცები“) მისი დამტკიცების აუცილებლობაზე უპირობოდ შეთანხმდნენ, ყოველ შემთხვევაში, კრიტიკული აზრი ამ საკითხზე არც ერთ დეპუტატს არ გამოუთქვამს.** იყო კომენტარები იმის თაობაზე, რომ თურმე აღნიშნული კოდექსი ქვეყნის დემოკრატიული განვითარების გზაზე გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, რომ ამით და სხვა მსგავსი ცვლილებებით საქართველო ნელ-ნელა თავის „ისტორიულ არჩევანს“ უახლოვდება და ა.შ., თუმცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მაინც ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე **სოფიო კილაძის** განცხადებაა. მისი თქმით, დოკუმენტის უმთავრესი მიზანი, ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, ბავშვის უფლებების განმტკიცებაა: **„ხდება ბავშვთან დაკავშირებული უფლება-მოსილებების დეცენტრალიზაცია, უფლებამოვალეობების დიდი ნაწილის ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გადაცემა... ძლიერდება სახალხო დამცველის ინსტიტუტი, რომელიც აღჭურვილი იქნება უფლება-მოსილებით, რათა დაადგინოს ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული დარღვევები და შეიმუშაოს ოქმი, რომელიც შესაბამისი დაწესებულებების მიმართ მოამზადებს ოქმს, რომლის საფუძველზეც სასამართლო დააკისრებს კონკრეტულ უწყებას შესაბამის სახდელს ან საქმეს გადასცემს შესაბამის (მათ შორის სამართალდამცავ) სტრუქტურებს რეაგირებისთვის“...**

მისივე განმარტებით, აღნიშნული კოდექსი ქვეყანაში ხელს შეუწყობს ისეთი გარემოს შექმნას, რომ ბავშვი თავიდანვე აღიზარდოს **„მშვიდობის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით“.**

ზოგს, ერთი შეხედვით, შეიძლება მოეჩვენოს, რომ არაფერი ცუდი და საგანგაშო ამ დოკუმენტში არ წერია. ტოლერანტობისა და მით უფრო სოლიდარობის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ნუ გავუსწრებთ მოვლენებს. მთავარი ამ შემთხვევაში არის ის, რას ნიშნავს ან შეიძლება ნიშნავდეს, თანამედროვე „ლიბერალური“ გაგებით, ცნებები: **თავისუფლება, თანასწორობა, შემწყნარებლობა და სოლიდარობა,** რეალურად რა შინაარსი და საერთოდ, რა იდეოლოგია იგულისხმება ამ სიტყვების მიღმა. თავისუფლება რისგან? თანასწორობა ვისი და ვისი? შემწყნარებლობა და სოლიდარობა ვის ან რის მიმართ? ისე, ობიექტურობისთვის, ალბათ, უმჯობესია, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე შევხედოთ ამ ყველაფერს. დავიწყოთ ჩვენი სათაყვანებელი ევროპითა და ევროგაერთიანებით (ჩვენი თუ არა, პოლიტელიტის სათაყვანებელი მაინცაა).

მაშ ასე, **თავის დროზე, როცა დასავლეთში, განსაკუთრებით — ევროპაში, ნეოლიბერალური გლობალისტური პროპაგანდა ყოვლისმომცველი გახდა და ყველა სფეროში, მათ შორის მეცნიერებაში, ხელოვნებაში, სპორტშიც კი ფესვები ისე გაიდგა, რომ ამ იდოლოგიის უარყოფა, ფაქტობრივად, ყველგან და ყველაფერში ყოველგვარი პერსპექტივის დასასრულს ნიშნავდა, საქმე საზოგადოების ძირეულ გარდაქმნამდე მივიდა.** შემდეგ იდეოლოგიის რეპრესიული ხასიათი კიდევ უფრო გამძაფრდა და მენტალური რევოლუციის იდეა უკვე თითოეული მოქალაქის, თითოეული ინდივიდის ცნობიერების დონეზე განისაზღვრა. ალბათ, შემთხვევითი არ ყოფილა, რომ **ეს გარდაქმნა და „რევოლუცია“, რომელიც, ცხადია, ათწლეულების განმავლობაში წინააღმდეგობების ფონზე მიმდინარეობდა, უწინარესად, ოჯახებს შეეხო.**



**ოჯახებს იმიტომ, რომ მათ უპირველეს მიზანს იმთავითვე ახალგაზრდობის ცნობიერების საფუძვლიანი შეცვლა წარმოადგენდა. ეს კი ოჯახის, ანუ მშობლების ფაქტორის დაკნინებისა და დასუსტების გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.**

რა მოხდა და როგორ აისახა კონკრეტულად ეს ცვლილებები ამა თუ იმ სახელმწიფოს რეალობაში, განსხვავება დიდი არ ყოფილა. **პირველი, რაც გაკეთდა, ეს იყო დასავლეთ და ცენტრალური ევროპის რამდენიმე ქვეყანაში იუვენალური იუსტიციის ამოქმედება.** გერმანია, ჰოლანდია, ინგლისი, შვედეთი ის პიონერი სახელმწიფოებია, რომლებშიც რეპრესიული „ლიბერალური“ მანქანა თითოეულ ოჯახში კანონის სახით შევიდა და მშობლებს შვილის აღზრდის ექსკლუზიური უფლება ჩამოართვა. დაიწყო ბავშვის აღზრდა ჯერ კიდევ ბაღის ასაკიდან, იმ შეგნებით, რომ მას, როგორც თავისუფალ მოქალაქეს, ყველაფერი შეუძლია, რომ ადამიანს ყველაფრის უფლება აქვს და არ არსებობს არანაირი ზნეობრივი ნორმა. აქ საუბარია არა რომელიმე სოციუმის მიერ დამკვიდრებულ, არამედ ობიექტურ ბუნებრივ ნორმებზე, რომლებიც ადამიანების ჩარევის გარეშე თავისთავად არსებობს. შესაბამისად, **ახალგაზრდები დააჯერეს, რომ, ვთქვათ, როდესაც ადამიანი იბადება, მისი სქესი უკვე განსაზღვრული კი არ არის, არამედ ის მას თვითონ ირჩევს შეგნებულ ასაკში, ანუ სქესი, როგორც ბუნებრივი ბიოლოგიური მდგომარეობა, კი არ უნდა განვიხილოთ, არამედ თითოეული ჩვენგანის არჩევანად. შემდეგ ამას მოჰყვა პროპაგანდა 50-ზე მეტი გენდერის არსებობაზე (როცა ბუნებაში მხოლოდ ორია), პროპაგანდა თავისუფალი სექსუალური ცხოვრების, როგორც ინდივიდის არჩევანის შესახებ და ა.შ.** ყოველივე ამან კი, ბუნებრივია, მყისვე მოიტანა შესაბამისი შედეგი, რაც, გარდა საზოგადოების ზნეობრივი მხარეებისა, კონკრეტულ ციფრებში, სტატისტიკურ მაჩვენებლებშიც ადეკვატურად აისახა. მაგალითად, **ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ ევროპაში პირველი სექსუალური კონტაქტის საშუალო ასაკმა 15-17 წლამდე დაიწია, მაშინ, როდესაც, ოფიციალური დემოგრაფიული მონაცემებით, პირველი მშობიარობის ასაკი 28-30 წლამდე ავიდა. მოიმატა ნარკოტიკული საშუალებების, თამბაქოსა და ალკოჰოლის მოხმარების მაჩვენებელმა ახალგაზრდებში, მოიმატა განქორწინებების რაოდენობამ და კატასტროფულად იკლო შობადობამ.**

ახლა სხვა სტატისტიკასაც გადავხედოთ: **მას შემდეგ, რაც რეპრესიულმა „ლიბერალურმა“ კანონმდებლობამ ბებერ ევროპას კონსერვატიული სული საბოლოოდ გამოაცალა, აქაიქ დარჩენილ ტრადიციულ ოჯახებზე შეტევა კიდევ უფრო გამძაფრდა.** მაგალითად, **გერმანიაში იუვენალური იუსტიციის კანონების აღმასრულებელმა ორგანიზაციამ 2011 წლიდან მოყოლებული ოჯახებიდან დაახლოებით 38 500 ბავშვი გამოიყვანა.** მოტივები ცალკეულ შემთხვევებში ისე აბსურდული იყო, რომ სერიოზულად მისი აღქმა, ალბათ, არც შეიძლება, თუმცა, მიუხედავად ამისა, სასამართლომ უმეტეს შემთხვევაში სოციალური მუშაკის აბსურდული „არგუმენტები“ უფრო მნიშვნელოვნად მიიჩნია, ვიდრე მშობლის უფლება, რომ შვილი თვითონ გაზარდოს საკუთარ ოჯახში.

ანალოგიური ვითარებაა **უკრაინაშიც.** 2008 წლის მონაცემებით, იქ დაახლოებით 14 800 მოზარდი დააშორეს მშობლებს და ოფიციალურად გააშვილეს ევროპის ქვეყნებში. არაოფიციალური ინფორმაციით, ხშირია ამ ბავშვების „ერთი და იმავე სქესის პირების ოჯახებზე“ გაშვილების შემთხვევებიც, ნაწილი კი, ვისი გაშვილებაც მიზეზთა გამო ვერ ხერხდება, წლების განმავლობაში გეტოების მსგავს სპეციალურ დაწესებულებაში რჩება.

გარდა ზემოაღნიშნული შედეგებისა, იუვენალურმა რეპრესიებმა ევროპას კრიმინოგენული მდგომარეობაც დაუმძიმა. ანუ, გამომდინარე იქიდან, რომ მშობლებს, პრაქტიკულად, ეკრძალებათ ყოველგვარი აღმზრდელობითი მუშაობა შვილებთან, ბოლო წლებში მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულის რაოდენობამ მნიშვნელოვნად მოიმატა. ეს მაჩვენებელი 20-ჯერ გაიზარდა ისეთ კანონმორჩილ სახელმწიფოებში, როგორიცაა სკანდინავიის ქვეყნები. ამასთანავე, იყო რამდენიმე შემთხვევა, როცა სოციალური მუშაკის მუქარით (რომ შვილს წაართმევდა) სასოწარკვეთილმა მშობელმა თვითმკვლელობა სცადა...

მარტივად რომ ვთქვათ, ევროპამ და „ნაც-ქოცების“ მიერ „ისტორიულ არჩევნად“ გამოცხადებულმა ევროკავშირმა, კარგა ხანია, დიდი შრომისა და ძალისხმევის ფასად კონსერვატიული საზოგადოება წელში გადატეხა. მართალია, ეს პროცესი ცოტა გაჭიანურდა, მაგრამ, საბოლოოდ მაინც მიიღეს ის, რაც სურდათ — ინერტული, პატივაყრილი და მეხსიერებაწაშლილი სოციალური მასა, რომელსაც არც მორალი აქვს და არც ფასეულობები.

რაც შეეხება საქართველოს, ცხადია, როდესაც ევროლიბერალი კილაძე ამაყად ამბობს, ამა თუ იმ საკანონმდებლო ცვლილების მიზანს ახალგაზრდებში თანასწორობის დამკვიდრება წარმოადგენსო, მხედველობაში ზუსტად ის დასავლური სიბინძურე უნდა მივიღოთ. რატომ? იმიტომ, რომ დასავლეთის ყურმოჭრილი მონებისა და ლაქიების მიზანი საქართველოშიც იგივეა — ტრადიციულ ქართულ ოჯახებს იუვენალური სოცმუშაკები უნდა მიუსიონ და მშობელს შვილის აღზრდის, პიროვნებად ჩამოყალიბების ექსკლუზიური უფლება წაართვან. **ახლა წარმოიდგინეთ, რა სახეს მიიღებს საქართველოში ეს ყველაფერი, როცა „ბავშვის უფლებების დარღვევებზე“ რეაგირება ნინო ლომჯარიას პრეროგატივა იქნება.** ცხადია, იგი ევროპას ტოლს არ დაუდებს და ელემენტარულ „დარღვევაზეც“ კი თითოეულ ოჯახს, თითოეულ მშობელს შიშის ზარს დასცემს. არადა, ამ „დარღვევად“ მშობლის ნებისმიერი ქმედება შეიძლება შეფასდეს. ვთქვათ, თუ მამა შვილს ღამის კლუბში წასვლას დაუშლის ან ბავშვი უარს იტყვის სექსუალური აღზრდის გაკვეთილებზე და ა.შ. მოკლედ, ის დრო, როცა ევროლიბერალი ზონდერები ქართველთა ოჯახებს შვილის წასართმევად დაუვლიან, არც ისე შორს არის. ერთი შეხედვით თითქოს უწყინარი „ბავშვის კოდექსი“ კი ამის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითია. ისე, „ადამიანის უფლებების“ დაცვის კუთხით აღებული ამ ტემპებით ივანიშვილის ადრინდელი დაპირება, დემოკრატიით დასავლეთის გაკვირვებაზე, ალბათ, ძალიან მალე პირნათლად შესრულდება. დივიდენდებიც, ალბათ, ბევრი იქნება...

**ჯაბა ჟვანია**

**„შეუსრულებელი მისიები“ გვაქვს შესასრულებელი; მიგრანტებს კი, გვინდა თუ არა, ცხვირში გვტენიან, მათთვის საცხოვრებლებსაც გვაშენებინებენ და გაურკვეველი წარმომავლობისა თუ იდეოლოგიის ადამიანებს ვუთმობთ დროს, თანხებს, ტერიტორიებს... და ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ამერიკას აღარც ნატო მოსწონს, აღაც მიგრანტები და აღარც გაერო.**

გაერო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# აგიტაცია-პროპაგანდამ კი არ მოიმატა, ბატონებო, ხალხი იწყებს გამოფხიზლებას!

## დემოკრატიის ეტალონად გამოცხადებული ამერიკა პირდაპირ ამბობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მასში შემავალი ერების ინტერესებს ვერ იცავს

**საქართველოს წინა, იმის წინა თუ ამჟამინდელი ხელისუფლებების წარმომადგენლებს არაერთხელ უთქვამთ: სამაჩაბლოდან და აფხაზეთიდან რუსი სამშვიდობოები უნდა გავიდნენ და იქ წესრიგი გაეროს წარმომადგენლებმა უნდა დაამყარონო. ამას გვიკიჟინებდა ევროსაბჭო, ამის მომხრე იყო ამერიკა და თითქოს პანაცეა ყოფილიყო, ისე ხატავდნენ გაეროს სამშვიდობოებს. მეტიც, ისეთი ფონი შეიქმნა, რომ, თუ გაეროს სამშვიდობოები აფხაზეთსა და სამაჩაბლოში შევიდოდნენ, ყველაფერი დასრულდებოდა, გვეშველებოდა...**

„აშშ ოფიციალურად ტოვებს გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს, ვინაიდან ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ ვამბობდით, რომ ამას გავაკეთებთ, თუ პროგრესს ვერ დავინახავთ-თქო. უკვე დიდი ხანია, რაც ეს საბჭო ადამიანის უფლებების დამრღვევთა დამცველი და პოლიტიკურად ანგაჟირებული გახდა. სამწუხაროდ, ახლა ნათელია, რომ ჩვენს მოწოდებებს ამ ორგანოს რეფორმირების შესახებ ყურადღება არავინ მიაქცია. ადამიანის უფლებების დამრღვევები რჩებიან საბჭოს შემადგენლობაში. მსოფლიოში ყველაზე არაადამიანური რეჟიმები კვლავ აყალიბებენ კრიტიკულ დღის წესრიგს, საბჭო კი კვლავ იღებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს“, — განაცხადა გაეროში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა **ნიკი ჰეილიმ.**

რა გამოდის: ორგანიზაცია, რომლის წევრობასაც დღემდე საგანგებოდ ვზეიმობთ, მსოფლიოში, პრაქტიკულად, ყველა კონფლიქტს არის მოდებული, არაფრის მაქნისია? ახლა იტყვით, ამერიკის განცხადება არაფერს ნიშნავსო, მაგრამ ნურას უკაცრავად! **აბა, გამოვიდეს ხელისუფლების ერთი (მხოლოდ ერთი) წარმომადგენელი და განაცხადოს: ჰეილის სიტყვები მცდარიაო. ამას ვერავინ გაბედავს, მაგრამ ვერც იმის თქმას — ამერიკა მართალია და გაერო ადამიანის უფლებებს ვერ იცავსო.** არადა, გაერო, აგერ უკვე 73 წელია, არსებობს და მასში გაერთიანება დიდ მიღწევად ითვლება ყველასთვის, უფრო ზუსტად, იმ სახელმწიფოებისთვის, რომლებიც დამოუკიდებლობის პირველ ნაბიჯებს დგამენ და გაეროს ხიბლით თანახმა არიან ყველაფერზე. და ამ დროს, **დემოკრატიის ეტალონად გამოცხადებული ამერიკა პირდაპირ ამბობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია მასში შემავალი ერების ინტერესებს ვერ იცავს.**

ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ გაეროში ყოველწლიურ საწევროს ვიხდით და ვიხდით არა მხოლოდ ჩვენ, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა, იქაურმა მაღალჩინოსნებმა ათიათასობით დოლარის ხელფასი რომ აიღონ, ფორუმები გამართონ, გაეროს სამბლეაზე მიგვიწვიონ, ორიოდე სიტყვა გვათქმევინონ „გაეროს მაღალი ტრიბუნიდან“, რათა ეს სიტყვა მსოფლიომ გაიგოს, მოგვისმინოს და... თურმე რეალურად გაერო ვერ იცავს ადამიანების უფლებებს, თურმე სულ ტყუილად მოუწოდებენ „მაღალი ტრიბუნიდან“ სხვებს: ადამიანის უფლებებს ნუ არღვევთო, და სწორედ ამიტომ, ამერიკამ ადამიანის უფლებათა საბჭოს დატოვება გადაწყვიტა.

ყველაზე საინტერესო ამ ამბავში არის ის, რომ **ჩვენი დარი სახელმწიფოები ამ გადაწყვეტილებას, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ გამოეხმაურებიან. ისინი ვერ იტყვიან, რომ ამერიკა არასწორად მოიქცა, რადგან კუჭის გასაძლომად ძია სემისგან წამოსული მილიონები შეიძლება სადღაც გაქრეს; ვერც გაეროს წინააღმდეგ გაილაშქრებენ, რადგან ორგანიზაციამ შეიძლება დაგვაჯარიმოს (ამერიკას ვერ უბედავს, თორემ ჩვენ თავზე გადაგვახევდა ყველა რეზოლუციას) და ისედაც შეჭირვებული და გასარღვევად გამზადებული ბიუჯეტი ამ ჯარიმით შეიძლება, საერთოდ, დიეტაზე დაჯდეს.** რადგან ბიუჯეტი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ წლის დასაწყისში პენსიების მოსამატებლად ბიუჯეტში თანხა არ იყო, ახლა კი გამოჩნდა — აქაოდა, სამინისტროების შემცირების შედეგად, თანხები დაიზოგებაო. ყველაზე საინტერესო ამ ამბავში არის ის, რომ სამი სამინისტროს გაუქმებით წელს ახალი პრემიერი 120 მილიონი ლარის დაზოგვას აპირებს. ახალი პრემიერი იმასაც ამბობს, მხოლოდ მინისტრები და მისი მოადგილეები აღარ იქნებიან, თორემ სამინისტროდან ერთი კაციც არ წავაო. რა გამოდის? სამი სამინისტრო მცირდება და სამი სამინისტროს პირველი პირებისა და მათი მოადგილეების შენახვა ნახევარ წელიწადში (ნახევარი უკვე გასულია) 120 მილიონი გვიჯდებოდა?! ეს — ისე, როცა ადამიანის უფლებებზე ვსაუბრობთ, უნდა ვიცოდეთ, რომ საქართველოში არიან ადამიანები (მინისტრები, მათი მოადგილეები) და არიან პენსიონერები. **პენსიონერის შენახვა წელიწადში სახელმწიფოს 2160 ლარი უჯდება, ასი პენსიონერი 21 600 ლარი გამოდის და სამი სამინისტროს მინისტრები და მოადგილეები ასი კაცი ნამდვილად არ იქნება და მათი შენახვა თურმე 120 მილიონი გვიჯდებოდა. ეს — ისე, შედარებისთვის.**




**ჩვენი დარი სახელმწიფოები ამ გადაწყვეტილებას, დიდი სურვილის მიუხედავად, ვერ გამოეხმაურებიან. ისინი ვერ იტყვიან, რომ ამერიკა არასწორად მოიქცა, რადგან კუჭის გასაძლომად ძია სემისგან წამოსული მილიონები შეიძლება სადღაც გაქრეს; ვერც გაეროს წინააღმდეგ გაილაშქრებენ, რადგან ორგანიზაციამ შეიძლება დაგვაჯარიმოს (ამერიკას ვერ უბედავს, თორემ ჩვენ თავზე გადაგვახევდა ყველა რეზოლუციას) და ისედაც შეჭირვებული და გასარღვევად გამზადებული ბიუჯეტი ამ ჯარიმით შეიძლება, საერთოდ, დიეტაზე დაჯდეს**

ისევ ამერიკას დავუბრუნდეთ. როცა დონალდ ტრამპი პრეზიდენტად აირჩიეს, ერთ-ერთი პირველი განცხადება, რომელიც მან გააკეთა, ნატოს დაფინანსებასა და მიგრანტებს შეეხებოდა. ტრამპს ის თანხები არ მოეწონა, რომლებსაც მისი ქვეყანა ნატოს ბიუჯეტში იხდიდა, ანუ ეძვირა, ეზევრა, — რა ამბავია ასეულ მილიონობით დოლარიო. მიგრანტებისთვის კი საზღვრები ჩაკეტა, სამსახური ამერიკელებისთვის ჭირსო. სამაგიეროდ, ამერიკა საქართველოს ეუბნება, რომ ნატოში მიიღებს (და გაეროს დარად, ყოველწლიური ხარკი აქაც გადასახდელი გვექნება და გაცილებით მეტი) და საამისოდ **„შეუსრულებელი მისიები“ გვაქვს შესასრულებელი. მიგრანტებს კი, გვინდა თუ არა, ცხვირში გვტენიან, მათთვის საცხოვრებლებსაც გვაშენებინებენ და გაურკვეველი წარმომავლობისა თუ იდეოლოგიის ადამიანებს ვუთმობთ დროს, თანხებს, ტერიტორიებს... და ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ამერიკას აღარც ნატო მოსწონს, აღაც მიგრანტები და აღარც გაერო.**

დიდი ხანია, გამოფხიზლების დრო გვიდგას, მაგრამ სალათას ძილს ვართ მიცემული, საძილე საშუალებად კი „რუსეთს გვიყრიან ჭიქაში“, აქაოდა, აგრესორია, მაგისგან გიცავთო. ჩვენც გვიხარია და გვჯერა, რომ ამერიკა და ევროკავშირი გვიფარავენ რუსეთის აგრესიისგან, თორემ წაგვლეკავდნენ ჩრდილოელი მეზობლები. ის მეზობლები, რომლებიც არც გაეროს ცნობენ, არც ნატოს, არც მიგრანტებს უსვამენ თავზე ხელს, არც არატრადიციული ორიენტაციის ადამიანებს აპიარებენ, არც სექტებს აფინანსებენ და, საზოგადოდ, ერზე ზრუნავენ. ჰო, საკუთარ ერზე და ეროვნული თვითშეგნება იმ დონეზე აიყვანეს, ნებისმიერს რომ შეშურდება. შედეგად, **მივიღეთ მოცემულობა, რომ ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, მართლმადიდებლური რუსეთი ცუდია და ამერიკა და ევროკავშირი — კარგი ვერც ვაპროტესტებთ, პროტესტის უფლება წართმეული გვაქვს და მონობა სხვა არაფერია, თუ არა ჩვენი მდგომარეობა.** ჰო, გვიმონებენ, ფოჩიანი კანფეტებით გვაბრმავებენ და ამ ყველაფერს ვიტანთ. ვიტანთ იმიტომ, რომ ძია სემის გაბრაზება არ შეიძლება; ვიტანთ იმიტომ, რომ გვაიძულებენ, ავიტანოთ და იმის უფლებასაც კი არ გვაძლევენ, ელემენტარულად რეფერენდუმი ჩავატაროთ და გავარკვიოთ: რას ფიქრობს ხალხი დღეს. იქნებ ხალხს, ამერიკის დარად, აღარც ნატო უნდა და აღარც გაერო, მაგრამ, ეს შედეგი რომ დაიდოს, ევროპა-ამერიკიდან რამდენიმე კაცის ჯიბეში მდინარედ წასული გრანტები კალაპოტს შეიცვლიან და ეს ხელისუფლების სათავეში მოკალათებულ ადამიანებს ხელს არ აძლევთ.

ბოლო პერიოდში პოლიტიკოსებისგან (ხელისუფლების, ოპოზიციის) ხშირად მოისმენთ, რუსეთის მხრიდან აგიტაცია-პროპაგანდამ მოიმატა და სახიფათო მასშტაბები მიიღოო. **აგიტაცია-პროპაგანდამ კი არ მოიმატა, ბატონებო, ხალხი გამოფხიზლებას იწყებს, ხალხი ხვდება, რომ რუსეთში ჩასულებს სამსახურიც აქვთ, არ დევნიან, არ აპატიმრებენ და სამი წლით არ უკრძალავენ ქვეყანაში სვლას, სუნთქვის შესაძლებლობას აძლევენ და, ოფიციალური სტატისტიკით, ყველაზე მეტი თანხები საქართველოში სწორედ რუსეთში მომუშავე ჩვენი მოქალაქეებისგან მოედინება. სწორედ რუსეთზეა ჩამოკიდებული ქართველთა უდიდესი ნაწილი, სწორედ რუსეთიდან არჩენს ოჯახს და რაღაც არ ახსენდება, რუსეთის პირველ პირებს ეთქვათ, საზღვარი ჩავუკეტოთ ქართველ მიგრანტებს, ციხეებში დავამწყვდიოთ, სამუშაო ადგილები ჩვენთვის არ გვყოფნისო.** არც ის ახსენდება, რუსეთს მოეწოდებინოს: ათასგვარ სექტასა თუ გაურკვეველი ორიენტაციის ადამიანებს ფართოდ გაუღეთ კარი, აღლუმები ჩაატარებინეთ და თავზე ხელი გადაუსვითო. არც ის ახსენდება, რუსეთს დაევალებინოს, სხვა ქვეყნებში საბრძოლველად გაუშვით ბიჭები, იქ ჩახოცეთ, შემდეგ სამხედრო კავშირში რომ მიგიღოთო, და გვაიძულებენ, დავიჯეროთ, რომ რუსეთი მაინც მტერია, ამერიკა და ევროპა კი — მოკეთე. ის ევროპა და ამერიკა, რომლებიც აღიარებენ, რომ ადამიანების უფლებებს ვერ იცავენ, მაგრამ მაინც გვიკიჟინებენ: ჩვენთან კარგიაო.

**ბესო ბარბაქაძე**

**P.S. ჰო, სკეპტიკოსების გასაგონად: გაგიკვირდებათ და, რუსეთში მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი მშვიდ ვითარებაში მიმდინარეობს და იქ ჩასული 31 ნაკრების წარმომადგენლებიდან არავის უთქვამს, ორგანიზაციული ან უსაფრთხოების კუთხით რაიმე პრობლემა შეგვექმნაო. ნეტავ, რატომ?!**

ხმა ბერისა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიზანი არის მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩა და ამიტომ მიდის შანტაჟი, ამიტომ დაშინებითა და დაძალებით ცდილობენ, ისეთი გადაწყვეტილება შეგვასრულებინონ, რომელიც დაგვაპირისპირებს რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიასთან. სხვათა შორის, ჩვენ შემთხვევაში ეს დასჯა დაიწყო „ციანიდის საქმით“, ახლა გრძელდება უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებით და მომავალში კიდევ რა იქნება, ღმერთმა უწყის, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ამ ბრძოლაში საქართველო ბრმა იარაღად არ გამოიყენონ “.



მამა გიორგი (რაზმაძე):

# ეს პროცესები მართლმადიდებლური სამყაროს გახლეჩისკენაა მიმართული და საქართველო მართლმადიდებლობის დამცველი უნდა იყოს

## «როდესაც ეპისკოპოსები რამე პრინციპულ განცხადებას აკეთებენ, ეს მოსაზრება სჯულის კანონით უნდა იყოს გამყარებული და არა რაღაც უსუსური არგუმენტებით»

**„საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარმა მამა გიორგიმ (რაზმაძემ) უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე ისაუბრა; აღნიშნა, რომ გარკვეული დასავლური პოლიტიკური ძალები რუსეთის საპატრიარქოსგან უკრაინის ეკლესიის გამოყოფას ცდილობენ. მისი თქმით, ამ განზრახვას უკავშირდება კათოლიკური ეკლესიის ორი მაღალი იერარქის ბოლოდროინდელი ვიზიტი თბილისში, რაც რეალურად ჩვეულებრივი სტუმრობა არ იყო, არამედ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შანტაჟისა და დაშინების მცდელობა.**

როგორც ჩანს, მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს ეკლესიაზე მართლაც ახდენს ზეწოლას იმ კუთხით, რომ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობაში მხარი დაუჭიროს. ამაში ზოგიერთი ქართველი სასულიერო პირიც აქტიურად მონაწილეობს. მაგალითად, რამდენიმე დღის წინათ, სინოდის სხდომის დასრულების შემდეგ, ჭყონდიდის ეპარქიის მიტროპოლიტმა **მეუფე პეტრემ** მედიასთან განაცხადა, რომ უკრაინას, როგორც 40-მილიონიან დამოუკიდებელ ქვეყანას, უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკლესია. **„ჩემი პირადი პოზიციაა, რომ უკრაინას, 40-მილიონიან ქვეყანას, დამოუკიდებელს, რა თქმა უნდა, უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი ეკლესია და დამპყრობელი ქვეყნის პირველ იერარქს არ უნდა იხსენიებდეს ლოცვებში და არ უნდა ექვემდებარებოდეს მას ეკლესიურად“, — თქვა მან.** მისი აზრით, სხდომაზე განსახილველ საკითხთა შორის მთავარი სწორედ ეს საკითხი იყო, თუმცა სინოდს შეჯერებული პოზიცია, დაუჭერს თუ არა მხარს უკრაინის ეკლესიის ავტოკეფალიას, აქამდე არ აქვს.

რა პროცესები მიდის დღეს რეალურად სინოდში და რას მოუტანს საქართველოს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარება? — ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი **მამა გიორგი (რაზმაძე)** გვესაუბრება.

**— მამაო, წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ მსოფლიო საპატრიარქო საქართველოს ეკლესიაზე ზეწოლას ახდენს და იმ შემთხვევაში, თუ უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობას არ ვაღიარებთ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ეკლესიებს თვითონ დაიქვემდებარებს. სანამ ამ თემას გავშლით, სინოდში მიმდინარე პროცესებზე ვისაუბროთ. რამდენიმე დღის წინათ მეუფე პეტრემ განაცხადა, რომ უკრაინას დამოუკიდებელი ეკლესია უნდა ჰქონდეს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე, შეესაბამება დღეს ეს პოზიცია ჩვენს ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ინტერესებს?**

— ეს არ არის სასარგებლო არც საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესებისა და არც ეკლესიისთვის. საქმე ის არის, რომ უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესია ოდითგანვე იყო რუსეთის იურისდიქციაში და მას ჰყავდა მიტროპოლიტი, რომელიც, ფაქტობრივად, მართავდა სახელმწიფოს, თუმცა ემორჩილებოდა, კიდევ ვიმეორებ, რუსეთის საპატრიარქოს. ახლა ის, რომ ვიღაცას ამ ქვეყნის ეკლესიის დამოუკიდებლობა მოუნდა, ასე მარტივად გადასაწყვეტი საკითხი არ არის. ამ ყველაფერს სჯულის კანონი განსაზღვრავს და **ზოგიერთმა ეპისკოპოსმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთი და იგივე არ არის.** 40 კი არა, 500-მილიონიანიც რომ იყოს ქვეყანა, ეს მისი ეკლესიის დამოუკიდებლობას არ ნიშნავს.

კონკრეტულ განცხადებას რაც შეეხება, როდესაც ეპისკოპოსი აკეთებს საფრთხის შემცველ შეფასებას, ეს ცუდია არა მხოლოდ მისი ავტორიტეტისთვის, არამედ ეკლესიისა და მთლიანად სახელმწიფოსთვის, თუმცა ვფიქრობ, ყველაფერი, რაც დღეს ხდება, შემთხვევითი არ არის. აქ ისეთი ძალებია ჩართული, განხეთქილებაზე მიანიშნებს. ამიტომ ვამბობ, რომ ნებისმიერი განცხადების გაკეთებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო. კიდევ ვიმეორებ: თუ ჩვენ მხარს დავუჭერთ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას, რუსეთის საპატრიარქო აუცილებლად დააყენებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ეკლესიების დამოუკიდებლობის საკითხს...

**«ზოგიერთმა ეპისკოპოსმა უნდა იცოდეს, რომ სახელმწიფოს დამოუკიდებლობა და ეკლესიის დამოუკიდებლობა ერთი და იგივე არ არის»**

**— თქვენი აზრით, რატომ უნდა სურდეს მსოფლიო საპატრიარქოს უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა?**

— რეალურად მათ აწუხებთ არა ის, რომ უკრაინა 40-მილიონიანი დამოუკიდებელი ქვეყანაა და ამიტომ ეკლესიაც უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი, არამედ ეს მცდელობები მართლმადიდებლურ სამყაროში განხეთქილების შეტანას ემსახურება.

**ადრეც ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: მსოფლიოს საპატრიარქო ეკუმენიზმის მორევში ჩაიძირა. დღეს იქ დარჩა მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი, რომლებიც საღად და სწორად აზროვნებენ, დანარჩენს ამერიკის სპეცსამსახურები მართავენ. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც, ფაქტობრივად, ეკუმენიზმი დაკანონდა, სწორედ ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. მადლობა ჩვენს პატრიარქს, რომ უარი თქვა ამ ავაზაკთა კრებაში მონაწილეობაზე!**

ახლა დავუბრუნდეთ ისევ საქართველოს. ძალიან არ მინდა, რომ ჩვენი ქვეყანა რამე ფორმით გარეული აღმოჩნდეს იმ ბინძურ ქმედებებში, რომლებიც არა რომელიმე ერთი სახელმწიფოს, არამედ სრულიად მართლმადიდებელი სამყაროს წინააღმდეგაა მიმართული, ამიტომაა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სიფრთხილის გამოჩენა სასულიერო პირების და მით უმეტეს, ეპისკოპოსების მხრიდან. სხვათა შორის, **იოანე ოქროპირი** ერთგან ამბობს: **„ყველაზე მეტად ამ წუთისოფელში მეშინია ეპისკოპოსის, იმიტომ, რომ მას იმხელა ძალაუფლება აქვს, შეიძლება, ერთი ხელის მოსმითააყვავოს ქვეყანა და ასევე ერთი ხელის მოსმით ფერფლად აქციოს ყველაფერი“.** ვფიქრობ, **როდესაც ეპისკოპოსები რამე პრინციპულ განცხადებას აკეთებენ, ეს მოსაზრება სჯულის კანონით უნდა იყოს გამყარებული და არა რაღაც უსუსური არგუმენტებით,** რომ 40-მილიონიან დამოუკიდებელ ქვეყანას დამოუკიდებელი ეკლესია როგორ არ უნდა ჰქონდესო.

**— მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება ახსენეთ, ამ კრებაში მონაწილეობაზე უარის გამო მსოფლიო საპატრიარქოსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის ურთიერთობაში რამე შეიცვალა?**

— არათუ შეიცვალა, დღეს, ფაქტობრივად, მიდის სამაგიეროს გადახდა იმ ეკლესიებისთვის, რომლებმაც არ მიიღეს მონაწილეობა ამ კრებაში. ეს პროცესები ამ სამაგიეროს გადახდის ნაწილია, სინამდვილეში კი უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობა არავის აინტერესებს. კიდევ ვიმეორებ:

**მიზანი არის მართლმადიდებელი სამყაროს გახლეჩა და ამიტომ მიდის შანტაჟი, ამიტომ დაშინებითა და დაძალებით ცდილობენ, ისეთი გადაწყვეტილება შეგვასრულებინონ, რომელიც დაგვაპირისპირებს რომელიმე სხვა ქვეყნის ეკლესიასთან. სხვათა შორის, ჩვენ შემთხვევაში ეს დასჯა დაიწყო „ციანიდის საქმით“, ახლა გრძელდება უკრაინის ეკლესიის დამოუკიდებლობის აღიარებით და მომავალში კიდევ რა იქნება, ღმერთმა უწყის, ამიტომ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, ამ ბრძოლაში საქართველო ბრმა იარაღად არ გამოიყენონ.**

**— თქვენ, როგორც სასულიერო პირს, კონკრეტულად როგორ წარმოგიდგენიათ იმ ძალების გეგმა, რომლებსაც საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გაყოფა სურთ? როგორ და რა ფორმით შეიძლება ეს იდეაში განხორციელდეს?**

— ეს გაამჟღავნა კიდეც ზოგიერთმა ეპისკოპოსმა, როცა პატრიარქის ტახტის გაუქმება და სინოდურ მმართველობაზე გადასვლა მოითხოვა, თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა გეგმაც. მაგალითად, **ერთ-ერთი გეგმა შეიძლება იყოს რამე ხინჭისა და უთანხმოების შეტანა ეკლესიურ სწავლებაში. თუ ეს რეალურად მოხერხდა, გარკვეულწილად იქნება ქაოსი და ამით ცხადია, დასავლეთის მიერ მართული ძალები ისარგებლებენ.** მათი გაძლიერება კი, პრაქტიკულად, იქნება დასასრული, რადგან, თუ მათ ერთხელ მაინც ჩაიგდეს ხელში სადავეები, მერე ძალიან გართულდება ეკლესიაში საღი ძალების დაბრუნება.

**— დღეს ხომ არიან ეკლესიაში საღი ძალები? მათი უგულებელყოფა ასე ადვილია?**

— მათ მიმართ, უბრალოდ, **დაიწყება რეპრესიები და ყველას, ვინც რამის წინააღმდეგი იქნება, ციხეებში გამოკეტავენ. მერე უკვე ზედმიწევნით განხორციელდება ყველა გეგმა, რომლებიც მერვე საეკლესიო კრებაზე იქნა პრაქტიკულად დეკლარირებული, ანუ ახალ სტილზეც გადავლენ, მარხვებსაც გააუქმებენ, კალენდარსაც შეცვლიან და ა.შ.**

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ის სასულიერო პირები, რომლებიც თავიანთი მსოფლმხედველობით პროდასავლურები არიან ან შეიძლება თანამშრომლობდნენ დასავლეთის სპეცსამსახურებთან, ეკლესიამ უნდა ამხილოს? ამ ლუსტრაციას ერთგვარი პრევენციის ეფექტი არ ექნება?**

— ისინი ისედაც არ მალავენ თავიანთ პოზიციას და ეს ნათლად გამოჩნდა მაშინ, როცა მერვე საეკლესიო კრებაზე წასვლა-არწასვლის საკითხი იდგა. ასეა დღესაც — ზოგი თვლის, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ მხარი უნდა დაუჭიროს უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას. არადა, რა შეიძლება მოჰყვეს ამას ჩვენი ქვეყნისთვის, არავინ ამბობს. ჩემი აზრით, ამას არანაირი მხილება და ლუსტრაცია არ სჭირდება. უბრალოდ ჩვენ, სრულიად საქართველომ, უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: ნებისმიერი მსგავსი განცხადება ხვალ-ზეგ შეიძლება ძალიან ძვირი დაგვიჯდეს, როგორ და რანაირად, ისევ იოანე ოქროპირს დავესესხები, „ყველაზე მეტად დღეს ეპისკოპოსის მეშინია“... **იმიტომ, რომ მის ნებისმიერ ნაბიჯს შეიძლება მოჰყვეს ეკლესიის აყვავებაც და განადგურებაც, ამაღლებაც და ნგრევაც...**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**«მსოფლიოს საპატრიარქო ეკუმენიზმის მორევში ჩაიძირა. დღეს იქ მხოლოდ რამდენიმე ეპისკოპოსი დარჩა, რომლებიც საღად და სწორად აზროვნებენ, დანარჩენები ამერიკის სპეცსამსახურებიდან იმართებიან. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ მერვე მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელზეც, ფაქტობრივად, ეკუმენიზმის დაკანონება მოხდა, სწორედ ამერიკისა და ისრაელის სპეცსამსახურების მიერ იყო ორგანიზებული. მადლობა ჩვენს პატრიარქს, უარი რომ თქვა ამ ავაზაკთა კრებაში მონაწილეობაზე!»**

თუ ქართველი საზოგადოება, რომლის უმრავლესობა თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, აქედან გამომდინარე, კონსერვატიული იდეოლოგიის მიმდევარია და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მაინც დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) მიერ დანიშნული ნეოლიბერალი ქოც-ნაცების ხელისუფლება მართავს. იმავეს ვერ ვიტყვით დედაეკლესიაზე, რომლის წმინდა სინოდში, რამდენიმე „მეუფე ყანდურთა“ ყოფნის მიუხედავად, ეკლესიის მართვის სადავეები ჩვენს ბრძენ პატრიარქს ჯერჯერობით მაინც მტკიცედ უჭირავს.



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ლიბერასტების გადამწყვეტი შეტევა დედაეკლესიაზე

**ყოველგვარი ზნეობრივი ნორმის, ეროვნულობის, რელიგიის უარმყოფელ ნეოლიბერალურ იდეოლოგიასა და ამ ყველაფრის დამცველი ტრადიციული ღირებულებების მიმდევარ კონსერვატიულ იდეოლოგიებს შორის მსოფლიო გლობალური დაპირისპირება, გნებავთ, მათ შორის წლების განმავლობაში მიმდინარე „ცივი ომი“ (თუ ასე შეიძლება ითქვას) ცხელ, გადამწყვეტ საბედისწერო ფაზაში რომ შევიდა, მოწმობს ის, რომ ამ ყველაფერმა უკვე საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაშიც შეაღწია. ამაზე მიუთითებს ე.წ. ციანიდის სკანდალი, მაგრამ ამაზე ქვემოთ...**



ილია II



ბართოლომეოსი I

როგორც ქართველ საზოგადოებაში, ასევე ეკლესიაშიც, ერთი მხრივ, მცირერიცხოვანი, სამაგიეროდ, „პროგრესულად მოაზროვნე“ პროდასავლურად განწყობილი ნეოლიბერალების, ხოლო, მეორე მხრივ, „ბნელ საბჭოთა წარსულში“ ჩარჩენილი პრორუსების ფრთები აშკარად გამოიკვეთა, თუმცა საზოგადოებასა და ეკლესიას შორის, ამ მსგავსებებს გარდა, არსებობს ერთი „უმნიშვნელო“ პარადოქსული განსხვავებაც: **თუ ქართველი საზოგადოება, რომლის უმრავლესობა თავს მართლმადიდებელ ქრისტიანად მიიჩნევს, აქედან გამომდინარე, კონსერვატიული იდეოლოგიის მიმდევარია და, მიუხედავად ამისა, სახელმწიფოს მაინც დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) მიერ დანიშნული ნეოლიბერალი ქოც-ნაცების ხელისუფლება მართავს, იმავეს ვერ ვიტყვით დედაეკლესიაზე, რომლის წმინდა სინოდში რამდენიმე „მეუფე ყანდურის“ (მეუფე პეტრე, მეუფე გრიგოლი და ა.შ., რომლებმაც ვაშინგტონის კაპიტოლიუმის ბორცვიდან ამას წინათ „ბევრი რამ სხვანაირად დაინახეს“ და გუშინ ანტიდასავლურად მოჭიკჭიკენი დღეს იმაზე აჟღურტულდნენ, რომ ერთმორწმუნე რუსეთი საქართველოს ისტორიული მტერია, ხოლო აშშ — საქართველოს გადამრჩენი და სტრატეგიული მოკავშირე) ყოფნის მიუხედავად, ეკლესიის მართვის სადავეები ჩვენს ბრძენ პატრიარქს ჯერჯერობით მაინც მტკიცედ უჭირავს.**

თუმცა ეტყობა, ქართველთა სათაყვანებელი და სრულიად კავკასიაში პატივდებული ილია II განსაკუთრებით ე.წ. ციანიდის საქმის შემდეგ ხედავს და გრძნობს, რომ, თუ რამე არ იღონა, ეს „დღესდღეობით“ და „ჯერჯერობით“ უსასრულოდ ვერ გაგრძელდება და საქართველოს დედაეკლესიის მართვის სადავეებს ისევე დაეპატრონებიან ლიბერასტი „მეუფე ყანდურნი“, როგორც ეს ე.წ. მსოფლიო პატრიარქის ორბიტაზე მყოფი ავტოკეფალიის მქონე მართლმადიდებელ ეკლესიებში მოხდა... ამიტომაც, ღვთის ნებით, „დროულად გამოეცხადა“ **წმინდა გიორგი**, რომელმაც ჩვენს პატრიარქს შთააგონა, რომ მოსაყდრედ **მეუფე შიო** დაენიშნა. ამან კი უკმაყოფილო „მეუფე ყანდურების“ აშკარა თუ ფარული დრტვინვა გამოიწვია...

ზემოთ ციანიდის სკანდალი ვახსენეთ, რაც ამ გაუგონარი მზაკვრობის აისბერგის მხოლოდ ხილული ნაწილია და, თუ გვინდა, რომ აისბერგის წყალქვეშა, უხილავი ნაწილიც ვიხილოთ, ამისთვის მოგვიწევს მცირე ექსკურსი უახლეს ისტორიაში.

**მას შემდეგ, რაც ნეოლიბერალმა ხლისტებმა კათოლიკური და ე.წ. პროტესტანტული ეკლესიების გალიბერასტება მოახერხეს, იქამდეც კი, რომ ზოგიერთ მათგანში უკვე ერთი და იმავე სქესის წყვილებს ჯვარს სწერენ, დასავლეთის (წაიკითხე, აშშ) არაფორმალურ, მაგრამ დე ფაქტო მმართველ აგრესიულ ნეოლიბერალთა დღის წესრიგში უკვე მართლმადიდებელი ეკლესიების „რეფორმირების“ საკითხი დადგა. სწორედ ამ იდეის ხორცშესხმას ემსახურებოდა ე.წ. მსოფლიო პატრიარქ ბართოლომეოსის მიერ მოწვეული მსოფლიოს საეკლესიო კრება, რომელიც 2016 წლის ივნისში ჩატარდა კუნძულ კრეტაზე.**

რატომ „ეგრეთ წოდებული“?

იმიტომ, რომ ის დრო, სამწუხაროდ, დიდი ხანია, წარსულს ჩაბარდა, როდესაც კონსტანტინოპოლის პატრიარქები მართლაც იყვნენ მსოფლიოს პატრიარქები. ბართოლომეოსი მხოლოდ ნომინალურად ითვლება მსოფლიო პატრიარქად, თუნდაც იმიტომ, რომ დღეს მისი რეზიდენცია არის არა რუკიდან სამუდამოდ გამქრალი კონსტანტინოპოლის მეჩეთად ქცეული აიასოფიას ტაძარში, არამედ სტამბოლში, ხოლო „მსოფლიო საპატრიარქოს“ მღვდელმთავრებს ისლამური თურქეთის ქუჩებში ანაფორით გასვლაც კი ეკრძალებათ. აღარც ის არის საიდუმლო, რომ თურქეთის ხელისუფლების მკაცრი პატრონაჟის ქვეშ მყოფ ე.წ. მსოფლიოს პატრიარქსა და საპატრიარქოს აშშ-ის გარკვეული ნეოლიბერალური წრეები აფინანსებენ.

წერილის დასაწყისშივე აღვნიშნეთ, რომ გათახსირებული ნეოლიბერასტებისა და ტრადიციონალისტი ნეოკონსერვატორების გლობალური დაპირისპირების საცეცებმა საქართველოს დედაეკლესიის წიაღშიც შეაღწია და ე.წ. ციანიდის საქმემდე მიგვიყვანა...

ისედაც მძიმე სურათს კიდევ უფრო დავამძიმებ იმით, რომ პირდაპირ განვაცხადებ: **ე.წ. მსოფლიო პატრიარქის მიერ 2016 წლის ივნისში კუნძულ კრეტაზე ჩატარებული ე.წ. მსოფლიო კრება, მართლმადიდებელი ეკლესიების ფორუმი კი არა, ფაქტობრივად, მსოფლიოს ეკუმენისტების მწვალებლური შეკრება იყო.**

სწორედ ამიტომ თქვეს მასში მონაწილეობაზე უარი 14-დან 5-მა ეკლესიამ: ანტიოქიის, სერბეთის, ბულგარეთის, საქართველოსა და მართლმადიდებელ სამყაროში ყველაზე დიდმა და ძლიერმა რუსეთის ავტოკეფალურმა ეკლესიამ. აქედან გამომდინარე, **მხოლოდ კრეტინი თუ მიიჩნევს კრეტაზე გამართულ კრებას მსოფლიო კრებად.**

რაც შეეხება კრეტაზე საქართველოს წარმომადგენლების წაუსვლელობის კონკრეტულ მიზეზებს, პირველი და უმთავრესი — კრებაზე გადაწყვეტილებების მიღება უნდა მომხდარიყო არა უბრალო უმრავლესობით, არამედ კონსენსუსით, რომელიც კრების მონაწილეთა ვეტოს უფლებას ნიშნავდა.

**„ქორწინების საიდუმლო და მისი დამაბრკოლებელი მიზეზები“ — ასე ეწოდება დოკუმენტს, რომელშიც, საპატრიარქოს მოთხოვნით, უფრო მკაცრად უნდა ჩამოყალიბებულიყო ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების მიუღებლობა; ამასთანავე, გაუქმებულიყო საგამონაკლისო წესი, რომელიც მართლმადიდებელს არამართლმადიდებელზე ქორწინების უფლებას აძლევდა.**

„მართლმადიდებელი ეკლესიის მისია თანამედროვე მსოფლიოში“ ასე იყო ფორმულირებული: **„მართლმადიდებელი ეკლესიის წვლილი ერებს შორის მშვიდობის, სამართლიანობის, თავისუფლების, ძმობისა და სიყვარულის მისაღწევად, რასობრივი დისკრიმინაციის, ასევე, სხვა სახის დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად“**. საპატრიარქო მოითხოვდა ამოღებას ჩანაწერისა „ასევე სხვა სახის დისკრიმინაციის“, იმ არგუმენტით, რომ იგი მრავალმხრივი გაგების საშუალებას იძლევა. უსაფუძვლო არგუმენტია? „სხვა სახის დისკრიმინაცია“ ხომ ერთი და იმავე სქესის პირთა ქორწინების მიმართ ეკლესიის მხრიდან, სულ ცოტა, ლოიალურ დამოკიდებულებას გულისხმობს? აქედან კი ერთი ნაბიჯია ერთი და იმავე სქესის პირების ჯვრისწერამდე; ნაბიჯი, რომელიც უკვე გადადგა რამდენიმე პროტესტანტულმა ეკლესიამ და, აქედან გამომდინარე, სრულიად ლეგიტიმურია საქართველოს უარი, მართლმადიდებელი ეკლესიების გარდა, სხვა ეკლესიების ქრისტიანულად მოხსენიებაზე. ამ ყველაფერს საქართველოს არასამთავრობო ე.წ. მესამე სექტორმა და ლიბერასტმა პოლიტიკოსებმა ერთხმად უწოდეს ადამიანის უფლებების შეზღუდვისკენ მიმართული მოთხოვნები. სწორედ კრეტაზე წაუსვლელობის გამო ატეხეს უკმაყოფილო ყიყინი დედაეკლესიაში სხვადასხვა დროს შეგზავნილმა **გრიგოლ ბერბიჭაშვილისა** და **პეტრე ცაავას** მსგავსმა „მეუფე ყანდურებმა“, რამაც, საბოლოო ჯამში, მიგვიყვანა ციანიდის საქმემდე, როცა „რუსთავი 2“-ის „შტატიან რესპონდენტად“ ქცეულმა „მეუფე“ პეტრემ ნიღაბი ჩამოიხსნა და შხამი და გესლი ანთხია პირდაპირ ეთერში. საზოგადოებას შევახსენებ, რომ ეს ის პეტრეა, რომელიც **სანდრა რულოვსის** მოძღვარი იყო, წმინდა ხატების გვერდით უწმინდური სააკაშვილის უზარმაზარი ფოტოები ჰქონდა „დასვენებული“ და რომელიც სადისტ ძმებს — **დათა** და **ბაჩანა ახალაიებს** მარტვილის რეზიდენციაში მალავდა და იქიდანვე გააპარა საზღვარგარეთ...

ის, რაც საქართველოს დედაეკლესიაში უკვე მოხდა და შეიძლება მომავალში მოხდეს, კრეტაზე წაუსვლელობის გამო ჩვენი ეკლესიისა და პირადად კათოლიკოს-პატრიარქის დასჯის მცდელობაა ე.წ. მსოფლიო პატრიარქის მიერ. საზოგადოებას შევახსენებ: არამკითხე „ტელეიმედის“ მიერ სტამბოლში ჩაწერილ ინტერვიუს, როცა ბართოლომეოსმა აშკარად იმპერატიულ-შეურაცხმყოფელი ტონით განაცხადა, რომ ჩვენი უწმინდესის წაუსვლელობა კუნძულ კრეტაზე მართლმადიდებლობის უპატივცემულობა იყო.

ყოველივე ზემოთ თქმულის მიუხედავად, საქართველოს ჩაუსვლელობა კრეტაზე შინაურმა თუ გარეულმა ლიბერასტებმა მოსკოვის საპატრიარქოს მხარდაჭერად შეაფასეს და, ალბათ, არცთუ უსაფუძვლოდ. ნეოლიბერასტული ძალების მიერ დაწესებულმა პოლიტიკურ-ეკონომიკურმა სანქციებმა, მოლოდინის მიუხედავად, რუსეთის სამხედრო ძლიერებას ვერაფერი დააკლო და ახლა ბართოლომეოსის მეშვეობით ცდილობენ რუსეთის ეკლესიის დასუსტებას, რადგან კარგად უწყიან, რომ **პუტინის** საერო და **პატრიარქ კირილის** საეკლესიო ხელისუფლებები ერთი მთელის ორი ნაწილია.

**ბართოლომეოსმა განაცხადა, რომ ამჟამად მოსკოვის საპატრიარქოს იურისდიქციაში მყოფი უკრაინის მართლმადიდებელი ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭებას აპირებს. ამ დაუფარავი ანტირუსული დემარშის მხარდაჭერას ილია მეორისგანაც ითხოვს არა მხოლოდ „მსოფლიო პატრიარქი“, არამედ ქოც-ნაცების ლიბერასტი და რუსოფობი ხელისუფლებაც.**

ამ აშკარად ბრიყვული ნაბიჯის გადადგმას ჩვენი ბრძენი პატრიარქი, ეტყობა, ნამდვილად არ აპირებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მოსკოვის საპატრიარქო, დიდი ალბათობით, გაწყვეტს საქართველოს ეკლესიასთან ევქარისტულ კავშირს, რაც იმას ნიშნავს, რომ გაწყდება უკანასკნელი ძაფი, რომელიც რუსეთთან ჯერ კიდევ გვაკავშირებს. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე ოცნება მარადიულ ოცნებად დარჩება.

ამ საფრთხის გამოძახილია წმინდა სინოდის ბოლო განჩინება, რომელშიც ყველაფერია საყურადღებო, მაგრამ უმთავრესს გამოვყოფ: **„წმინდა გიორგის რჩევით“, პატრიარქის მიერ საკუთარ მოსაყდრედ დანიშნული მეუფე შიო ამჯერად წმინდა სინოდმა სკუფიაზე ბრილიანტის ჯვრის ტარების (რაც უმაღლესი გამორჩეულობაა) უფლებით დააჯილდოვა და საპატრიარქო ტახტის მოსაყდრედ დაინიშნა“.**

აი, ამ ამბავმა დამართა ტარაბუა თეოლოგებს, „ტახტის მოსაყდრე“ — ასეთი დეფინიცია არ არსებობსო. ალბათ, ასეც არის, მაგრამ, ჩემი აზრით, აქ თეოლოგია არაფერ შუაშია. იქედან გამომდინარე, რომ წმინდა სინოდის უწმინდური „მეუფე ყანდურნი“, როგორც აფთრები, ისე ელოდებიან პატრიარქის სიკვდილს, რათა ხელში ჩაიგდონ ეკლესიის მმართველობა და ეროვნულობის დამცველი ეს ერთადერთი ინსტიტუტიც ოკეანისგაღმელი პატრონების საამებლად გაალიბერასტონ, რაც მოკლე ხანში ქართველი ერის, როგორც კულტურული ფენომენის სიკვდილს გამოიწვევს, **საპატრიარქოს ტახტის მოსაყდრეობა პატრიარქის მიერ მეუფე შიოს საკუთარ მემკვიდრედ გამოცხადებას ნიშნავს.**

**დავით მხეიძე**

**P.S. ათასჯერ ნათქვამს ათასმეერთედ ვიტყვი: დიახ, ჩვენი დედაეკლესია რუსეთისკენ იყურება, რადგან დღეს პრორუსულობა საქართველოს გადარჩენას ნიშნავს იმ ომში, რომელიც ჩვენ თვალწინ მიმდინარეობს; ომში, რომელშიც ლიბერასტების გამარჯვება კულტურული კაცობრიობის დაღუპვას ნიშნავს. ერთადერთი გადაულახავი წინაღობა ამ ომში მართლმადიდებელი რუსეთია, რომელსაც ებრძვიან სატანისტი ლიბერალები, რომელთა იდეოლოგია, დოსტოევსკის მიხედვით, ასეთია: „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი შეიძლება!“ გნებავთ, ყველაფერი მოსულა!**

**არჩევანი შენზეა, „ჩემო კარგო ქვეყანავ“!**

ბაკურ სუანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**უკვე ოთხასსამოცდამერვედ მოვისმინეთ, როგორ ზრუნავს ჩვენზე ჩვენი უპირველესი სამხედრო პარტნიორი, როგორ „ახალ ფაზაშია“ გადასული ჩვენი ურთიერთობები, როგორ „სრულიად ახალ ეტაპზეა“ ჩვენი თანამშრომლობა და რა „აბსოლუტურად ახალ ნაბიჯებს“ დგამს ამერიკა და ნატო ჩვენი მიმართულებით. ეს სიხარული განელებულიც არ გვქონდა ყველა ქართველს, რომ თავდაცვის მინისტრმა გულები დაგვიხეთქა, როდესაც გვაუწყა, საქართველოს თავდაცვის უწყება ამერიკის შეერთებული შტატებისგან უახლოეს ხანში შეიძენს ულტრათანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო „სტინგერის“ სისტემის რაკეტებსო.**

**რუსეთს, როგორც ვიცით, უკვე მთლიანად განადგურებული აქვს სატანკო კორპუსები და ახლა მხოლოდ ავიაციის იმედადღა დარჩა, თუმცა, როგორც ჩანს, საქართველო ამ ამბავსაც მალე „მოაგვარებს“ — მთლიანად გაუნადგურებს რუსეთს სამხედრო თვითმფრინავებს და მერე მოსკოვისკენაც გზა ხსნილი ექნება. დიახ, თუკი ამ დათვს საკუთარ ბუნაგში არ მოვახრჩობთ, როგორც ეს თავის დროზე სტალინმა „ფაშისტურ მხეცზე“ თქვა, მაინც არ მოისვენებს და ყოველთვის იქნება იმის საფრთხე, რომ თბილისში შემოიჭრას, რაც უნდა დანებითა და ჩანგლებით დახვდეს მას თბილისის ჩრდილოეთის კართან ნაციონალი დავით ბაქრაძე.**

# გაჯაველინებული საქართველოს გამოსტინგერება

მკითხველს, რა თქმა უნდა, გაუკვირდება, რატომ დავიწყე ასეთი კომიკური ბოდვით ეს სტატია. რა ვიცი, რა გითხრათ, უკვე მთელი ქვეყანა, ყველა სახელმწიფო სტრუქტურა და სამთავრობო უწყება მართლა ავადმყოფივით ბოდავს და, როგორც ჩანს, თუ მეც არ ავყევი, ვერასოდეს მივაღწევ „წარმატებას“ ცხოვრებაში.

აბა, დაუკვირდით — **დღეს „წარმატებულს“ იმ ადამიანს ეძახიან, რომელიც მორჩილად აქნევს თავს ასეთ ბოდვებზე: რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ყველაზე ერთგული სტრატეგიული პარტნიორი და უანგარო მოკავშირეა, რომ ამერიკელებს საკუთარი ინტერსებიც კი არ აღელვებთ ისე, როგორც საქართველოს ინტერესები და რომ მათ ჩვენზე ფიქრით არ ძინავთ დღე და ღამე.**

აი, თუ ასეთ ბოდვებს დაეთანხმები, მეტიც — პროპაგანდას გაწევ ყველგან და ყოველთვის, ფეისბუკგვერდზე თუ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, აუცილებლად იქნები „წარმატებული“ და შენი ადგილი აუცილებლად გამოინახება ან რომელიმე სახელმწიფო დაწესებულებაში, ან გულუხვად დაფინანსებულ ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციაში.

ხოლო ის ადამიანები, რომლებიც სიმართლეს ამბობენ, რომ **„საქართველოს უანგარო მეგობარი და პარტნიორი არც ერთი ქვეყანა არ არის — არც ამერიკა და არც რუსეთი, უბრალოდ, ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ შექმნილი სიტუაციიდან რაც შეიძლება ნაკლებად დავზარალდეთ და, თუ ამ ეტაპზე რუსეთის თუნდაც „ველიკოდერჟავული“ ინტერესებია გასათვალისწინებელი, უნდა გავითვალისწინოთ!“** — ასეთ ადამიანებს „რუსული პროპაგანდის გამავრცელებლებს“ უწოდებენ, მათ ყველგან დაკეტილი აქვთ გზა და „წარუმატებლობა“ მათი მწარე ხვედრია.

ეს არის ძალიან მოკლე აღწერა იმ სიტუციისა, რომელიც საქართველოში დღეს ხდება. უფრო ვრცელი სიმართლე და ამ სტატიის დაწერის ძირითადი მიზეზი ის არის, რაც საქართველოს ე.წ. დროებითი მთავრობის თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ ილაპარაკა პარლამენტში, როდესაც პარლამენტარები „ბახტაძის კაბინეტს“ ამტკიცებდნენ.

გარდა იმისა, რომ ჩვენ **უკვე ოთხასსამოცდამერვედ მოვისმინეთ, როგორ ზრუნავს ჩვენზე ჩვენი უპირველესი სამხედრო პარტნიორი, როგორ „ახალ ფაზაში“ გადავიდა ჩვენი ურთიერთობები, როგორ „სრულიად ახალ ეტაპზეა“ ჩვენი თანამშრომლობა და რა „აბსოლუტურად ახალ ნაბიჯებს“ დგამს ამერიკა და ნატო ჩვენი მიმართულებით, ეს სიხარული ჯერ კიდევ განელებულიც არ გვქონდა ყველა ქართველს, რომ თავდაცვის მინისტრმა გულები დაგვიხეთქა, როდესაც გვაუწყა, საქართველოს თავდაცვის უწყება ამერიკის შერთებული შტატებისგან უახლოეს ხანში შეიძენს ულტრათანამედროვე ჰაერსაწინააღმდეგო „სტინგერის“ სისტემის რაკეტებსო.**

მოდი და მშვიდად მიიღე ეს ამბავი! როგორც დასწაყისში ვთქვი, ჯერ კიდევ ბოლი ასდის ამას წინათ ამერიკისგან 75 მილიონად შესყიდული „ჯაველინების“ მიერ განადგურებულ რუსულ ტანკებს და ახლა აგერ, უცებ „სტინგერებით“ თვითმფრინავებსაც ვუნადგურებთ საწყალ რუსეთს.

„ჯაველინი“, მოგეხსენებათ, ტანკსაწინააღმდეგო სისტემაა და ის მხოლოდ ხმელეთზე მავალი ჯავშანმაქანების წინააღმდეგ გამოიყენება. ჰოდა, ჩვენი უმთავრესი სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორი აშშ ისე როგორ დაგვტოვებდა, რომ რუსულ საბრძოლო თვითმფრინავებზეც არ ეფიქრა?

გამოხტებიან ახლა ვიღაც ჩემნაირი ინტრიგანები და დაიწყებენ: რა ჯანდაბად გვინდა „ჯაველინები“ და „სტინგერები“ ულტრათანამედროვე ომში?! რუსეთი, თუ მოინდომა, ისე გადაგვივლის და გაგვასწორებს მიწასთან, მის ერთ ტანკსა და თვითმფრინავსაც ვერ მოვკრავთ თვალსო. აი ასეთი „რუსული პროპაგანდა“ მიმდინარეობს საქართველოში, რათა როგორმე წყალში ჩაყარონ ჩვენზე უანგაროდ მზრუნველი პარტნიორის, ამერიკის შეერთებული შტატების, მიერ ჩვენთვის გაწეული დახმარება...

**სიტყვები „უანგარო“ და „დახმარება“ ვახსენე და ვიცი, ზოგიერთი შემედავება: რას ნიშნავს, უანგაროდ გადმოსცეს „ჯაველინები“ საქართველოს, მაშინ როდესაც ამაში ამერიკამ ჩვენგან 75 მილიონი დოლარი მიიღოო?!**

აი ასეთი უმადურები ვართ ქართველები. **განა რა სახსენებელია, სულ რაღაც, 75 მილიონი დოლარი, როდესაც საქმე რუსული სატანკო კორპუსების განადგურებას ეხება? ვიცი, ზოგიერთი თავხედი იმასაც იტყვის, თუკი „ჯაველინების“ გამოყენებით ასე იოლად არის შესაძლებელი რუსული სატანკო შენაერთების განადგურება, რაღა ჩვენი ხელით ცდილობს ამერიკა ამის გაკეთებას, ადგეს და თვითონ გაანადგუროსო...**

საერთოდაც, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ლამის ყოველდღე გაიძახიან, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ავყვებით რუსულ პროვოკაციებს და საქართველო არავითარ შემთხვევაში არ ჩაებმება რუსეთთან საბრძოლო მოქმედებებშიო.

ჰოდა, მე, როგორც ცნობილ ინტრიგანს, ძალიან მაინტერსებს, თუ საქართველო არასოდეს და არავითარ შემთხვევაში არ აპირებს რუსეთთან საომარ მოქმედებებში ჩაბმას, მაშ, რისთვის გვჭირდება ან „ჯაველინები“, ან „სტინგერები“, ან სხვანაირი სამხედრო-საომარი სისტემები? რუსეთთან თუ გამორიცხულია ომი, რა, რომელიმე სხვა ქვეყანასთან ვემზადებით საომრად?

იაპონიასთან ვაპირებთ ომს თუ ჩრდილოეთ კორეასთან?

მით უმეტეს, **რატომ ვიხდით 75 მილიონს იმაში, რაც არაფერში არ გვჭირდება და არც არასოდეს დაგვჭირდება? ჩვენს „უანგარო“ სამხედრო პარტნიორს რაც შეეხება, მას ეს „ჯაველინები“ და „სტინგერები“ ისედაც უქმად უცდება საწყობებში.** სხვათა შორის, „ძაან პატრიოტებს“ მინდა შევახსენო, რომ არსებობს ასეთ ტერმინი — „უტილიზაცია“, რაც ჩამოწერილი, უვარგისი ან ვადაგასული სამხედრო ტექნიკის განადგურებას გულისხმობს. ეს „უტილიზაცია“, რომ იცოდეთ, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და მართლაც, რატომ უნდა დახარჯო ფული ამ მოძველებული სამხედრო სისტემების განადგურებაში, თუკი რომელიმე დაგოიმებული „პარტნიორის“ ხარჯზე ამით ფულის გაკეთება შეგიძლია?!



**არსებობს ასეთი ტერმინი — «უტილიზაცია», რაც ჩამოწერილი, უვარგისი ან ვადაგასული სამხედრო ტექნიკის განადგურებას გულისხმობს. ეს «უტილიზაცია», რომ იცოდეთ, საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და მართლაც, რატომ უნდა დახარჯო ფული ამ მოძველებული სამხედრო სისტემების განადგურებაში, თუკი რომელიმე დაგოიმებული «პარტნიორის» ხარჯზე ამით ფულის გაკეთება შეგიძლია?!**



რა თქმა უნდა, ცალკე სალაპარაკოა, რამდენად ულტრათანამედროვეა თავისთავად ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა „სტინგერი“, რომელსაც ჯერ კიდევ ავღანეთში საბჭოთა ავიაციის წინააღმდეგ იყენებდნენ 1980-იან წლებში და რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების არმიაში 70-იანი წლებიდან გამოჩნდა.

მომისმენია არგუმენტი: 2008 წლის აგვისტოს ომში ორი თუ სამი რუსული თვითმფრინავი სწორედ „სტინგერებით“ ჩამოვაგდეთო. კარგი, მაგრამ, ჯერ ერთი, რომ ჩამოვაგდეთ, მერე რა? რა შედეგი მოგვიტანა 2-3 თვითმრინავის ჩამოგდებამ, გარდა იმისა, რომ რუსეთმა ამის შემდეგ უფრო თანამედროვე ავიაცია ჩართო საქმეში და უფრო გააფთრებით შემოგვიტია? აი, ამის მერე გამოგვადგა რამეში „სტინგერი“?

**„ჯაველინების“ არ იყოს, რომელთა გასროლა, სავარაუდოდ, მაშინ თუ მოგვიწევს, როდესაც ბერა ივანიშვილი ცოლს მოიყვანს, რადგან რუსეთთან ომს მაინც არ ვაპირებთ, როგორც ჩანს, „სტინგერების“ შეძენასაც, მწყერზე ნადირობის სეზონი რომ ახლოვდება, ამიტომ აპირებს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო...**

ეს სტატია ასეც უნდა დასრულებულიყო, მაგრამ ჩართული ტელევიზორიდან უცებ ნატოს გენერალური მდივნის, **იენს სტოლტენბერგის,** ხმა შემომესმა, რომელიც თურქეთში ჩატარებულ ვადამდელ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნებს აფასებდა.

**„ჩვენ ძალიან დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდით თურქეთში არჩევნების მიმდინარეობას, რადგან თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და თანაც მისი ტერიტორიული მდებარეობა უმნიშვნელოვანესია ჩვენთვის. მოგეხსენებათ, თურქეთს ჩრდილოეთის მხრიდან რუსეთი ესაზღვრება“,** — განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა *(ტელეკომპანია „იმედი“. 25 ივნისი. 21.00 საათის საინფორმაციო გამოშვება).*

რუსეთსა და თურქეთს სახმელეთო საზღვარი რომ არ აქვთ და ასეთი საზღვრის არსებობის მცდელობა 1921 წელს ქართველი გენერლის, **გიორგი მაზნიაშვილის,** თავგანწირვამ ჩაშალა „ბოლშევიკური რუსეთის“ სამხედრო ძალების დახმარებით, ყველამ ვიცით.

საზღვაო საზღვარიც, როგორც ვიცი, რუსეთსა და თურქეთს არ აქვთ და მათ შორის საქართველოს საზღვაო აკვატორიაა. მაშ, რა გამოდის? პატივცემული იენს სტოლტენბერგი საქართველოს ცალკე ქვეყნად არ მიიჩნევს? თუ მას უკვე თურქეთის ტერიტორიად მიაჩნია საქართველოს ის ნაწილი, რომლის ოკუპაციაც რუსეთს არ მოუხდენია?

**იქნებ ყარსის ხელშეკრულების ვადის გასვლისთვის ემზადება თურქეთიც, რუსეთიც და თვით ნატოც?**

**იქნებ სამივემ თხასავით გაგვყიდა, საქართველოს ბედი უკვე გადაწყვეტილია და სწორედ ამის გამოძახილი იყო სტოლტენბერგის ეს წამოცდენა?**

რა, ჯერ არავის გაუვუყიდივართ ან ჩვენივე შტერული მოქმედებების გამო არ ვართ ამის ღირსი?!

**„მინისტრებმა და პოლიტიკოსებმა პენტაგონში სირბილსა და დირექტივების მიღებას თავი უნდა დაანებონ. სჯობს, რეალურად დაიწყონ მოლაპარაკება რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, როგორ და რა ფორმით აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. დიალოგის გარეშე არაფერი შეიცვლება“.**

თვალსაწიერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ტრისტან წითელაშვილი:

# საქართველოში საჰაერო თავდაცვის სისტემა არ გვაქვს, სივრცე უკონტროლოა და ისე დათარეშობს ყველა, როგორც მოესურვება. ვის რისთვის უნდა «სტინგერები»?

**„საქართველო აშშ-ისგან საჰაერო თავდაცვით სისტემებს – „სტინგერებს“ მიიღებს“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ლევან იზორიამ. მინისტრის შეფასებით, „ჯაველინების“ გადმოცემის შემდეგ „სტინგერების“ გადმოცემა თავდაცვის სფეროში განხორციელებული პოლიტიკის სისწორესა და აშშ-ის მიერ მის აღიარებაზე მიუთითებს. მანამდე, მიმდინარე წლის იანვარში, საქართველომ ტანკსაწინააღმდეგო სისტემები — „ჯაველინი“ აშშ-ისგან 75 მილიონ დოლარად შეიძინა. რაც შეეხება „სტინგერებს“, კონკრეტულ კონტრაქტზე არაფერი ვიცით — არ ვიცით, რა მოცულობისაა, შედის თუ არა მასში სპეციალისტების მომზადება და სხვ. ოფიციალური პირები პირდაპირ არ ამბობენ, მაგრამ მათ განცხადებებში სტრიქონებს შუა იკითხება, რომ ამ იარაღს რუსეთის მოსაგერიებლად ყიდულობენ. „საქართველო და მსოფლიოს“ სამხედრო ექსპერტი ტრისტან წითელაშვილი ესაუბრა:**



— „სტინგერებზე“ უკეთესი შეიარაღება გვქონდა 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, როდესაც საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა მოახერხა ომის პროვოცირება. ეს იყო „ბუკები“, „M4“-ები, „იგლები“, „სტრელები“; ამ იარაღებით მაშინ ვერ მოიგერიეს მოწინააღმდეგის ბომბდამშენები. გადავხედოთ ახალ რეალობას — **რუსეთს თავდაცვის ძლიერი ჰაერსაწინააღმდეგო სისტემები აქვს. ეს ქვეყანა არც კი შემოიჭრება საქართველოში, თავისი ტერიტორიიდან ისე განახორციელებს წერტილოვან დარტყმებს და მაშინ ვერც „ჯაველინი“ გვიშველის და ვერც „სტინგერი“.** რუსეთს ცხინვალსა და ოჩამჩირის ტერიტორიაზე განთავსებული აქვს „C 400“-ები, რომლებიც 400კმ-ის რადიუსში აკონტროლებს და ანადგურებს ყველაფერს. მაშინ, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ აშშ-ისგან მიიღო „ჯაველინები“, ისეთი განცხადებები გაკეთდა, თითქოს ჩვენ უკვე დაკარგული ტერიტორიები დავიბრუნეთ და სრულ მზადყოფნაშია თავდაცვის სისტემა. თანამედროვე სამხედრო ტექნოლოგიებში „ჯაველინები“ აღარ გამოიყენება, მით უმეტეს, მაინტერესებს, საქართველოს პირობებში სად უნდა გამოიყენონ და როგორ აამოქმედებენ იმ შემთხვევაში, თუკი მოწინააღმდეგე საბრძოლო მოქმედებას განახორციელებს. ეს არის პროვოკაციული განცხადებები. **ლევან იზორიას** პროვოკაციული განცხადებები მახსენებს **მიხეილ სააკაშვილის** მიერ გაკეთებულ პროვოკაციულ განცხადებებს, როდესაც თქვა: ჩვენი შეიარაღებული ძალები მზად არიან, მოიგერიონ ნებისმიერი საბრძოლო შემოტევაო. ყველამ იცის, როგორ საბრძოლო მზადყოფნაში იყო ჩვენი შეიარაღებული ძალები, როდესაც სააკაშვილმა მოახერხა აგვისტოს ომის პროვოცირება 2008 წელს. ისე, არ დაგვავიწყდეს, ვინ არის ლევან იზორია და საიდან მოვიდა პოლიტიკაში. იზორიას კარიერა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში, როდესაც 2004-2006 წლებში პოლიციის აკადემიის რექტორი იყო. ამერიკამ 2006 წელს დაიწყო საქართველოსთვის სხვადასხვა ტიპის იარაღის მიწოდება. ამერიკიდან იყო დაფინანსება, ხოლო იარაღის შესყიდვა უკრაინაში ხდებოდა. საყურადღებოა, რომ საქმე გვაქვს დანაშაულებრივ ქმედებებთან, რომელთა დადასტურებაც დოკუმენტებით შემიძლია.

— **რას გულისხმობთ?**

— 2006 წელს საქართველომ დაიწყო ამერიკული თანხებით იარაღის შესყიდვა უკრაინის ერთ-ერთი კომპანიიდან, რომლის გენერალური დირექტორი იყო **სერგეი ბონდარჩუკი.** საქართველოს იმჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხელშეკრულება გააფორმა უკრაინის იმჟამინდელ პრეზიდენტ **ვიქტორ იუშჩენკოსთან,** შესაბამისად, **უკრაინის მხარეს უნდა მოეწოდებინა სხვადასხვა ტიპის თავდაცვითი შეიარაღება და საბრძოლო მასალები.** იცით, როგორ ხდებოდა? **— სეიშელის კუნძულებზე გახსნილი ჰქონდათ საიდუმლო ანგარიში, ამერიკიდან თანხები ჯერ იქ ირიცხებოდა, იქიდან კი — თავდაცვის სამინისტროში, როგორც გრანტები, ხოლო თავდაცვის სამინისტრო ამ თანხებს ურიცხავდა უკრაინულ მხარეს.** ასე ათეთრებდნენ ფულს, რომლის გარკვეული ნაწილი ამერიკაში ბრუნდებოდა ლობისტებთან. საბოლოოდ ეს საბრძოლო ტექნიკა აღმოჩნდა სულ სხვა ქვეყანაში — სირიაში. **მინდია ჯანელიძე** იყო თავდაცვის მინისტრი, რომელიც ამ საქმის გამოძიებით დაინტერესდა. ჩაერთო გენინსპექცია, სამხედრო პოლიცია, მაგრამ არ აცალეს. იმის მაგივრად, რომ მადლობა ეთქვათ, რუსეთის დაზვერვის აგენტი უწოდეს. **ვინც დაინტერესებულია მსგავსი საქმეების გამოძიებით, ამერიკელების პირდაპირი ბრძანებაა, გენერალური შტაბის უფროსებმა მათ ბრალი დასდონ რუსეთის დაზვერვის აგენტობაში.** ასე გააკეთეს ჩემ შემთხვევაშიც, როდესაც ვმუშაობდი თავდაცვის სამინისტროში, თითქოს სამი მილიონი ლარი გავფლანგე და ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ს დაავალეს, ფალსიფიცირებული სიუჟეტი მოემზადებინა, თითქოს მე სამხედრო ბაზებში ვიპარებოდი და ფარულ ვიდეოჩაწერას ვახორციელებდი, რომელსაც შემდეგ ვაწვდიდი რუსულ მხარეს. ეს რატომ გააკეთეს, იცით? — იმიტომ, რომ გადაეფარათ ჩემი ნამოქმედარი, როცა ვამხილე სააკაშვილის ხელისუფლება და ხელმძღვანელი პირები — **ბაჩანა ახალაია** და **გიგი კალანდაძე.**

— **გამოდის, აშშ თავის საქმეს საქართველოს ხელით აკეთებდა?**

— დიახ. ამერიკა დღესაც საქართველოს ხელით აკეთებს თავის საქმეებს. ამერიკის სახელმწიფო მდივანმა განაცხადა: **ჩვენ არ ჩავერევით საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტში. არის ხალხი, რომელიც რუსეთის წინააღმდეგ იომებსო. მათ მივცეთ იარაღი და ფული. ამერიკა აფინანსებს საქართველოსა და უკრაინაში მსგავს პროვოკაციულ ქმედებებს,** საითაც მიჰყავთ საქმე იზორიებსა და მისნაირებს. არ არის გამორიცხული, პროვოკაციული ქმედებების გამო, გარკვეული ტიპის საბრძოლო მოქმედებები განაახლოს მოწინააღმდეგე მხარემ საქართველოში.

— **საქართველოს ტერიტორიის 20% ჩვენს იურისდიქციაში არ არის. ამ ტერიტორიებზე გავლენის აღსადგენად რა ჯობია — „ჯაველინებით“ და „სტინგერებით“ მომარაგება თუ მათ დე ფაქტო ხელისუფლებასთან და რუსეთთან დიალოგი?**

— **მინისტრებმა და პოლიტიკოსებმა პენტაგონში სირბილსა და დირექტივების მიღებას თავი უნდა დაანებონ.** სჯობს, რეალურად დაიწყონ მოლაპარაკება რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან, როგორ და რა ფორმებით აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა. რუსეთთან დიალოგის გარეშე არაფერი შეიცვლება. ამ ეტაპზე საქართველო არის ბრძოლისუუნარო. საქართველოში საჰაერო თავდაცვის სისტემა საერთოდ არ გვაქვს და ეს „სტინგერები“ ვის რისთვის სჭირდება?! საქართველოს საჰაერო სივრცე არის უკონტროლო და ისე დათარეშობს ყველა, როგორც მოესურვება. შესაბამისად, მშვიდობიან მოლაპარაკებებს და დიალოგს რუსეთთან ალტერნატივა არ აქვს, რუსეთი კი ამისთვის მზად არის. ამერიკაშიც გამოვიდნენ კონგრესმენები, თითქოს მიესალმებიან საქართველოს ინიციატივას მოლაპარაკებების გზით რუსეთთან ურთიერთობების მოგვარებაზე, მაგრამ, ამასთანავე, მინისტრებსა და პოლიტიკოსებს შენიღბულად იბარებენ კაბინეტებში და ახალ დავალებებს აძლევენ.

— **სურს ამერიკას, რომ საქართველოს კეთილმეზობლური ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან და დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორიები?**

— ნატოს გენერალური მდივანი დაუფარავად ამბობს, ჩვენ უნდა დავასუსტოთ რუსეთიო. მათ პრეტენზია აქვთ რუსეთთან, რატომ ფლობს ის ამხელა ქონებას ვგულისხმობ წიაღისეულ სიმდიდრეებს. ამერიკის მიზანია, როგორმე დაასუსტოს რუსეთი და მოიმწყვდიონ კუთხეში პოლიტიკურად. შესაბამისად, ცდილობენ, ამ გეგმის მიხედვით გააძლიერონ საქართველო და უკრაინა, რათა ჩვენი ხელით გააკეთონ საქმე. შემდგომში კი ულტიმატუმის ენით დაუწყონ საუბარი — ეს ძალიან ადვილი შესამჩნევია. რაც მეტ ქაოსურ მდგომარეობაში ვიქნებით, ეს ამერიკელების წისქვილზე დაასხამს წყალს. **მანამდე არაფერი გვეშველება, სანამ ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები ოკეანის გაღმა წანწალს არ შეეშვებიან და არ დაემშვიდობებიან ამერიკასა და მათ ფულს.** რუსეთს არ უნდა, რომ მის მეზობელ ტერიტორიაზე შემოიყვანონ ნატოს ჯარები, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის ინტერესი. თუ ეს არ მოხდება, მერწმუნეთ, დაიწყება დეოკუპაციაზე ლაპარაკი.

— **პროვოკაციულ განცხადებებს ახსენებთ, ხომ არ ელოდებით ახალ საფრთხეებს?**

— ახალი ომის ზღვარზე არ ვართ? მსახიობი **დავით ქაცარავა** იცავს საოკუპაციო ზოლს. გაკვირვებული ვარ, სამოქალაქო პირს როგორ მისცეს ხელში ცეცხლსასროლი იარაღი. ეს არის გამოწვევა და პროვოკაცია. საბოლოოდ კი, გამორიცხული არ არის, რომ ქაცარავასთან მიაგზავნონ „თავიანთი“ ხალხი და **ტატუნაშვილივით** გამოასალმონ სიცოცხლეს. ეს არის სპეცსამსახურების ტექნოლოგიები, — როდის მოახდინონ ომის პროვოცირება. სანამ გვიანი არ არის, გონს უნდა მოეგოს ყველა. ისე, ვერ ვხედავ პოლიტიკურ ძალას, რომელიც რუსეთთან დიალოგისთვის მზადაა. **ნინო ბურჯანაძე** და „პატრიოტთა ალიანსი“ თუ რეალურად ფიქრობენ რუსეთთან ურთიერთობის აღდგენაზე, უნდა გაერთიანდნენ და მოითხოვონ რეფერენდუმის ჩატარება. ამერიკის სპეცსამსახურების წარმომადგენლები და ანალიტიკოსები აქ სხედან და აკონტროლებენ ყველას და ყველაფერს — პოლიტიკური პარტიებით დაწყებული, არასამთავრობო ორგანიზაციებით დამთავრებული. ჩაატარებენ გამოკითხვებს და ავრცელებენ ხალხში: აი გამოკითხვის შედეგები და რისთვის გვინდა რეფერენდუმიო, მაგრამ ამ გამოკითხვებში ვინმემ დასვა კითხვა: **გვინდა თუ არა რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა?**

მოამზადა
**ნანა კაპანაძემ**

**P.S. „სტინგერი“ ამერიკული წარმოების საზენიტო-სარაკეტო გადასატანი კომპლექსია, რომელიც აშშ-ის შეიარაღებულამ ძალებმა 1981 წელს მიიღეს. ის არაერთი სამხედრო კონფლიქტის დროს გამოიყენეს, მათ შორის სსრკ-ავღანეთის, იუგოსლავიისა და ირან-ერაყის ომის დროს. სისტემის გამშვები ბლოკის ფასი 40 000 დოლარს აღწევს. დღეს „სტინგერი“ 30-მდე ქვეყნის შეიარაღებაშია, ლიტვისა და ლატვიის შემდეგ საქართველო მესამე ყოფილი საბჭოთა ქვეყანა იქნება, რომელიც ამ საზენიტო-სარაკეტო სისტემას მიიღებს.**

**რედაქციისგან:**

**ნატოსა და მის მთავარ წევრ აშშ-ს საქართველოსგან სჭირდება მხოლოდ ჩვენი ტერიტორია სამხედრო ბაზების განსათავსებლად და სამიზნეში რუსეთის ამოსაღებად. ტერიტორიული პრობლემების მქონე ქვეყნების ნატოში მიღება არ შეიძლება. ამიტომ ნატოსა და ამერიკის ერთადერთი ინტერესი ჩვენ მიმართ არის ის, რომ რაც შეიძლება მალე ვთქვათ უარი აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთზე. ამით მათ ხელი გაეხსნებათ საქართველოს ნატოში შესაყვანად.**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„დღეს ბანკის მონაა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბანკირები ჰალსტუხიანი ყაჩაღები არიან, ხოლო კვირიკაშვილი მათი მეგობარი იყო. ამ ყველაფრის წინააღმდეგ ბახტაძე კი გამოვიდა, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის და გაღატაკებულ მოსახლეობასაც ცარიელი სიტყვები არაფერში წაადგება, თუ მოქმედებას არ დაიწყებს. უკვე მის ხელშია სათანადო ბერკეტები. თუ ახალი პრემიერი მძარცველების პარპაშს აღკვეთს, მისასალმებელი იქნება“.



ელიზბარ ჯაველიძე:

# ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ, ამერიკის პროვინცია ვართ. თუ ეს არ მოისპო, რომელ პრემიერზე, რომელ ქვეყანაზე, რა გადარჩენასა და რა დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ?!

**პრემიერმინისტრ გიორგი კვირიკაშვილის გადადგომიდან კვირაზე მეტი გავიდა, მაგრამ მის გარშემო ატეხილი ხმაური არ ცხრება. საზოგადოების გაღიზიანებას იწვევს ის, რომ ყოფილ პრემიერს ბრალი ედება ბანკირებთან და ყოფილ ნაციონალებთან კოაბიტაციაში. ვინ იყო სინამდვილეში გიორგი კვირიკაშვილი? — ამ და ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გვესაუბრება მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე.**

— როგორც კი გამოჩნდა **კვირიკაშვილი,** მაშინვე ვთქვი, რომ ამ კაცისგან არაფერი გამოვიდოდა და კარგს არაფერს მოგვიტანდა, რადგან ჯერ პრემიერის კაბინეტშიც არ იყო შესული, რომ **ხაზარაძესთან** ერთად ანაკლიაში ჩავიდა.

მხოლოდ ერთხელ ვთქვი, — კაცურად მოიქცა კვირიკაშვილი, როდესაც **ნიკა მელიას** კეთილები შეაგინა-თქო. ამბობდნენ, წესიერი კაციაო, გარეგნულადაც მოსწონდათ, მაგრამ წესიერი არ არის ის კაცი, რომელიც 5-6 პარტიას გამოიცვლის, პრინციპის გამო კი არა, კეთილდღეობის გამო. ასეთები კარიერისტები არიან და არა პოლიტიკოსები.

არ მიყვარს წაქცეულზე ლაპარაკი, მაგრამ, რასაც ახლა ვამბობ, ადრეც მითქვამს. როდესაც შევიტყვე, რომ მოსვლისთანავე **ჯეჯელავა** დანიშნა განათლების მინისტრად, ვთქვი: კვირიკაშვილო, ვაი, შენს პატრონს-მეთქი. ჯეჯელავა არავის მოსწონდა, მაგრამ კვირიკაშვილი მაინც გაიძახოდა: საუკეთესო მინისტრიაო. არადა, ჯეჯელავა ავადმყოფი იყო.

**— კვირიკაშვილის გუნდის წევრია ეკონომიკის მინისტრი ქუმსიშვილიც. აი ის, „ბღუჯა-ბღუჯა“ რომ დაარქვეს... ამბობენ, პარლამენტის წევრებს შორისაც ბევრია კვირიკაშვილის მომხრე, მათ შორის, ყოფილი ნაციონალებიცო.**

— სულ მესმოდა, რომ **ბიძინა ივანიშვილს** აბრალებდნენ პარლამენტის წევრების სიის შედგენას, მაგრამ გამოქვეყნდა კვირიკაშვილისა და ივანიშვილის საუბრის ჩანაწერი და იქ ნათლად ჩანს, რომ ივანიშვილი მთავრობის საქმიანობაში ჩარევას თავს არიდებდა. **ის პირდაპირ ეუბნება კვირიკაშვილს, — არც ერთხელ არ დამირეკავსო, ერთხელ დავრეკე და ჩემი ნათქვამი არ გაითვალისწინეო.**

საქართველოს აქვს მეცნიერებათა აკადემია, ჰყავს გამოცდილი აკადემიკოსები. შესაძლოა, ვარსკვლავებს არ ვწყვეტთ, მაგრამ მაინც... **რამდენჯერ მივმართეთ კვირიკაშვილს თხოვნით, რეკომენდაციით, გვპირდებოდა რაღაცებს, მაგრამ არაფერს აკეთებდა. დღე და ღამე ბანკირებთან იჯდა, ერთხელაც არ გასჩენია სურვილი, მეცნიერებს დაგვლაპარაკებოდა, არ გვკადრულობდა. ქუმსიშვილზეც** ვიტყვი ერთ-ორ სიტყვას. ქუმსიშვილის პორტრეტი ცნობილია: ის მომხვეჭელია, თანაც ყველანაირი გზითა და ფორმით, უკადრებელსაც კი იკადრებს ფულის გამო.

**— კვირიკაშვილის თანამდებობა არჩევითი არ არის, მას ხალხი არ იჩევს. პრემიერს ნიშნავენ. ვინ დანიშნა ის ამ თანამდებობაზე?**

— უბედურება არის ის, რომ, როდესაც კაცს ნიშნავენ ამა თუ იმ თანამდებობაზე, მის წარსულს არ სწავლობენ. ადამიანს უნდა იცნობდე, როდესაც ნდობას უცხადებ. კომუნისტებს აგინებენ, მაგრამ საგინებლები სულაც არ არიან, რადგან მათ ადამიანის ამოცნობა იცოდნენ. **თუ კაცს დაბალ თანამდებობაზე არ ჰქონდა ნამუშევარი და პროფესიონალი არ იყო, მაღალ თანამდებობას არ გააკარებდნენ. ეს პრინციპი დღეს აღარ მუშაობს. კაცი კარგი მენეჯერი ჰგონიათ და მინისტრად ნიშნავენ. არავის აინტერესებს, საიდან მოდის, რა პროფესიისაა, რა უკეთებია.**

აიღეთ განათლების სფერო. გახსოვთ, მინისტრები ვინ იყვნენ? ჯერ კანალიზაციის „სპეციალისტი“ დასვეს მინისტრად, აი ის — **ლომაია**, რამდენიმე სახელს რომ ატარებდა; მერე გადავიდნენ განათლების მინისტრად ციხეების უფროსის დანიშვნაზე, მერე — პროკურატურის მაღალჩინოსნებზე. რატომ? იმიტომ, რომ დაენგრიათ განათლების სისტემა და ეს მხოლოდ განათლების სისტემას არ ეხება, ეს ეხება ყველა სფეროს და ბოლოს — სახელმწიფოსაც. ჩვენს ქვეყანაში ყველა სფერო ნულზე დაბლაა და მიზანიც სწორედ ეს იყო.

ახლა **მოუნდათ, განათლების სამინისტრო კულტურისა და ფიზკულტურის სამინისტროს შეუერთონ, რაც ყოვლად დაუშვებელია. კულტურის მინისტრს ჯაზის მეტი არაფერი ესმოდა და წარმოდგენა არ მაქვს, რა უნდა ქნას...**

**— გამოდის, თქვენ არც ახალი პრემიერი ბახტაძე არ მოგწონთ. მისი ბიოგრაფია იცის ხალხმა, დიდად სახარბიელო არ არის, მაგრამ მაინც დანიშნეს...**

— ბახტაძეს კარგად არ ვიცნობ, მაგრამ მომეწონა მისი ერთი გამოსვლა, როდესაც ბანკების აღვირახსნილობის აღკვეთაზე ისაუბრა, რადგან ბანკებმა დაღუპეს საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი. **დღეს ბანკის მონაა ქვეყნის მოსახლეობის დიდი ნაწილი. ბანკირები ჰალსტუხიანი ყაჩაღები არიან, ხოლო კვირიკაშვილი მათი მეგობარი იყო. ამ ყველაფრის წინააღმდეგ ბახტაძე კი გამოვიდა, მაგრამ მხოლოდ ლაპარაკი საქმეს ვერ უშველის და გაღატაკებულ მოსახლეობასაც ცარიელი სიტყვები არაფერში წაადგება, თუ მოქმედებას არ დაიწყებს. უკვე მის ხელშია სათანადო ბერკეტები. თუ ახალი პრემიერი მძარცველების პარპაშს აღკვეთს, მისასალმებელი იქნება.**

ბიძინაზე ამბობდნენ, მთავრობის საქმეში ერევაო, აღმოჩნდა, რომ არ ერეოდა. ახლა დაბრუნდა და ჩაერია მთავრობის საქმიანობაში, ამიტომ იმედი მაქვს, არც ერთი არაპროფესიონალი თანამდებობაზე აღარ დარჩება, მაგრამ საქმე ის არის, რომ, როგორც კი დაბრუნდა ბიძინა, ქუჩაში გამოსვლები დაიწყო. გამოსვლებს კი აფინანსებნენ ის ადამიანები, რომლებსაც ბიძინას დაბრუნების შეეშინდათ. ნაციონალების აქციებს **მამუკა ხაზარაძე** აფინანსებდა.

**— გჯერათ, რომ ბოლო პერიოდში ქუჩაში განვითარებულ მოვლენებს მამუკა ხაზარაძე აფინანსებდა?**

— ხაზარაძეზე რასაც ამბობენ, მჯერა, რადგან ყველაფრის მკადრებელი კაცია. მიუხედავად იმისა, რომ კარგი ბიძა ჰყავდა, კარგი რაიკომის მდივანი იყო და ჩვენ ტანძიაში სულხან-საბას სახლ-მუზეუმი ერთად ავაშენეთ, მაინც ვიტყვი, რომ მამუკა ხაზარაძე ცუდი კაცია. მამუკა ხაზარაძე იყო ეროვნული მოძრაობის მტერი და დღესაც ასეა. ის ეროვნული ცნობიერების მტერია.

როგორ შეიძლება ხაზარაძეზე კარგი ილაპარაკო, როდესაც კაცი ლიტერატურულ პრემია „საბას“ ისეთ მწერლებს აძლევს, რომლებსაც დედა სექსუალურად აღაგზნებთ?! ხაზარაძე ლუპავს მწერლობას, ახალგაზრდების ზნეობას და ამას მიზანმიმართულად აკეთებს.

**— კვირიკაშვილზე ამბობენ, ნაციონალებთანაც თბილი ურთიერთობა ჰქონდაო...**

— კი, ჰქონდა კვირიკაშვილს კარგი ურთიერთობა ნაციონალებთან. ის თავს იმით იმართლებდა, რომ ერთნაირი ლიბერალური შეხედულებები ჰქონდათ. ჯერ ლიბერალიზმი როგორი დამღუპველია, მაგრამ, მაგასაც რომ თავი დავანებოთ, ნაციონალები ხომ ბანდიტები არიან. ბანდიტები, რომლებიც დასავლეთმა გადაარჩინა, რასაც წინ ვერავინ აღუდგა და დღეს კვირიკაშვილის სიმპათიის გამო ბოკერია საპარლამენტო კომისიას წარმართავს. ბოკერია, რომელიც უამრავ ფულს ფლანგავდა, თავისი ლობისტებისთვის ბიუჯეტიდან ყოველთვე 20 მილიონ დოლარს იღებდა, ნახევარს, ალბათ, ჯიბეშიც იდებდა, დღეს კი სხვის გაფლანგვაზე, სხვის დანაშაულზე და მკვლელებისთვის ხელის დაფარებაზე გვესაუბრება.

**— წარმოუდგენელია, რომ ამომრჩევლის 27 პროცენტს ნაციონალებისთვის დაეჭირა მხარი პარლამენტში შესასვლელად...**

— საქართველოში პოლიტიკას ის ქვეყანა წარმართავს, რომლისთვისაც კოლონიაც კი არ ვართ, არამედ — ერთი მიყრუებული უბანი. **ყველამ ვიცით, რომ საქართველოს პარლამენტში ასარჩევი ხალხის სიას ამერიკის ელჩი ადგენს. ხომ ხედავთ, კვირიკაშვილი ისე ყოფილა გაკადნიერებული, ბიძინასთვის უთქვამს: ამერიკიდან დაგირეკავენო.**

ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა არ ვართ, ამერიკის პროვინცია ვართ. თუ ეს არ მოისპო, რომელ პრემიერზე, რომელ ქვეყანაზე, რა გადარჩენასა და რა დამოუკიდებლობაზე ვლაპარაკობთ?!

ბახტაძეზეც რაღაცებს ამბობენ, არ ვიცი, ვინ არის სინამდვილეში...

**— ამბობენ, რომ ბახტაძე „ცენტრ პოინტის მენეჯერი“ იყო, ამიტომ ხალხი ამ დანიშვნითაც უკმაყოფილოა და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნებს ითხოვს.**

— მინდა, რომ ნაციონალები მოვსპოთ ქვეყანაში და ამოვძირკვოთ. მათთან ერთად არანაირი არჩევნები არ უნდა ჩატარდეს, რადგან არჩევნების ჩასატარებელ ფულს ეგენი ყოველთვის იშოვნიან, დასავლეთში ყოველთვის იპოვიან დამხმარე ძალას... **ნაციონალების ჭაჭანება არ უნდა იყოს ამ ქვეყანაში, მათ არ აქვთ უფლება, ამ მიწაზე ფეხი დადგან. ციხეებში ისევე უნდა ხეხონ ეგენი ცოცხებით, როგორც თვითონ ხეხავდნენ პატიმრებს.**

ვინ არის მელია, ამდენს რომ ბედავს? სააკაშვილს უთქვამს, — მე მგავსო. მართლაც ჰგავს მელია სააკაშვილს: ერთიც დებილია და მეორეც. ჩვენ კი, სამწუხაროდ, დებილებს ვალაპარაკებთ.

**— ბატონო ელიზბარ, თუ დამტკიცდა, რომ კვირიკაშვილმა 100 მილიონი დოლარი გადაურიცხა მამუკა ხაზარაძეს, არ უნდა დაისაჯოს?**

— კვირიკაშვილმა ხაზარაძეს ფული რომ მისცა, ეს დამტკიცებულია, ამ საქმეს ძიება აღარ უნდა და, როდესაც ასეთი ამბავია, უნდა დაისაჯოს ყველა, განურჩევლად იმისა, რა თანამდებობაზე მუშაობდა. არ მიყვარს ამერიკა, მაგრამ, იქ ვინც უნდა იყოს, რა თანამდებობის პირი, დანაშაულის ჩადენის გამო ისჯება. ჩვენ ამ დონემდე ვერ მივედით. სამართლის იმედი უნდა ჰქონდეს ხალხს. ყველა დამნაშავე უნდა დაისაჯოს, ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ არავის არაფერი შერჩება — ვინც ფული შეუჭამა, ვინც უსამართლოდ მოექცა ადამიანებს.

**— ახალი პრემიერი მამუკა ბახტაძე გაამართლებს ხალხის იმედს?**

— ცოტა ხანში დამირეკეთ და გეტყვით... ვნახავ, პირველ ნაბიჯებს როგორს გადადგამს, რადგან ვიცი, რაც უნდა მოხდეს. ვიცი, რომ სასწრაფოდ უნდა გაიწმინდოს ხელისუფლება. ამბობენ, პროფესიონალებს მოვიყვანთ თანამდებობებზეო და მინდა ვნახო, ვის მოიყვანენ. თუ ასე არ მოხდა, თვითონ დავრეკავ რედაქციაში...

**— რას ურჩევთ ახალ პრემიერს?**

**— ვურჩევ, დადგეს იმ პოზიციაზე, რომელიც საქართველოს წაადგება, არ მოუსმინოს დასავლეთის აზრს; გადადგას ნაბიჯები, რომლებიც არასამთავრობოებს მოსპობს, შეავიწროვებს; ერთი სიტყვით, იაზროვნოს სახელმწიფოებრივად და ყველაფერი გამოუვა.**

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«კვირიკაშვილმა ხაზარაძეს ფული რომ მისცა, ეს დამტკიცებულია. ამ საქმეს ძიება აღარ უნდა და, როდესაც ასეთი ამბავია, უნდა დაისაჯოს ყველა, განურჩევლად იმისა, რა თანამდებობაზე მუშაობდა»**

**«მამუკა ხაზარაძე იყო ეროვნული მოძრაობის მტერი და დღესაც ასეა. ის ეროვნული ცნობიერების მტერია... როგორ შეიძლება, ხაზარაძეზე კარგი ილაპარაკო, როდესაც კაცი ლიტერატურულ პრემია «საბას» ისეთ მწერლებს აძლევს, რომლებსაც დედა სექსუალურად აღაგზნებთ?! ხაზარაძე ლუპავს მწერლობას, ახალგაზრდების ზნეობას და ამას მიზანმიმართულად აკეთებს»**

**ბოკერიას, სააკაშვილისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, ესმის, რომ რეალური მოკავშირეების არარსებობა ნეგატიურად აისახება პარტიის პოზიციებზე დასავლეთში, სადაც პოლიტიკური პარტია, რომელსაც ალიანსების შექმნა არ ძალუძს და მოსახლეობის მთელ რიგ კლასტერებთან დალაპარაკებაც არ შეუძლია, განიხილება, როგორც ერთგვარი ინვალიდი — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პოლიტიკური გაერთიანება, რომელთანაც შეიძლება ითანამშრომლო, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გასატარებელი პოლიტიკის ქვაკუთხედად ვერ აქცევ.**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სუსტდებიან თუ ძლიერდებიან ნაციონალები?

**„ნაციონალური მოძრაობის“ დაშლიდან წელიწად-ნახევარი გავიდა. ამ პერიოდში ყოფილი მმართველი პარტიის ორი ნამსხვრევი ერთმანეთს ელექტორატს ართმევდა და ამავე დროს ცდილობდა, გაერღვია იზოლაცია, რომელშიც ბიძინა ივანიშვილმა მოაქცია. ისინი განსხვავებულ ტაქტიკას იყენებდნენ და, ალბათ, საინტერესო იქნება იმის დადგენა, რომელი მათგანია უფრო პერსპექტიული.**




**ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ნაციონალებთან ბევრი მოქალაქისთვის და პოლიტიკურ გაერთიანებათა უმრავლესობისთვის კვლავინდებურად ტაბუდადებული თემაა**

მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება ექვსი წლის წინათ შეიცვალა, **ნებისმიერი სახის თანამშრომლობა ნაციონალებთან ბევრი მოქალაქისთვის და პოლიტიკურ გაერთიანებათა უმრავლესობისთვის კვლავინდებურად ტაბუდადებული თემაა.** როგორც ივნისის დასაწყისში გამართულმა აქციებმა და თბილისსა და ამსტერდამში პარტიების ლიდერების კონსულტაციებმა აჩვენა, მათთან ალიანსს მხოლოდ ყოფილი სატელიტები თანხმდებიან. მათ არ შეუძლიათ, შექმნან ფართო ალიანსები და, შესაბამისად, ხელისუფლებაში დაბრუნდნენ. ეს კი იზოლაციის გარღვევის ალტერნატიული გზების ძიებისკენ უბიძგებთ.

„ივნისის კრიზისი“ ნაციონალებისთვის არაერთგვაროვანი შედეგით დასრულდა. ერთი შეხედვით, სააკაშვილის პარტიის მცდელობა — მასშტაბური აქციების ტალღა აეგორებინა (ბელადი რევოლუციაზეც კი ოცნებობდა) — უშედეგო გამოდგა. 31 მაისის მიტინგის მონაწილეთა დიდი ნაწილი მომდევნო დღეებში აქციებს გაემიჯნა, რადგან აღმოაჩინა, რომ ნაციონალები მათ ორგანიზებაში განმსაზღვრელ როლს ასრულებენ, მაგრამ იმავე პერიოდში აპრობირებული იქნა აქციების ორგანიზების ახალი (უფრო სწორად, „კარგად დავიწყებული ძველი“) მოდელი, რომლის ფარგლებში ულტიმატუმებს ხელისუფლებას არა პოლიტიკური პარტიები, არამედ არასამთავრობო ორგანიზაციები და სამოქალაქო აქტივისტები უყენებენ. ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო მაგალითს, ამ მხრივ, თეა წულუკიანის გადადგომასთან, ახალი პროკურორის შერჩევის პროცესში საზოგადოების ჩართვასთან დაკავშირებული ღონისძიებები წარმოადგენდა. რაღაც მომენტში შეუძლებელი გახდა იმის გარჩევა, სად მთავრდება „ჩვეულებრივი“ არასამთავრობოების აქტიურობა და იწყება ნაციონალებთან დაკავშირებული ჯგუფების პროპაგანდისტული კამპანია. ივნისის კრიზისის დროს **ნაციონალებმა არაერთგზის გამოიყენეს სიტყვა „საზოგადოება“, როგორც ნიღაბი, და ხშირ შემთხვევაში წარმატებას მიაღწიეს.** ეს, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი შედეგია, ვიდრე რამდენიმე აქციის ჩაშლა მცირერიცხოვნობის გამო.

**ივნისის პირველ დეკადაში, აგრეთვე, ნათლად გამოჩნდა, რომ, საინფორმაციო-პროპაგანდისტული თვალსაზრისით, „ნაცმოძრაობისა“ და „ევროპული საქართველოს“ მდგომარეობა გაუმჯობესდა.** ამ შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არა იმ მედიასაშუალებებს, რომლებსაც ყველა მათ რუპორად აღიქვამს, არამედ იმას, რომელიც, დამოუკიდებლად თუ არა, მეტ-ნაკლებად მიუკერძოებლად აღიქმება. ნებისმიერ მსურველს შეუძლია ნახოს, თუ როგორ ამუშავდნენ ისინი კრიზისის დღეებში და ნაციონალებისთვის სასურველი მესიჯების ტირაჟირება დაიწყეს, შემდეგ კი, როდესაც ტემპერატურამ დაიწია, ისევ „მთვლემარე“ რეჟიმში გადავიდნენ. ამან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არსებობს ერთიანი პროპაგანდისტული სისტემა, რომელიც ახალი კრიზისის პირობებში სახელისუფლო მედიასთან, როგორც მინიმუმი, პარიტეტის პირობებში იმუშავებს, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ფორმალურად გაცილებით დიდ რესურსს ეყრდნობა.

არასამთავრობოთა და მედიასაშუალებების ერთიანი ქსელის შექმნა, რომლის ცალკეული რგოლები ერთმანეთისგან დამოუკიდებელნი არიან, მაგრამ ერთ მიზანს ემსახურებიან, „ვარდების რევოლუციის“ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა. მომდევნო წლებში, სააკაშვილის დანაშაულებრივ რეჟიმთან მჭიდრო თანამშრომლობის გამო, ზოგიერთი არასამთავრობოსა და მედიასაშუალების ავტორიტეტი საზოგადოებაში მკვეთრად დაეცა, მაგრამ გავიდა დრო, შეიცვალა „პირადი შემადგენლობის“ ნაწილი და თანდათან გაჩნდა იმის წინაპირობები, რომ ნაციონალებისა თუ „ევროქართველების“ სატელიტურმა ჯგუფებმა საკუთარ თავს საზოგადოება უწოდონ და მისი სახელით მოთხოვნები წამოაყენონ.

ყველაზე დიდ პრობლემას ამ ქსელს, ალბათ, მიხეილ სააკაშვილი უქმნის. ივნისის პირველ დეკადაში მან ვერ მოითმინა და, უბრალოდ, „მიყარა“ პარლამენტთან „ნაცმოძრაობის“ აქტივი, რამაც მოსახლეობის უკურეაქცია გამოიწვია. სააკაშვილმა საზოგადოების პროტესტი „ნაცმოძრაობის“ პროტესტად აქცია. „ევროპული საქართველოს“ ლიდერებმა იოლად ამოიცნეს, რით დასრულდება ეს, პარტიულ აქციებს გაემიჯნენ და აქცენტი საპარლამენტო საგამოძიებო კომისიაზე გადაიტანეს, რომლის წევრთა უმრავლესობა და თავმჯდომარე მათი პარტიიდანაა. ამ კომისიის შესაძლებლობები შეზღუდულია იმისთვის, რომ სარალიძე-დადუნაშვილის საქმის სრულფასოვანი გამოძიება მოახდინოს, თანაც **ნაკლებად სავარაუდოა, რომ 31 მაისის აქციით შეშინებულმა ხელისუფლებამ ამ საქმეში ინიციატივა ხელიდან კიდევ ერთხელ გაუშვას. აქ, ალბათ, მთავარია, სხვა რამ — კომისია „ევრონაციონალებს“ შესაძლებლობას აძლევს, პროკურორისა და მოსამართლის როლი მოირგონ, ბრალი დასდონ ხელისუფლებას და სიმბოლურად გაასამართლონ ის.** 2012 წლის შემდეგ, როდესაც ნაციონალები ამ როლის შესრულებას ცდილობდნენ, „ქართული ოცნება“ და სხვა მოწინააღმდეგე პარტიები მათ მყისიერად სიმბოლურ საბრალდებო სკამზე აბრუნებდნენ. ამ კომისიამ კი „როლების შეცვლის“ ერთგვარი ლეგიტიმიზაცია მოახდინა. თუ „ნაცმოძრაობამ“ ივნისის კრიზისის დროს გარკვეული დანაკარგები განიცადა, „ევროპულმა საქართველომ“ მხოლოდ ბონუსები მიიღო.

ყოველივე ამის მიუხედავად, **ნაციონალებს (იგულისხმება ორივე პარტია) გადაწყვეტილი არ აქვთ მთავარი — ძლიერი მოკავშირეების პრობლემა. ისინი მოუთმენლად ელოდებიან საქართველოში აშშ-ის ახალი ელჩის ჩამოსვლას და მასთან თანამშრომლობაზე დიდ იმედებს ამყარებენ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ტრამპის ადმინისტრაცია აპირებს, საქართველოში „რეჟიმ ჩეინჯი“ მოახდინოს, მითუმეტეს იმ ადამიანების ხელით, რომელთა ხელისუფლებაში დაბრუნების მცდელობა, ძალიან დიდი ალბათობით, სამოქალაქო დაპირისპირებითა და სისხლისღვრით დასრულდება.** არეულობამ შეიძლება შეარყიოს აშშ-ის ძლიერი პოზიციები საქართველოში, ამიტომ ნაკლებად სავარაუდოა, თეთრმა სახლმა დაუყონებლივ დაუჭიროს მხარი ავანტიურებს სააკაშვილის სტილში, მაგრამ იმ შემთხვევაშიც კი, თუ ახალი ელჩი ამ ძალების მფარველი გახდება, ეს არ გააუქმებს ფართო ფენების მკვეთრად ნეგატიურ დამოკიდებულებას ყოფილი სახელისუფლო პარტიის ორი ნამსხვრევის მიმართ.

არსებული მდგომარეობის ანალიზი შემდეგი დასკვნისკენ გვიბიძგებს: ხსენებული პარტიები ხელისუფლებაში მარტო ვერ მოვლენ, მათ აუცილებლად დასჭირდებათ ძლიერი მოკავშირე. მას იმ ამომრჩევლებთან მისასვლელი პირი უნდა ჰქონდეს, რომლებიც ნაციონალებს ვერ იტანენ. თანაც ეს ჰიპოთეტური მოკავშირე ნაციონალებისგან არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ რეალურად დისტანცირებული, დამოუკიდებელი უნდა იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, საზოგადოება თამაშს იოლად გაშიფრავს. მაგრამ **პრობლემა ისაა, რომ „ნაცმოძრაობის“ სტრუქტურა და მისი წევრების შინაგანი ბუნება მხოლოდ ვერტიკალურ იერარქიებს ცნობს და მოკავშირეს ვასალად განიხილავს. სწორედ ამიტომ „ნაცმოძრაობის“ დაშლის პერიოდში მიხეილ სააკაშვილი ასე სკეპტიკურად, მეტიც, აგდებით უყურებდა გიგა ბოკერიას სურვილს — „ალიანსები შექმნას“.**

ბოკერიას, სააკაშვილისგან განსხვავებით, სავარაუდოდ, ესმის, რომ რეალური მოკავშირეების არარსებობა ნეგატიურად აისახება პარტიის პოზიციებზე დასავლეთში, სადაც პოლიტიკური პარტია, რომელსაც ალიანსების შექმნა არ ძალუძს და მოსახლეობის მთელ რიგ კლასტერებთან დალაპარაკებაც არ შეუძლია, განიხილება, როგორც ერთგვარი ინვალიდი — შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პოლიტიკური გაერთიანება, რომელთანაც შეიძლება ითანამშრომლო, მაგრამ სამხრეთ კავკასიაში გასატარებელი პოლიტიკის ქვაკუთხედად ვერ აქცევ.

**ძველი «ნაცმოძრაობის» დაშლის შემდეგ «ნამსხვრევების» ჯამური რეიტინგი შემცირდა, თუმცა ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ორივე პარტია თავის ელექტორალურ ნიშაში გამაგრდა, გააფართოვა გავლენა არასამთავრობო სექტორსა და მედიაში და იზოლაციის გარღვევა სცადა. ხელისუფლების გადასახედიდან ეს ცვლილებები მიკროსკოპულია და არსებით საფრთხეს არ წარმოადგენს...**

კიდევ ერთი განსხვავება სააკაშვილსა და ბოკერიას (უგულავას და ა.შ.) შორის იმაში მდგომარეობს, რომ „ევროქართველები“, ასე თუ ისე, აცნობიერებენ, რომ „ქართული ოცნება“, პრობლემების მიუხედავად, კვლავინდებურად ძლიერია, შესაბამისად, საჭიროა ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაო, ძალების განაწილება, ტაქტიკური კომპრომისები და ა.შ. სააკაშვილს კი სურს 100-%-იანი შედეგი დაუყონებლივ მიიღოს და მისი გაუთვლელი ნაბიჯები ზიანს აყენებს არა მხოლოდ მის პარტიას, არამედ „ევროპულ საქართველოსაც“, რადგან საიმიჯო თვალსაზრისით ორი პოლიტიკური ორგანიზაცია ერთმანეთს დაშორებული ჯერჯერობით არაა — „ევროპული საქართველო“ საზოგადოების დიდი ნაწილის მიერ აღიქმება, როგორც თანამონაწილე, მაშინ, როდესაც სააკაშვილი ცდილობს, რევოლუცია მოაწყოს, რაც საკმაოდ კომიკურად გამოიყურება.

ორივე პარტიას საერთო მიზანი — ხელისუფლებაში დაბრუნება ამოძრავებს. იმის მიუხედავად, რომ მათი წევრები და ხშირ შემთხვევაში ლიდერებიც კი, ერთმანეთს სოციალურ ქსელებში ლანძღავენ, ისინი მოკავშირეებად რჩებიან. მათ გაცილებით მეტი აქვთ საერთო, ვიდრე სააკაშვილს, ჟვანიასა და ბურჯანაძეს (და შესაბამის პარტიებს) „ვარდების რევოლუციის“ პერიოდში. მათი სავარაუდო ფარული თანამშრომლობა „ქართულ ოცნებასთან“ ერთმანეთის წინააღმდეგ, ამ კონტექსტში განსაკუთრებულს არაფერს ნიშნავს. ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი, სავარაუდოდ, ყველა ძველ უთანხმოებას დაავიწყებს.

**ძველი „ნაცმოძრაობის“ დაშლის შემდეგ, „ნამსხვრევების“ ჯამური რეიტინგი შემცირდა, თუმცა ბოლო წელიწად-ნახევრის განმავლობაში, ორივე პარტია თავის ელექტორალურ ნიშაში გამაგრდა, გააფართოვა გავლენა არასამთავრობო სექტორსა და მედიაში და იზოლაციის გარღვევა სცადა. ხელისუფლების გადასახედიდან ეს ცვლილებები მიკროსკოპულია და არსებით საფრთხეს არ წარმოადგენს, თუმცა სააკაშვილის რეჟიმის ძველი მოწინააღმდეგეები, ერთობ ალარმისტულ სტილში, მიუთითებენ იმაზე, რომ ვითარება უარესობისკენ იცვლება. მათ ყველა როდი უსმენს, რადგან ხელისუფლებამ წინასაარჩევნოდ უკვე ათასგზის გამოიყენა ნაციონალების რევანშის თემა და უნებლიეთ მიიყვანა საზოგადოება დასკვნამდე, რომ შესაბამისი საფრთხე, უბრალოდ, არ არსებობს.** პარადოქსულია, მაგრამ რევანში შეიძლება სავსებით რეალური სწორედ მაშინ გახდეს, როდესაც ყველა ჩათვლის, რომ ის გამორიცხულია.

**ლუკა ნემსაძე**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ამიტომაც მოითხოვს ტრამპი კატეგორიულად ე.წ. შვიდეულის (G7) ისევ რვიანად გადაქცევას და მსოფლიოს ლიდერთა რიგებში პუტინის დაბრუნებას, მაგრამ ევროპელი პიგმეები ხვდებიან, რომ პუტინის დაბრუნებით ტრამპი კიდევ შეინარჩუნებს პოზიციებს დიდ რვიანში. ევროპელები მიხვდნენ, რომ თავიანთ თავს უნდა მიხედონ და არათუ პუტინის დაბრუნება, ტრამპის ჩამოცილებაც დაწყებულია დიდი შვიდეულიდან, რათა ევროპის დიდმა ქვეყნებმა ახალი გზები და პარტნიორი ეძებოს, რომელიც არც ისე შორს არის მათგან.**

# ერი და სამშობლო

## ისტორიას ჩაბარდა ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომლის დირექტორადაც ამერიკა გვევლინებოდა

**ათასი წლის განმავლობაში იბრძოდა რუსი ხალხი თავის დასამკვიდრებლად. ხმლით ხელში იცავდა მონაპოვარს და, თუ რამეს არ მიუმატებდა, არაფერს მოაკლებდა. რუსი კაცი, უწინარესად, სახელმწიფოს აძლიერებდა და ამდიდრებდა, შემდეგ კი თავის „ხატას" თეთრი კირით შეფეთქავდა და კერძო მეურნეობას მიხედავდა. მან კარგად ისწავლა ომისა და მამულისთვის თავდადების ხელოვნება და, თუ ამჟამინდელ მსოფლიოს გადავხედავთ, სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით, ყველა მეომარ ქვეყანას შორის რუსეთი უპირველესია, რუსი ჯარისკაცი კი — შეუცვლელი.**



**პატარა ქვეყნის (მაგალითად, საქართველოს), ერის უმთავრესი უბედურება არის ის, რომ მის ბედს სხვა დიდი ქვეყნის ხელისუფლება განაგებდა და განაგებს, სხვა უბრძანებს მას, ვის ეომოს და ვის ემეგობროს. თუმცა წინა მბრძანებელი (რუსეთი) ნარს (სარეველას) თავისი ხელით გლეჯდა, ამერიკა კი ჩვენ გვათხრევინებს**

წარსულში საუკეთესო მებრძოლებად ითვლებოდნენ გერმანელები და იაპონელები, აგრეთვე, თურქები, მაგრამ, როგორც კი დაკარგეს დამოუკიდებლობა, ამერიკელთა ვასალებად იქცნენ, სამივემ ერთად და თითოეულმა ცალცალკე დაკარგეს ის ნაციონალური მუხტი, რომელიც უპირველესი ნიშანი იყო სამშობლოსთვის ბრძოლისა და თავგანწირვისა.

დღეს ვისაც ბრძოლა არ შეუძლია, ეს, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატების მეომრები არიან, რომლებმაც თავიანთი მეტისმეტი „გაპრანჭულობით" დააზიანეს არა მხოლოდ თავიანთი, არამედ ევროატლანტიკური მოკავშირეების შეიარაღებული ძალებიც, მათ მხოლოდ „შურდულებით ბრძოლა შეუძლიათ შორიდან". როგორც მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას **სტალინი** შენიშნავდა: **„ამერიკელებს ძალიან ეშინიათ სისხლის, ამიტომ მათი პირდაპირ შერკინება მტერთან უსათუოდ მარცხით მთავრდება".**

ამერიკელებისთვის ბრძოლის უმთავრესი იარაღი არის მოტყუება, თაღლითობა და ღალატი. ის მშიშარა, მხდალი და ლაჩარია. მიუხედავად იმისა, რომ ნავთობის საბადოების ხელში ჩასაგდებად დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს მუსლიმანური სამყაროს დიდი ნაწილი, ვერც ერთ ქვეყანაში ფეხი ვერ მოიკიდეს, ყველგან დამარცხდნენ, ყველა ქვეყანაში არიეს ვითარება, შემდეგ კი თავიანთ ქვეყანაში დაბრუნდნენ. ყველაფერმა ამან გააქარწყლა მითი ამერიკული ჯარის უძლეველობის შესახებ და, როგორც ჩანს, დღეს მათ, არა სხვისი, თავიანთი თავის დაცვაც აღარ შეუძლიათ. ისტორიას ჩაბარდა ერთპოლუსიანი მსოფლიო, რომლის დირექტორადაც ამერიკა გვევლინებოდა, მისი ძლიერება ჩამოიშალა და მხოლოდ სულელს თუ შეიძლება ჰქონდეს შერჩენილი აშშ-ის იმედი.

**სირიაში ამერიკული სამხედრო მანქანა ჯერ „დაბუქსავდა", შემდეგ კი მწყობრიდან გამოვიდა. მსოფლიომ ნახა ამერიკელთა მიერ ამპარტავნობითა და უკანონობით განხორციელებული ქვეყნის ნგრევის მასშტაბები საჰაერო დარტყმებით, მაგრამ კასპიის ზღვიდან გაშვებულმა რაკეტებმა სამუდამოდ გაუქრო იანკებს სირიის საჰაერო სივრცეში ბატონობისა და პარპაშის სურვილი.**

ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიაში ჩამოეხსნა ის სისხლიანი ნიღაბი, რომელიც „ადამიანთა უფლებების დაცვის", „დემოკრატიისა" და „თავისუფლების" დაცვის ნიშნით ჰქონდა აფარებული. ლეგენდა ამერიკის შეერთებული შტატების უძლეველობის შესახებ საპნის ბუშტივით გასკდა. მისი მოკავშირეები ახლა ცდილობენ, თავი დაანებონ ვაშინგტონის მიმართ ხელაპყრობილ ლოცვას და თავიანთ თავს მიხედონ.

**ამიტომაც მოითხოვს ტრამპი კატეგორიულად ე.წ. შვიდეულის (G7) ისევ რვიანად გადაქცევას და მსოფლიოს ლიდერთა რიგებში პუტინის დაბრუნებას, მაგრამ ევროპელი პიგმეები ხვდებიან, რომ პუტინის დაბრუნებით ტრამპი კიდევ შეინარჩუნებს პოზიციებს დიდ რვიანში. ევროპელები მიხვდნენ, რომ თავიანთ თავს უნდა მიხედონ და, არათუ პუტინის დაბრუნება, ტრამპის ჩამოცილებაც დაწყებულია დიდი შვიდეულიდან, რათა ევროპის დიდმა ქვეყნებმა ახალი გზები და პარტნიორი ეძებოს, რომელიც არც ისე შორს არის მათგან.**

რუსები სწრაფად მიხვდნენ ამერიკელებისა და ევროპელების ვერაგობას, ერთობლივად დაეგოთ მახე რუსეთისათვის და რუსებსა და მათ მოძმე უკრაინელებს ერთმანეთი ეხოცათ უკრაინაში. რუსულმა შორსმიმავალმა ბრძნულმა პოლიტიკამ აქაც იჩინა თავი და რუსეთმა არათუ უკრაინის განადგურება მოინდომა, მისთვის ჰუმანიტარული დახმარება და ბუნებრივი აირის მიწოდებაც კი არ შეუწყვეტია. ახლა კი მოლაპარაკების გზით ცდილობენ სლავი ხალხის გაერთიანებას.

როგორც ჩანს, პუტინი იწყებს სლავი ხალხის გაერთიანებას, რაც დაწყებული ჰქონდა, მაგრამ არ დაასრულებინეს რუსეთისა და მსოფლიო პოლიტიკის არქიტექტორ **სტალინს.**

რუსეთს ადვილად შეეძლო, 2014 წელს დონბასსა და ლუგანსკში რეფერენდუმი ჩაეტარებინა და ამ გზით დაეპყრო უკრაინის ნაწილი, ისევე, როგორც ყირიმის ნახევარკუნძული, მაგრამ აქაც არ გაავლო სადემარკაციო ხაზი პუტინმა რუსეთსა და უკრაინას შორის და, როდესაც ამისი დრო დადგება, რუსეთს აუცილებლად შეუერთდება უკრაინა. ვფიქრობ, მსგავსი სცენარით განიხილავენ საქართველო-რუსეთის საზღვრების საკითხსაც, რომელიც აქამდე მოუგვარებელია.

რუს ლიბერალებს მუდმივი წნეხის ქვეშ ჰყავთ რუსეთის პრეზიდენტი, გადადგას გადამწყვეტი ნაბიჯი უკრაინაში, რათა, რაც შეიძლება მალე დაეუფლონ იმ ქონებას, რომელიც დღეს სხვის ხელშია. პუტინი სტალინური წრთობის პოლიტიკოსია და არ აჰყვება იმ პროვოკაციებს, რომლებსაც უმზადებნ. გაივლის მცირე ხანი და რუსეთში, თუ პუტინი არა, პუტინის ფარული ხელი დაიწყებს ნეოტროცკისტების, ნეოფაშისტებისა და ნეომენშევიკების გამოაშკარავებას და კვლავ შემოიღობება შორეულ ციმბირში უკიდეგანო სივრცეები, რომლებშიც თავისუფლად იცხოვრებენ „ახალი წესრიგის, ახალი წესჩვეულებების და ტრადიციების მსურველი ადამიანები".

უკრაინაში კი უკრაინელი ხალხის აქტივობით დაიწყება იმ ხალხის განეიტრალება, რომლებმაც ათიათასობით მშვიდობიანი უკრაინელის სისხლი დაღვარეს და ევროპაში ერთ დროს ძლიერი სახელმწიფო ნაცარტუტად აქციეს. გათავისუფლდება რა ბანდერელებისა და ფაშისტი აქტივისტებისაგან, როგორც ხელისუფლება, ისე მოსახლეობა, უკრაინა კვლავ აღდგება და გახდება წამყვანი ევროპის ქვეყნებს შორის. ის იქნება სლავი ხალხის გაერთიანებისა და გამარჯვების მერცხალი.

თუ დასავლეთი ფიქრობს, რომ დაეხმარება კიევს დონბასისა და ლუგანსკის დაპყრობასა და იქ რუსთა გენოციდის განხორციელებაში, ეს ხომ დაუშვებელია, როგორც უკრაინელებისთვის, ისე რუსებისთვის. და რუსეთი არ დაუშვებს ასეთ სისულელეს, დაიცავს დონბასსა და ლუგანსკს და უკრაინელი ხალხის დახმარებით გაიჭრება კიევისაკენ, რომელიც არცთუ დიდი ხნის წინათ აიღო რუსულმა არმიამ. ამჟამადაც ასე მოხდება — გაიწმინდება უკრაინა ბანდერელებისა და ფაშისტებისაგან და ქვეყანაში ჩატარდება თავისუფალი არჩევნები, რომელზეც გადაწყდება უკრაინელი ხალხის ნება და არჩევანი.

მკითხველს შეიძლება გაუჩნდეს ეჭვი — ხომ არ მიდის ეს გზა რუსეთის იმპერიის აღორძინებისკენ? კითხვა სამართლიანი იქნება. ერთმა იმპერიამ, აშშ-მა, რა დღეშიც ჩააგდო მსოფლიოს ხალხები, ნათლად ჩანს, ამიტომ ვიდრე თვალახვეულ თემიდას ხელში ორთეფშიანი სასწორი უჭირავს, დედამიწას ექნება, როგორც ბუნებრივად აქვს, ორი პოლუსი.

სიცოცხლე არ იარსებებდა ორი სქესის გარეშე, ბუნების კანონები არ იარსებებდა ქმედებისა და უკუქმედების გარეშე, რა ფასი ექნებოდა სიცოცხლეს სიკვდილის გარეშე. სტალინმა პარტიის მე-19 ყრილობის ძირითად მოხსენებაში ჩაწერა — **„ორი პოლუსი, ორი სამყარო".**

ეს ისე კი არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ იყოს ორი ერთმანეთისაგან აბსოლუტურად დაშორებული სამყაროები, ეს უნდა იყოს შეჯიბრების, ურთიერთკონტროლის ოპოზიციური პოლუსები. ოპოზიცია უნდა იყოს არა ოჯახში, არა კერძო საწარმოში, არამედ საზოგადოებაში, თუ რომელი გზაა სწორი, ხოლო მაშინ, როდესაც სწორი გზა გარკვეულია, მიზანი — ნათელი, ოპოზიციურობა ის მავნე ტენდენციაა, რომელიც ჩიხში შეიყვანს დაწყებულ საქმეს. თანამედროვე „გლობალიზაციის" ფორმები და მეთოდები, რომლებსაც ამერიკის შეერთებული შტატები ახვევს თავს კაცობრიობას (იყოს ერთი საკანონმდებლო ორგანო, ერთი ხელისუფალი, ერთი წესი და ტრადიცია) ეს ჩვენი ცივილიზაციის მონაპოვარი არ არის, ეს, ალბათ, იყო ოდესღაც და, ალბათ, იქნება ოდესმე. ეს ჩვენს ცივილიზაციას და სულიერ ბუნებას ჩანასახშივე ეწინააღმდეგება და, თუ ამის სურვილი ამერიკას ან ევროპას აქვს, დაე, მათ ამ პრინციპებით იმ ცივილიზაციაში იცხოვრონ, რომელსაც აშენებენ. სწორედ ამიტომ არის მეორე პოლუსი საჭირო, რომ სხვა წესისა და ტრადიციის ხალხებმა სხვა პოლუსზე იცხოვრონ და, თუ მათი ცხოვრების წესი უფრო მიმზიდველი იქნება, ვიდრე ჩვენი ცხოვრების წესი, ერთი პოლუსიდან მოხდება საზოგადოების გადინება მეორე პოლუსზე. ისე, საჭირო არ არის მხოლოდ ორი პოლუსი, რატომ არ შეიძლება, იყოს, მაგალითად, სლავთა პოლუსი, ერთმორწმუნე, ერთფეროვანი, ერთი წეს-ჩვეულებითა და ერთი ღმერთით, მეორე პოლუსი — მაჰმადიანური მთელი თავისი ატრიბუტიკით, მესამე — არაბული, მეოთხე — ინდოჩინური პოლუსი, მეხუთე — ევროკავშირი. **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტების მსოფლიოს დირექტორობამ სადამდეც მიიყვანა კაცობრიობა დღეს აშკარად ჩანს. საზოგადოებამ თვითონ მოიმზადა ახალი სოდომი და გომორი და ვართ „განკითხვის დღის" მოლოდინში.**

ზოგიერთი ჩვენგანი შეჰხარის სამშობლოს და დღენიადაგ იბრძვის მისი წინსვლისთვის — მოსწონს თავისი პატარა სამშობლო. როგორც დიდ სამშობლოს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მახასიათებლები, ასევე პატარა სამშობლოსაც აქვს ნაკლი თუ დადებითი მხარე, მაგრამ გაცილებით დადებითი, ვიდრე უარყოფითი. უამრავი „დიდ" ერი და „დიდი" სამშობლო აღიგავა პლანეტის ზედაპირიდან, მაგრამ ერმა, რომელიც მტკიცე დუღაბით იყო ნაშენები, საუკუნეებს გაუძლო და დღესაც წარმატებით განაგრძობს არსებობას.

გლობალიზაციამ ერებისა და ხალხების არათუ შერწყმა და ერთობა გამოიწვია, რომლისკენაც მიისწრაფვოდა მსოფლიოს მმართველი ფარული ხელი, არამედ ბუნების საწინააღმდეგოდ გაერთიანებული ერები და ხალხები აქტიურად დაიყო ჯგუფებად და იქმნება სრულიად ახალი, გამოგონილი თუ კარგად მივიწყებული გვარ-ტომეული დაჯგუფებები და ხელახლა იწყება „ბრძოლა არსებობისათვის". ამის ნათელი მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატების უკონტროლო პარპაში ▶

**დღეს ვისაც ბრძოლა არ შეუძლია, ეს, უპირველესად, ამერიკის შეერთებული შტატების მეომრები არიან, რომლებმაც თავიანთი ზედმეტი „გაპრანჭულობით“ დააზიანეს არა მხოლოდ თავიანთი, არამედ ევროატლანტიკური მოკავშირეების შეიარაღებული ძალებიც, მათ მხოლოდ „შურდულებით ბრძოლა შეუძლიათ შორიდან“. როგორც მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სტალინი შენიშნავდა: „ამერიკელებს ძალიან ეშინიათ სისხლის, ამიტომ მათი პირდაპირ შერკინება მტერთან უსათუოდ მარცხით მთავრდება“.**

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკის შეერთებულ შტატებს სირიაში ჩამოეხსნა ის სისხლიანი ნიღაბი, რომელიც «ადამიანთა უფლებების დაცვის», «დემოკრატიისა» და «თავისუფლების» დაცვის ნიშნით ჰქონდა აფარებული. ლეგენდა ამერიკის შეერთებული შტატების უძლეველობის შესახებ საპნის ბუშტივით გასკდა, მისი მოკავშირეები ახლა ცდილობენ, თავი დაანებონ ვაშინგტონის მიმართ ხელაპყრობილ ლოცვას და თავიანთ თავს მიხედონ




◀ მსოფლიოში, რასაც მოჰყვა სახელმწიფოებად და კულტურულ საზოგადოებებად ჩამოყალიბებული არაბული ქვეყნების დაშლა-დაქუცმაცება. და ეს მოხდა მხოლოდ იმიტომ, რომ აშშ-ს მეტი ნავთობი მიეღო გაპარტახებული ქვეყნების ტერიტორიებიდან.

პატარა ქვეყნის (მაგალითად, საქართველოს), ერის უმთავრესი უბედურება არის ის, რომ მის ბედს სხვა დიდი ქვეყნის ხელისუფლება განაგებდა და განაგებს, სხვა უბრძანებს მას, ვის ეომოს და ვის ემეგობროს. თუმცა წინა მბრძანებელი (რუსეთი) ნარს (სარეველას) თავისი ხელით გლეჯდა, ამერიკა ჩვენ გვათხრევინებს.

შემზარავია დასავლელი პოლიტიკოსების ნათქვამი ფრაზები, რომლებიც ჩვენი სამოქმედო პროგრამაც უნდა იყოს:

**ჯო ბაიდენი, აშშ-ის ყოფილი ვიცეპრეზიდენტი: „არ მაინტერესებს თქვენი კულტურა!**

**ანდერს ფოგ რასმუსენი,** ნატოს ყოფილი გენერალური მდივანი: **„ორი ათასი წლის წინათ შეთხზული ზღაპარი იესო ქრისტეს შესახებ უნდა დამთავრდეს“.**

**ჰერმან ვან რომპეი,** ევროსაბჭოს ყოფილი თავმჯდომარე: „ცნებები ხალხი და ერი ისტორიის სანაგვეზე უნდა მოვისროლოთ! „ახალი ევროპა ხდება ყველას სახლი, სადაც ტრადიციები და იდენტობა ზედმეტია.„

ძვირფასო მკითხველო, თუ ეს დებულებები ჩვენი შესასრულებელი და ცხოვრებაში გასატარებელია, მაშინ რატომ ვედებით ღობე-ყორეს და რატომ ვსაუბრობთ ბუსუსებიან პრეზერვატივსა და სქესის შეცვლაზე? საზოგადოებას უნდა ვუთხრათ, კვლავ კედელზე გვეკიდოს თუ არა **ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, შოთა რუსთაველის, გერონტი ქიქოძის, ივანე ჯავახიშვილის, მიხაკო წერეთლისა** და ჩვენი სხვა დიდი კლასიკოსების სურათები; პარლამენტის სხდომის დარბაზში კი იხილებოდეს ერისა და სამშობლოს სანაგვეზე გადაგდების საკითხი და იქვე ერის მამად წოდებული ილია ჭავჭავაძის პორტრეტი ეკიდოს, ნამუსი სად დაკარგეთ, ჩვენო კანონმდებლებო?

**„ვგონებ, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავინ შეაბღერტინებს. არც მის მოქმედს აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც იმის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგერ პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო“** (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984 წელი. გვ. 552).

თუ ჩვენ ილია ჭავჭავაძეს კლასიკოსად მივიჩნევთ და უდავოდ არის კიდეც, რატომ ყურს არ ვუგდებთ მის შემოქმედებას, „საყოველთაოდ აღარებულსა და სანიმუშოდ მიჩნეულს“?

**„ქართველებისათვის საქართველოა სამშობლო და არა უკრაინა ან სომხეთი, რუსეთისათვის რუსეთია სამშობლო და არა საქართველო ან აზერბაიჯანი. არ არსებობს ძალა, რომელიც წაშლის ერის შეგნებაში ამ მიჯნებს. ერი, როგორც რეალური სოციალური ორგანიზმი გამოირჩევა ორი ძირითადი ნიშნით — ენით და პოლიტიკური ორგანოებით, ესე იგი სახელმწიფოებრიობით“.**

ამ სიტყვების ავტორიც კლასიკოსია, რომელიც გასცდა საქართველოს ფარგლებს და ცივილიზებული ერების უნივერსიტეტებში ერთ-ერთ ავტორიტეტად მოიხსენიება. ეს ყველასათვის კარგად ნაცნობი მიხაკო წერეთელია, რომელმაც დაწერა წიგნი „ერი და კაცობრიობა“.

ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ მკითხველი გაეცნობა ქართველი ერისა და სამშობლოს უდიდესი პატრიოტის, ლეგენდარული გერონტი ქიქოძის ერთ ესეს „პატარა სამშობლო“:

„თამამად შეიძლება ითქვას, რომ დღეს ყოველ თვითცნობიერ მამულიშვილში სოლომონ ლეონიძის სული ფეთქს და განცალკევებული არსებობის აზრს დღეს საქართველოში მეტი გავლენა აქვს, ვიდრე ოდესმე ჰქონია.

დღეს ეროვნული თავისუფლების იდეას ისეთივე სტიქიური ძალა აქვს, როგორც XIX საუკუნის დასაწყისში დემოკრატიულ იდეას ჰქონდა და თანამედროვე ძლევამოსილი სარდლები ხშირად იძულებული არიან, ქედი მოიხარონ უფლებააყრილი ერების წინაშე, როგორც ნაპოლეონ პირველმა ასი წლის წინათ სანკიულოტების წინაშე მოიხარა ქედი.

მართალია, პატარა სამშობლოს ბევრი რამ აკლია დღევანდელ პირობებში: ქონებრივი მორჭმულობა, მრავალრიცხოვანი სპა, მჭრელი მახვილი თავის დასაცავად, მაგრამ სამაგიეროდ მას ზოგიერთი მალალხარისხოვანი ზნეობრივი თვისებები აქვს. პატრიოტული გრძნობა ჩვეულებრივ, პატარა ხალხში უფრო ცხოველია, ვიდრე დიდში. ეს, ალბათ, იმით აიხსნება, რომ სიყვარულის საგანი ყოველთვის ახლობელი და ხელშესახები უნდა იყოს, დიდი სახელმწიფოები კი ხშირად უსაზღვრო და თვალუწვდენელი ტერიტორიის სახეს ღებულობენ. ასეთ ტერიტორიაზე პატრიოტიზმის ადგილს იმპერიალიზმი იჭერს, სამოქალაქო შეგნების ადგილს ქვეშევრდომის შეგნება. თითოეული მოქალაქის ჭირი და ლხინი ნაკლებად არის დაკავშირებული საერთო ლხინთან და ჭირთან და დიდი სახელმწიფო სხეულის ერთი ასო ხშირად წყლულდება და ნადგურდება ისე, რომ მეორე ასო ვერც კი გრძნობს საფრთხის მოახლოებას. ზოგიერთი დიდი იმპერია უფრო ხელოვნურად შეკოწიწებულ მანქანას წააგავს, ვიდრე ორგანულ არსებას და ხშირად ერთი პატარა მავთულის გაწყვეტაა საკმარისი, რომ მთელი უზარმაზარი მექანიზმი დაიშალოს. პირიქით, რარიგ ცხოველმყოფელია პატარა სამშობლო. მამულიშვილი არ იკარგება უსაზღვრო და უპიროვნო მასაში. თემის ჭირ-ვარამი მისი ჭირ-ვარამიც არის, ეროვნული საქმეები მის საკუთარ საქმეებშია გადახლართული. მტრის შემოსევა საფრთხეს უქადის მის სახლ-კარსა და ცოლ-შვილს, სამშობლოს გამარჯვება კეთილდღეობას ჰპირდება მის არსებობას. სამშობლო მას მეტს სთხოვს და მეტს ჰპირდება. ეს გარემოება ყოველ ადამიანურ ნიჭს ამოძრავებს და უხვად ასაზრდოებს ადამიანურ თაოსნობას და შემოქმედებას. ამით აიხსნება, რომ პატარა ქვეყნის მეფეები ხშირად უფრო დიდი ადამიანები არიან, ვიდრე დიდი ქვეყნის მოქალაქეები და პატარა ერები ხშირად გენიოსობისა და თვითმოქმედების სასწაულს ააშკარავებენ.

ათენმა **პერიკლე, სოკრატე** და **პლატონი** წარმოშვა, როცა ის ოცი ათას მოქალაქეს შეიცავდა და დიდი სპარსეთის მეფე დაამარცხა ეროვნულ ბრძოლაში. ქალაქმა რომმა რამდენიმე თაობის განმავლობაში მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზი დაიპყრო. პატარა ფლორენციამ იტალიური აღორძინების ნიადაგი შექმნა და ხელოვნების საუკეთესო ყვავილები წარმოშვა. პატარა ვენეციამ რამდენჯერმე უკუაქცია ოსმალები, ბიზანტიელები და უნგრელები, კონსტანტინოპოლი, პელოპონესი, კვიპროსი და კრიტოსი დაიმორჩილა და შავი ზღვიდან ჩრდილოეთის ზღვამდე მსოფლიო ალებ-მიცემობა გააჩაღა.

**ჩვენს პატარა სამშობლოსაც ჰქონია დიდი წუთები. მის მხედრებს ძლევამოსილი სულთანები დაუმარცხებია, მის ოსტატებს გმირთნაკვეთი ტაძრები აუგია, ამიტომ არის, რომ დროული ბედშავობა გულს არ უტეხს და მისი თვალები ასე იმედიანად იცქირებიან მომავლისაკენ.** ცხოვრების ბრძოლაში არსებობს დასასვენებელი პაუზები. განსაკუთრებით ქართველი ხალხის დარაჯებს არ აქვთ უფლება, თვალი დახუჭონ, იმიტომ, რომ საქართველო ყოველთვის ალყაშემორტყმულ ციხეს წარმოადგენდა და დღესაც ასეთ ციხეს წარმოადგენს".

ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ, რომელ ხელმოსატეხ ქართველ კაცს გაუჩნდება სურვილი, რომ ისტორიის სანაგვეზე მოისროლოს თავისი ერისა და სამშობლოს საფიცარი სახელები?!


გერონტი ქიქოძე


მიხაკო წერეთელი

**«ვგონებ, არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ის, რაც ასე აშკარად ჩვენში მოხდება ხოლმე. საკვირველია!.. რაც უნდა უშვერი, უმსგავსო, სულელობით აღსავსე საქმე იყოს ჩვენში ფეხს გაიდგამს ხოლმე, მერე ისე, რომ ყურსაც არავინ შეაბღერტინებს. არც მის მოქმედს აქვს შიში, რომ მოვა დრო და მომკითხავს ვინმეო, არც იმის მაყურებელს აქვს სირცხვილი, რომ აგერ პირუტყვულად რაზედ ვექელვინებიო» (ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი, 1984 წელი. გვ. 552).**




## ყურადღება!

**„ბიბლუსისა“ და „ლიბრას“ მაღაზიათა ქსელში, აგრეთვე, მეტროპოლიტენის სადგურებთან: „მარჯანიშვილი“, „რუსთაველი“, „თავისუფლების მოედანი“ შეგიძლიათ შეიძინოთ საერთაშორისო ორგანიზაცია „სტალინის“ თავმჯდომარის, ბატონი გრიგოლ ონიანის წიგნი „სტალინი“, რომელშიც თავმოყრილია ფაქტობრივი მასალები კაცობრიობის ისტორიაში უდიდესი პოლიტიკოსის, დიპლომატისა და მხედართმთავრის — სტალინის შესახებ.**

Pro et Contra

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„პირდაპირ ვამბობ: ვინც დღეს შემოკრებილი ჰყავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მათ 99 პროცენტს არ მოსწონს იგი, მათთვის მიუღებელია მისი მართვის სტილი, მისი მეთოდები, მაგრამ ყველა პირში უცინის და ტაშს უკრავს“.**

# «თუ სადმე დედამ შვილი დაწყევლა, ყველა საკრებულოშია» — როგორც სახე უმრავლესობის საკადრო პოლიტიკის

**პოლიტიკური მოძრაობა „თეთრების“ თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილთან საუბარი (მესამე), ბუნებრივია, დაიწყო შეკითხვით, რომელზეც პასუხს მოთმინებით ელოდება „საქართველო და მსოფლიოს“ მკითხველი: ვინ იყო ის პიროვნება ან დაინტერესებული ადამიანების ჯგუფი, რომელსაც ხელს აძლევდა დაღუპული არჩილ ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების პროცედურის გაჭიანურება, რათა ამით მაქსიმალურად დაეძაბა იმ დროს საქართველოში არსებული ურთულესი ვითარება? ვინ დარეკა თბილისიდან ცხინვალში?**



ბატონი თემური დაგვპირდა, რომ დააკმაყოფილებდა ჩვენი მკითხველების ინტერესს კორექტულობის ნორმების, უფრო ზუსტად, უდანაშაულობის პრეზუმპციის მოთხოვნების დაცვის შესაბამისად.

— მდგომარეობა იმაზე უარესია, ვიდრე წარმომედგინა, — **განაცხადა ამჯერად თემურ შაშიაშვილმა,** — დრომ გვაჩვენა, რომ ამის გამკეთებელი ერთი კაცი კი არ არის, არამედ ბევრია, როგორც სახელისუფლო რგოლში, ასევე — ოპოზიციაში.

**თემურ შაშიაშვილი მიიჩნევს, რომ ის ერთი სატელეფონო ზარი, მართალია, ბევრ რამეზე მიანიშნებს, მაგრამ მხოლოდ ერთი შტრიხია საქართველოში შექმნილი სოციალურ-პოლიტიკური ვითარების.**

**მოუსმინეთ:**

— წლებია, ყველა მეუბნება, რომ ჩვენს ხელისუფლებასთან ურთიერთობა შეუძლებელია.

**— ვინ „ყველა“, ბატონო თემურ?**

— ჩვენი მეგობრები ცხინვალიდან და აფხაზეთიდან, ჩვენი მოქალაქეებიც, რომლებსაც შევხვედრივარ და თავიანთი გულისტკივილი ჩემთვის გაუზიარებიათ.

ერთმა ბრძენმა სოფლელმა კაცმა ზესტაფონში მითხრა: მე არც ყოფილი ხელისუფლების მჯეროდა, არც დღევანდელის მჯერა. ხელმძღვანელ კაცს ვაფასებ იმით, თუ ვის ამოიყენებს გვერდით. იმათ, ვინც დღეს თანამდებობებზე არის დანიშნული, საერთოდ არ გავაკარებდი ხელისუფლებას. ჩვენ, მაგალითად, ისეთი გამგებელი გვყავს, წინასწარ ასი კაცი რომ გამოგეკითხათ, არც ერთი არ გეტყოდათ მის გამგებლობას. თვითონაც გაუკვირდებოდა. დეპუტატი გვყავს, რომლის პარლამენტარობა აზრად არ მოუვიდოდა არავისო. და ასე შეაჯამა ამგვარი „საკადრო პოლიტიკა“: „თუ სადმე დედამ შვილი დაწყევლა, ყველა საკრებულოშია“.

სრულიად საქართველოში ასეაო, დაუდასტურეს სხვებმა, აქაც და სხვაგანაც, სადაც კი შეხვედრები გვქონდა მოსახლეობასთან. იგივე მითხრეს გურიაში, აჭარაში. ორი დღის წინათ ისევ ჩავედი ზესტაფონში და გავიგე, რომ ხელმოწერებს აგროვებენ გამგებლის მოხსნის მოთხოვნით.

**ბიძინა ივანიშვილს ჰგონია, ამ სიმართლეს რომ ვლაპარაკობ, მას ვებრძვი. არა, ბატონო, სისტემაა უბედური, რომელმაც მოიყვანა იგი და, ნაცვლად იმისა, რომ დაენგრია ეს სისტემა, თავად გახდა მისი მონა.**

ჩვენთან რა არის სისტემა?

ქუჩა მართავს ქვეყანას, რაც შეურაცხყოფაა მთელი ქვეყნის და, მათ შორის, ინტელიგენციის, რომელიც დუმს. ხალხი უკვე ხმამაღლა ლაპარაკობს: ინტელიგენციამ გაგვყიდაო. ჩემთვის უსაყვარლესი კაცის, **კახი კავსაძის,** დაცვა დამჭირდა, რომელსაც შეუტიეს იმიტომ, რომ გვერდით უდგას ბიძინა ივანიშვილს. ბოლოს ლამის მე დამაბრალეს, რომ ბიძინა ივანიშვილს ვიცავდი.

ესენი აზრზე არ არიან, როგორი რთული მდგომარეობაა!

მე ერთ-ერთი ვარ იმათგან, ვინც მოისმინა ჩანაწერი „ქართული ოცნების“ იმ სხდომისა, რომლის შემდეგაც განვითარდა ცნობილი მოვლენები — ივანიშვილისა და კვირიკაშვილის დაპირისპირება, პრემიერის გადადგომა და ა.შ.

მოვისმინე და სახტად დავრჩი! არავის ვურჩევ მოისმინოს, რადგან ბევრი ქვეყნიდან გაქცევას მოისურვებს. მე ვეუბნები ყველას: კი არ უნდა გავიქცეთ, არამედ **უნდა შევცვალოთ სიტუაცია, შევცვალოთ სისტემა, რომელიც ხელს უწყობს დამსმენებისა და მოღალატეების წინა პლანზე წამოწევას, მათ პარპაშს რაიონებში, ქალაქებში და ქვეყნის უმაღლეს დონეზეც.**

იმ სხდომაზე გამოჩნდა, რომ, ვისაც ბიძინა ივანიშვილთან მიჰქონდა ამბები (ივანიშვილი რომ ამბობს, არაფერი ვიცოდიო, ტყუილია, ყველაფერი იცოდა), იმათ გაიმაგრეს მდგომარეობა, ისინი აღმოჩნდნენ „მართლები“. მინისტრი რომ ხარ, სხვასთან კი არ უნდა მიდიოდე აღსარების სათქმელად, ან, თუ არ მოგწონს ის ვითარება, ქვეყანაში რომ არის შექმნილი, საჯაროდ უნდა განაცხადო და გადადგე.

დღეს ქვეყანაში მოქმედებს სისტემა, რომელიც აგებულია დასმენაზე, თვალთვალზე. ის ქვეყანა კატასტროფის წინაშე დგას, რომელშიც შეიძლება გამარჯვების ან დამარცხების ყიდვა, ხოლო ინტელიგენტი ამბობს, რომ იძულებულია, აიღოს ფული, რადგან ამ ნაწყალობევის გარეშე შიმშილით მოკვდება.

**ჭეშმარიტი ინტელიგენცია ხელისუფლებისგან იცავს ხალხს. დღეს საქართველოში პირიქით ხდება და, ღმერთო, თავიდან აგვაცილე ასეთი ინტელიგენცია მომავალ საქართველოში!**

ამ სისტემას ხელს აძლევს ასეთი ინტელიგენცია, მშიერი ხალხი, დეგრადირებული განათლება და ა.შ. ეს სისტემა ვერ იტანს ძლიერ პიროვნებას, სამაგიეროდ გულში იკრავს მოღალატეებს, პარტიიდან პარტიაში მორბენალ აქტივისტებს. ამ სისტემით, ამ პოლიტიკოსებით, ამ პოლიტიკური ფილოსოფიით, ამ პოლიტიკური პარტიებით საქართველოს მომავალი არ აქვს. პარტიებს გარეთ გაცილებით მეტია უკეთესი ხალხი მომავალი საქართველოსთვის.

დღევანდელი ხელისუფლება რომ ტრაბახობს, — ამას და ამას ვაკეთებთო, მგონი, ჟიული შარტავას კომკავშირი ამათზე გაცილებით მეტს აკეთებდა.

**«უნდა შევცვალოთ სიტუაცია, შევცვალოთ სისტემა, რომელიც ხელს უწყობს დამსმენებისა და მოღალატეების წინა პლანზე წამოწევას, მათ პარპაშს რაიონებში, ქალაქებში და ქვეყნის უმაღლეს დონეზეც»**

უამბიციო პოლიტიკოსი წარმოუდგენელია, მაგრამ ამბიცია არსებობს კლასიკური და მახინჯი. პირველ შემთხვევაში ადამიანი იბრძვის იმისთვის, რაც ეკუთვნის. მეორე შემთხვევაში იბრძვის იმისთვის, რაც არ ეკუთვნის. საქართველოს პოლიტიკოსების 99 პროცენტზე მეტი იბრძვის იმისთვის, რაც არ ეკუთვნის. ჩვენთან წარმატება ენის მიტანაზე, სხვის „ჩაშვებაზე“ და ფულზე არის დამყარებული.

**— პოლიტიკური საქმიანობა და ფული თითქოს ურთიერთშეუთავსებელია?!**

— ცდებით! **ჩვენთან სწორედ ფულს აქვს მინიჭებული უდიდესი ძალა, ზოგჯერ გადამწყვეტიც, მაგრამ ფულისთვის ასეთი ძალის მიცემა საბოლოოდ თვითონ ფულიანს გაანადგურებს.** ფულის ფილოსოფიით ცხოვრობს ქვეყანა. მაშინ დაიღუპა დემოკრატია, როცა პარტიებს ფული მისცეს.

**— გინდათ, თქვათ, რომ მოისყიდეს?**

— სხვას რას უნდა ნიშნავდეს?! პარტია ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც თავისი წევრების საწევრო გადასახადებით ცხოვრობს. წარმოუდგენელია, რომ პარტიები სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდებოდეს.

ფულს იღებენ ისინი, რომლებიც ანგრევენ ამ ქვეყანას: ხალხის ფულით ებრძვიან ხალხს.

არ შეიძლება, ქვეყანაზე გავლენის თვალსაზრისით ერთ კაცს იმაზე მეტი უფლება ჰქონდეს, ვიდრე საკუთარ ბიზნესში, რომლის სრული პაკეტი მის ხელშია.

მაგალითად, ბიძინა ივანიშვილი საპრეზიდენტო კამპანიის მიმდინარეობისას აცხადებდა: თუ მარგველაშვილს პრეზიდენტად არ აირჩევენ, მე წავალ საქართველოდანო.

აირჩიეს, არ წავიდა, და დღეს ყველაზე მწვავე დაპირისპირება მასთან აქვს. არ ვიცოდიო, ვინ ყოფილაო, — თავს იმართლებს ახლა ბატონი ბიძინა.

ღარიბაშვილი პრემიერმინისტრობას რომ ვერ შეძლებდა, ეს იმთავითვე ცხადი იყო. კვირიკაშვილი ბევრ საქმეს შეიძლება კარგად გაძღოლოდა, მაგრამ არ იყო მისი საქმე პრემიერმინისტრობა.

ვინ დანიშნა ისინი ამ უმაღლეს თანამდებობაზე? — ბიძინა ივანიშვილმა... მითვისებული უფლების გამო.

ერთმა პიროვნებამ, რომელიც ზემოთ ნახსენებ თათბირს ესწრებოდა, თქვა: კადრების თავისუფლად, ჩვენი შეხედულებისამებრ დანიშვნის უფლება რომ მოგვცენ, ვინც ჩვენ გვინდა, იმ კანდიდატების წამოყენების უფლება რომ გვქონდეს, ერთი კაციც ვერ გავიდოდა მინისტრად თუ პრემიერმინისტრად, თავს გვახვევენ „სხვის“ მიერ შერჩეული კანდიდატისთვის მხარის დაჭერასო.

**— ასეთნაირად „მხარდაჭერილები“ დაინიშნენ და არც ერთმა არ გაამართლა?**

— პრაქტიკულად — არც ერთმა. ბატონი ბიძინა ისე რომ იცავდეს ქვეყნის ბიუჯეტს, როგორც თავის კაპიტალს იცავს, მაშინ ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა: მისმა ნათესავ-მეგობრებმა, რომლებსაც ფული მისცა კონკრეტული საქმეების გასაკეთებლად, სახსრები რომ მიითვისეს ან გაანიავეს, ყველა დააპატიმრებინა.

ვამბობდი, რომ იმ ბიუჯეტიდან, რომელიც ქვეყანას აქვს, ხალხის საკეთილდღეოდ ხუთჯერ მეტი საქმის გაკეთება შეიძლებოდა. თვითონ დაადასტურეს ახლა.

ამის შესახებ მივწერე ბიძინა ივანიშვილს. მისმა ახლობლებმა მისაყვედურეს, რას გადაეკიდე ამ ბიძინასო. ვუპასუხე, რომ თქვენნაირმა ტაშის დამკვრელებმა დაღუპეს ბიძინა ივანიშვილი-მეთქი. მას ირგვლივ რომ ჰყავდეს სიმართლის მთქმელები, სხვანაირი იქნებოდა თვითონაც და ქვეყანაც სხვანაირად იქნებოდა მოწყობილი.

პირდაპირ ვამბობ: ვინც დღეს შემოკრებილი ჰყავს ბატონ ბიძინა ივანიშვილს, მათ 99 პროცენტს არ მოსწონს იგი, მათთვის მიუღებელია მისი მართვის სტილი, მისი მეთოდები, მაგრამ ყველა პირში უცინის და ტაშს უკრავს.

ფრანგი მათემატიკოსის, მექანიკოსის, ფიზიკოსის, ლიტერატორისა და ფილოსოფოსის — **ბლეზ პასკალი**ს ფუნდამენტური დებულებით, „საყრდენი ქვეყნის არის ხალხი და ბრძენკაცები“, მაგრამ ბიძინა ივანიშვილს ხალხის არ ესმის და ბრძენკაცები არაფრად მიაჩნია.

**— მაშ, თქვენი აზრით, რა ძალა მართავს ქართულ სახელმწიფოს, ბატონო თემურ?**

— საყოველთაოდ ცნობილია დებულება ქვეყნის ხუთი ტიპის ელიტის შესახებ, რომლებსაც შეუძლია მართოს ქვეყანა. ესენია ინტელექტუალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, სამხედრო და ბიუროკრატული ელიტები. თუ ვინმე მეტყვის, რომ საქართველოს ინტელექტუალური ელიტა მართავს ან პოლიტიკური ელიტა, ან ეკონომიკური ელიტა, ბოდიშს მოვიხდი. თუ ამ ელიტების წარმომადგენლები აქა-იქ მაინც არიან ბიძინა ივანიშვილის ▶

**«ჭეშმარიტი ინტელიგენცია ხელისუფლებისგან იცავს ხალხს. დღეს საქართველოში პირიქით ხდება და, ღმერთო, თავიდან აგვაცილე ასეთი ინტელიგენცია მომავალ საქართველოში!»**

**დღეს პატიოსნება და პროფესიონალიზმი მარტოობის სინონიმია — როცა არავის სჭირდები, არავის უნდიხარ, არავინ არაფრად გაგდებს; არავის უნდა მაღალზნეობრივი, პატრიოტი, ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნება. არადა, მამულიშვილობა წესიერად და პატიოსანი შრომით განვლილი ცხოვრებაა, რაც არ უნდა სანიმუშოდ აღზრდილი და განათლებული იყო, თუ ის შეზავებული არ არის სამშობლოს სიყვარულთან, ყოველივე ფუჭია. უზურგო და უპატრონო კაცი განწირულია. გადავიქეცით განწირულთა ქვეყნად.**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**«რუსეთის მიმართ ის დამოკიდებულება, რომლის კულტივირებასაც საქართველოში ჩვენი ხელისუფლება ეწევა, რუსეთს ათასჯერ უფრო აგრესიულს ხდის, ვიდრე თვითონ რუსეთს უნდა»**

◀ გარემოცვაში, დამცირებული და დაკნინებულები გახლავან, საკუთარი ნებითა და სურვილით „დაჩმორებულები“; იმიტომ, რომ მისგან ფულს იღებენ.

**— პოლიტიკოსებსაც გულისხმობთ მათ შორის? მათ, ვისაც ერის წინამძღოლობის ამბიცია აქვთ?**

— რა თქმა უნდა, მათაც ვგულისხმობ. ყველაზე უფრო მახინჯი ამბიციურები არიან ისინი, ვინც გაიძახის: დასავლეთი-ამერიკა-დემოკრატია! **რუსეთის მიმართ ის დამოკიდებულება, რომლის კულტივირებასაც საქართველოში ჩვენი ხელისუფლება ეწევა, რუსეთს ათასჯერ უფრო აგრესიულს ხდის, ვიდრე თვითონ რუსეთს უნდა.** ერთმა ჭკვიანმა ქართველმა, რომელიც რუსეთის სახელისუფლო წრეებთან არის დაკავშირებული, მითხრა, რომ რუსეთის პრეზიდენტის გარემოცვაში არის სრული უნდობლობა ქართველი პოლიტიკოსების მიმართ (დასჯის სურვილიც კი), იმიტომ, რომ მათ რუსეთისგან მიიღეს ფული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დასალაგებლად, შემდეგ ამერიკელებს მოახსენეს, რაზეც რუსეთთან იყვნენ შეთანხმებულები. ამერიკელებმა შესთავაზეს: გადმოდით ჩვენ მხარეს, ჩვენ მეტს მოგცემთ. ერთ მხარესაც გამოართვეს ფული, მეორე მხარისგანაც იღებენ. ამ ქვეყანაში რაიმე კარგი გამოვა? ეს სისტემა არ უნდა დაინგრეს?!

არჩევნების წინ დავწერე წერილი, რომელშიც პირდაპირ მივუთითებდი: ერთი წლის შემდეგ ყველას შეგრცხვებათ იმათ გამო, ვისაც ხმა მიეცით, მნიშვნელობა არ აქვს — ოპოზიციას თუ უმრავლესობას, რადგან ისეთი ძალები იყრიდნენ კენჭს, რომლებსაც საქართველოში არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

დღეს ჩემი სიტყვები მართლდება.

ბატონ ბიძინას მივმართე წინადადებით, უფლება მიეცა ჩვენი ხუთკაციანი ჯგუფისთვის, ჩავსულიყავით ნებისმიერ ქალაქსა თუ რაიონში, შეგვესწავლა ადგილზე არსებული მდგომარეობა და ექსკლუზიურად წარდგვედგინა მისთვის, თუ ვინ არიან, რეალურად რას წარმოადგენენ მისი თანხმობით დანიშნული კადრები და რა დონისა და მასშტაბის კორუფციაა იქ ფესვგადგმული.

ყურადღება — ნული! არ აინტერესებთ. არადა, ცდილობენ, დაგვარწმუნონ, რომ კორუფციას ებრძვიან. დღეს პოლიტიკოსებად ითვლებიან ისეთი „მოღვაწენი“, რომლებმაც პოლიტიკა ბიზნესად აქციეს — არსად უმუშავიათ, არაფერი გაუკეთებიათ, მხოლოდ ქუჩისა ესმით, მაგრამ საქმის კეთების აზრზე არ არიან. მტერიც რომ გაძლევდეს სასარგებლო რჩევას, უნდა გაითვალისწინო, როცა უამრავი შენი თანამემამულე შენიშვნას მოგცემს, მინიმუმ, არ უნდა გაიმეორო შეცდომა, მაგრამ ვინ გისმენს?! ნდობა დაიკარგა ხალხის.

ჩვენ ვცილდებით ცივილიზებულ სამყაროს, ჩვენ, როგორც დემოკრატიულ ქვეყანას, აღარ გვიყურებენ. ევროკავშირის მიერ ახლახან გავრცელებული ინფორმაციით, ევროკავშირის ქვეყნებისთვის ჩვენი მოქალაქეების მიმართვა თავშესაფრის მიცემის თხოვნით 133-ჯერ გაიზარდა.

ასეთ პოლიტიკოსებთან ურთიერთობა არ შეიძლება, ხოლო **ქვეყნის გადარჩენის, ბიძინა ივანიშვილის გადარჩენის, საქართველოს მომავლის გადარჩენის ერთადერთი გზა პოლიტიკაში გონების დაბრუნებაა, იმ პოლიტიკაში, რომელსაც დღეს ქუჩა განაგებს** — ქუჩიდან კაბინეტებში გადავიდა.

„ქუჩის პოლიტიკოსების“ პარპაში უნდა დამთავრდეს!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S. ბოლოთქმის ნაცვლად ბატონმა თემურ შაშიაშვილმა ასეთი დასკვნა შემომთავაზა:**

**— ამ ინტერვიუს გამოქვეყნების გამო თუ ვინმე გისაყვედურებთ, ამ კაცმა რა ილაპარაკაო, და კონკრეტული გვარების დასახელებას მოგთხოვთ, მე არაფერს დაგიმალავთ, გეტყვით, მაგრამ გაზეთში არ გამოვიტან.**

**თავიდან რატომ არ ვთქვი? იმიტომ, რომ მაშინ (ტატუნაშვილის ცხედრის გადმოსვენების პროცესის გაჭიანურების დროს) უნდა დამესახელებინა ერთი პიროვნება, რომელიც კვირიკაშვილს ოპოზიციაში ედგა.**

**ბატონ ბიძინას ეგონა, რომ მის ფავორიტებს ებრძოდა კვირიკაშვილი და პრემიერის გარემოცვა. ამ დროს კი ყველაზე დიდი ფავორიტი იყო კვირიკაშვილი, მისი მოყვანილი და დაწინაურებული. შემდეგ მოიყვანა დამსმენი მინისტრები, ათასი უბედურება რომ ჩააწვეთეს ივანიშვილს.**

**დარწმუნებით გეტყვით: ვისაც ბიძინა ივანიშვილი მინისტრებიდან დატოვებს დაკავებულ თანამდებობაზე, მათ შორის ეძებეთ დამრეკავი.**

**ჩემი პასუხიც ეს იქნება თქვენი მკითხველებისთვის.**

# საფიქრალი აი ეს არის!

**ისტორიის ქარტეხილებმა, დადებითთან ერთად, ბევრი უარყოფითი რამ მოგვივლინა. ქვეყანაში სოციალურ-ყოფით და ზნეობრივ კლიმატზე უდიდესი გავლენა აქვს მასმედიის, სხვადასხვა ჯურის არასამთავრობოების წარმომადგენლებსა და ე.წ. თვითმარქვია პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც უკულმართად აპროგრამებენ საზოგადოების მსოფლმხედველობასა და მისწრაფებებს.**



ეს ტვინნაღრძობი, შეურაცხადი, ბოროტებითა და ბილწსიტყვაობით აღვსილი ადამიანები უმოწყალოდ ანადგურებენ ყოველგვარ ქართულს და გავლენას ახდენენ საზოგადოების სოციალურ ვითარებაზე. ამას ხელს უწყობს საზოგადოების უპასუხისმგებლობა, ნიჰილიზმი და ინდიფერენტულობა. ბიოლოგიურმა უმოქმედობამ მოიცვა მთელი ქვეყანა. ეს უმოქმედობა მეტად დამაფიქრებელია. ანგარებიანობამ იმძლავრა. სად არის ჩვენი საზოგადო მოღვაწეების პრინციპული პოზიცია და რეაქცია? სად წყდება ჩვენი ქვეყნის ბედ-იღბალი? მომხვეჭელობა და მომხმარებლური დამოკიდებულება ვაქციეთ ცხოვრების მიზნად და, ბუნებრივია, ასეთ ოჯახებში ჩამოყალიბებული მიკროკლიმატი, ცუდი აურა ამახინჯებს მოზარდის სულიერებას, ფსიქოლოგიას, იბუდებს მის ცნობიერებასა და სულში და გვევლინება იმ არაჯანსაღი ტრადიციების გამგრძელებლად, რომელიც ებრძვის და თრგუნავს საუკუნეებში თაობების მიერ გამოტარებულ ჯანსაღ ისტორიულ ფასეულობებს. და როცა ასეთი იდეებით გამსჭვალული ახალგაზრდობა ქუჩაში გამოდის, უკვე ძნელია მისი მორჯულება. **ცივილიზებული საზოგადოებით თავს რომ ვიწონებთ, საიდან იწყება ეგზომ სამარცხვინო მოვლენები — ნარკომანია, ლოთობა, პროსტიტუცია, გაუკუღმართებული ცხოვრების წესები და სხვა მანკიერებანი, რომლებიც ბიოლოგიურ, სოციალურ-ეკონომიკურ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ და ტრადიციულ ასპექტებს მოიცავს და მათგან გამომდინარეობს? აქედან, ამ აქოთებული წუმპიდან, იღებს სათავეს ეს მრავალი უბედურება, ესაა ჩვენი ცხოვრების წესის გადაგვარების ბუნებრივი შედეგი და საშიშია, ჩვენს გენეტიკურ კოდში არ ჩაინერგოს.**

ათეული წლები გადის და ქვეყანას ვერ ეღირსა ნორმალური, პროფესიონალი კადრებით დაკომპლექტებული მთავრობა, ხელისუფლება უპყრიათ ეგრეთ წოდებულ სამეგობრო-სამოყვრო წრეებს, ნეპოტიზმით რომაა ცნობილი, და რომელიც ხელიდან ხელში გადადის. ნეპოტიზმი მეტ-ნაკლებად ადრეც იყო გავრცელებული, მაგრამ ასე აშკარად არა, რადგან განათლება და პროფესიონალიზმი იდგა მაღალ დონეზე. ახლა ამდენი უსაქმური და უცოდინარი თვალშისაცემია.

**დღეს პატიოსნება და პროფესიონალიზმი მარტოობის სინონიმია — როცა არავის სჭირდები, არავის უნდიხარ, არავინ არაფრად გაგდებს.** არავის უნდა მაღალზნეობრივი, პატრიოტი, ქვეყნისთვის თავდადებული პიროვნება. არადა, მამულიშვილობა წესიერად და პატიოსანი შრომით განვლილი ცხოვრებაა, რაც არ უნდა ჩინებულად აღზრდილი და განათლებული იყო, თუ ის შეზავებული არ არის სამშობლოს სიყვარულთან, ყოველივე ფუჭია. **უზურგო და უპატრონო კაცი განწირულია. გადავიქეცით განწირულთა ქვეყნად.**

დღეს ჩვენთვის ძალზე მტკივნეულია ახალგაზრდობის პრობლემა, მათი განათლების დონე და დაუსაქმებლობა. ახალგაზრდების სწრაფვას, მათ სამომავლო ოცნებებს საძირკველი და საფუძველი მოვუშალეთ, არადა, ქალაქად სასწავლებლად მიმავალ შვილებს თითქმის ყურში ჩაგვესმოდა მშობლების სიტყვები: „გახსოვდეთ, ვისი გორისა ხართო“ და ჩვენც დიდი მისწრაფებით, ენთუზიაზმით და მომავლის იმედით ვასრულებდით ამ მეტად საპასუხისმგებლო და საპატიო მისიას, ხოლო სახელმწიფოსაგან სტიპენდიით, უფასო ბინით, იაფი სასადილოთი და შემდგომში სამუშაო ადგილით გარანტირებულნი ვიყავით.

**დღეს ქვეყანაში 70 ათასზე მეტი სტატუსშეჩერებული სტუდენტია, სწავლის საფასურის გადაუხდელობის გამო. არადა, სინდისიერების პოზიციიდან თუ შევაფასებთ მთავრობის საქციელს, ეს ხომ დანაშაულია?!** უარი უთხრა ამ ახალგაზრდებს, მათ ინტელექტუალურ მისწრაფებებს, ბუნებრივია, ეს მათში აღძრავს უარყოფით დამოკიდებულებას ხელისუფლების მიმართ. ისინი ხომ ჩვენი ხვალინდელი დღეა, ჩვენი მომავალი?! არ არსებობს უფრო მნიშვნელოვანი საქმე, ვიდრე ახალგაზრდების განათლებაა. მივცეთ მათ კეთილი საქმის კეთების საშუალება, შევუქმნათ პირობები, რათა სრულიად მოვამზადოთ ცხოვრებისთვის, იყვნენ ჩვენი ქვეყნის პატრიოტები, რომ სინდისიერად ემსახურონ სამშობლოს, გახდნენ სამოქალაქო საზოგადოების წევრები. დღეს **სამოქალაქო საზოგადოება გადაქცეულია ნარკოტიკების, გარყვნილების, უზნეობისა და ბილწსიტყვაობის სამომხმარებლო საზოგადოებად, განსაკუთრებით აქტიურობენ მასმედიის, არასამთავრობოების ეს ე.წ. ბილწსიტყვაობის დაქირავებული რუპორები.** სწორედ ამიტომ დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ნაღდი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა, რომელიც ჯანსაღ ზეგავლენას მოახდენს საკუთარ სახელმწიფოზე, მის ბედ-იღბალზე.

ქართველ კაცს უსამართლობის წინააღმდეგ ბრძოლა გენეტიკურად და ისტორიულად ჩამოუყალიბდა. სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიან რეჟიმთან, რომელმაც უდიდესი დანაშაულები ჩაიდინა ქართველი ერის წინააღმდეგ, ე.წ. კოაბიტაცია-თანაცხოვრება მოგვახვიეს თავს, რომელიც უკვე სიმბიოზად გადაიქცა. უნდათ, რომ ქართველ ერს ჩაუკლან სამართლიანობის აღდგენის უნარი, დაუკარგონ ისტორიული მეხსიერება, თავმოყვარეობა, გადაგვაგვარონ, მაგრამ ამას ვერ მოესწრებიან, ქართველი კაცი ამას არ შეეგუება. ისინი არ იცნობენ ქართველთა ბუნებას, მათ მრავალსაუკუნოვან ისტორიას; არ იციან, რომ ღმერთმა ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას მხოლოდ კაცთმოყვარეობისა და სტუმართმოყვარეობის დიდი მისია დააკისრა!

**ჯონი ცინცაძე,**
**ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი**

**სამოქალაქო საზოგადოება გადაქცეულია ნარკოტიკების, გარყვნილების, უზნეობისა და ბილწსიტყვაობის სამომხმარებლო საზოგადოებად, განსაკუთრებით აქტიურობენ მასმედიის, არასამთავრობოების ეს ე.წ. დაქირავებული ბილწსიტყვაობის რუპორები. სწორედ ამიტომ დღეს ქვეყნის უმთავრესი პრობლემა ნაღდი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაა, რომელიც ჯანსაღ ზეგავლენას მოახდენს საკუთარ სახელმწიფოზე, მის ბედ-იღბალზე**

მსოფლიოს ამბები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ნატოს გენერალური მდივანი დარწმუნებული არ არის, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გადარჩება. მისი დაშლის მიზეზი შეიძლება იყოს ამერიკასა და ევროკავშირს შორის უთანხმოება, რომელიც, არათუ ნელდება, სულ უფრო ფართოვდება და ღრმავდება.**

# სტოლტენბერგი: ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება

**ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა წერილი, რომელშიც გამოთქვამს მოსაზრებას, რომ მომავალში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის შენარჩუნება შეუძლებელი იქნება, რადგან ძალიან დიდია უთანხმოება აშშ-ისა და ევროკავშირის წამყვან ქვეყნებს შორის.**



**ამ ფონზე გამაოგნებელია საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენელთა, მაგალითად, პრემიერმინისტრობის კანდიდატ მამუკა ბახტაძის განცხადებები, რომ „საქართველო ასე ახლოს არასოდეს ყოფილა ნატოსა და ევროკავშირთან“.**

**ნატოს არსებობაში ეჭვი თვით მის გენერალურ მდივანს შეაქვს; ნატო იშლება და საქართველო ამ ორგანიზაციისკენ მიისწრაფვის? მამუკა ბახტაძე ჯერ არ დაუმტკიცებიათ საქართველოს პრემიერად და მსგავსად თავისი წინამორბედებისა, რომლებიც წლების განმავლობაში ატყუებდნენ საქართველოს მოსახლეობას ნატოსა და ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის შესვლის შესახებ, უკვე ცდილობს მოსახლეობისთვის თვალში ნაცრის შეყრას...**

ნატოს გენერალური მდივანი დარწმუნებული არ არის, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი გადარჩება. მისი დაშლის მიზეზი შეიძლება აღმოჩნდეს ამერიკასა და ევროკავშირს შორის უთანხმოება, რომელიც, არათუ ნელდება, სულ უფრო ღრმავდება.

ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა **იენს სტოლტენბერგმა** საგანგაშო მოწოდებით მიმართა ნატოს წევრებს. ნატოს სამიტის წინ გამოცემა „გარდიანში“ გამოქვეყნებულ წერილში სტოლტენბერგი ეჭვს გამოთქვამს ალიანსის ერთიანობისა და სიმტკიცის მიმართ და ყველა წევრს მოუწოდებს, დაუღალავად იშრომონ დასავლური ერთობის შესანარჩუნებლად.

სტოლტენბერგი ლონდონში ჩავიდა დიდი ბრიტანეთის პრემიერმინისტრ **ტერეზა მეისთან**, თავდაცვის მინისტრ **გევინ უილიამსონსა** და საგარეო საქმეთა მინისტრ **ბორის ჯონსონთან** შესახვედრად.

**სტოლტენბერგი წერს „რეალური უთანხმოების“ არსებობის შესახებ აშშ-სა და ნატოს დანარჩენ წევრებს შორის ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ვაჭრობა, კლიმატური ცვლილებები და ე.წ. ბირთვული გარიგება ირანთან.**

„ეს უთანხმოებები რეალურია და ისინი თავისით და სწრაფად არ გაქრება, — მიაჩნია ალიანსის გენმდივანს, — არავის არასოდეს მიუცია გარანტია, რომ ტრანსატლანტიკური კავშირი ყოველთვის მტკიცე იქნებოდა“.

სტოლტენბერგის წერილი, რომელშიც გამოთქმულია შეშფოთება ნატოს არსებობის შესახებ, ამ ორგანიზაციისთვის რთულ პერიოდში გამოჩნდა, როდესაც დასავლეთის სახელმწიფოების ლიდერებს შორის მკვეთრად გამწვავდა ურთიერთობა. ამის თვალსაჩინო მაგალითია აშშ-ის პრეზიდენტ **დონალდ ტრამპის** რეპლიკა ევროკავშირისა და გერმანიის ლიდერ **ანგელა მერკელისადმი**, რომლებიც მას, რბილად რომ ვთქვათ, არ მოსწონს.

იცავდა რა თავისი ადმინისტრაციის გადაწყვეტილებას აშშ-ისა და მექსიკის საზღვარზე უკანონოდ გადასული მშობლებისთვის ბავშვების ჩამორთმევის შესახებ, **ტრამპმა ევროპა მიგრანტების ბანაკს შეადარა და განაცხადა, რომ გერმანელი ხალხი აუმხედრდა თავის ლიდერს, რომელიც ქვეყანაში ღია კარის პოლიტიკას ატარებს.**

ვაშინგტონსა და ნატოს წევრი ქვეყნების დედაქალაქებს შორის უთანხმოება საკმარისზე მეტია. ეს არის შეთანხმებები კლიმატის, აგრეთვე, ირანის ბირთვული პროგრამის შესახებ, რომლებიდანაც აშშ ცალმხრივად გამოვიდა. დონალდ ტრამპი სავაჭრო ომით ემუქრება ევროპას, მკვეთრად აკრიტიკებს გერმანიასა და ალიანსის სხვა წევრებს იმისთვის, რომ ძალიან ცოტა თანხას გამოყოფენ თავდაცვისთვის და ალიანსის სამხედრო ხარჯები ამერიკას აწვება მხრებზე.

შეგახსენებთ: **ნატოს 29 წევრიდან მხოლოდ 8, მათ შორის, აშშ და დიდი ბრიტანეთი, ასრულებენ მოთხოვნას თავდაცვისთვის მშპ-ს 2%-ის გამოყოფის შესახებ.**

ბრიუსელში 11-12 ივლისს გასამართ სამიტზე სწორედ ხარჯების სამართლიანად განაწილებაზე იქნება მსჯელობა და ეჭვი არავის ეპარება, რომ დონალდ ტრამპი შეეცდება, წნეხში მოაქციოს მოკავშირეები, რომლებიც, მისი აზრით, ძალიან ცოტა ფულს ხარჯავენ თავდაცვაზე.

**წერილში იენს სტოლტენბერგი არაფერს ამბობს მოკავშირეებისთვის ხელების გადაგრეხვის პოლიტიკაზე, რომელსაც ამერიკელები ეწევიან, პირიქით — აქებს დონალდ ტრამპს. ალბათ, იმიტომ, რომ მან მრისხანება მოწყალებით შეცვალოს და აშშ-მა არ დატოვოს ალიანსი, თუმცა ერთი წლის წინათ აშშ-ის პრეზიდენტი ლანძღავდა ნატოს და მას მოძველებულ ორგანიზაციას უწოდებდა.**

ექსპერტთა აზრით, ნატოს წევრი ქვეყნების ლიდერების შეხვედრა შეიძლება სრული კატასტროფით დასრულდეს და მოვლენათა ასეთი განვითარება აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბრალი იქნება.

მომავალ სამიტზე შეიძლება საფრთხის წინაშე ამოჩნდეს 70-წლიანი ისტორიის მქონე ალიანსის ეფექტიანობის საფუძველი — მისი პოლიტიკური ერთობა.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# ტრამპისა პუტინის შეხვედრა, სავარაუდოდ, 14 ან 15 ივლისს გაიმართება



**როგორც ავსტრიული გაზეთი Kronen Zeitung-ი წერს, რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა ივლისის შუა რიცხვებში ვენაში გაიმართება. არც კრემლი და არც თეთრი სახლი თარიღს საჯაროდ არ აზუსტებენ, მაგრამ შეხვედრისთვის მზადებას ადასტურებენ.**

ყველაზე სავარაუდოა, რომ შეხვედრა გაიმართება 11-12 ივლისის ნატოს სამიტისა და ლონდონში ტრამპის ვიზიტის შემდეგ, ალბათ, 14 ან 15 ივლისს.

ვარაუდობენ, რომ, სხვა საკითხებთან ერთად, ორი პრეზიდენტი რუსეთისა და ამერიკის ახლებურ ურთიერთობებზე მოილაპარაკებენ და ამ ახლებურ ურთიერთობებს ააგებენ მსოფლიოს, უპირველეს ყოვლისა, რუსეთისა და ამერიკის, ირგვლივ შექმნილ ახალ რეალობებზე.

როგორი შეიძლება იყოს აშშ-რუსეთის ახლებური ურთიერთობები, ამაზე მიგვანიშნებს **ემანუელ მაკრონი**, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ სანქტ-პეტერბურგს სტუმრობდა: **„საფრანგეთი რუსეთისთვის საიმედო პარტნიორია ერთობლივი მომავლის შექმნაში, საფრანგეთი აღიარებს რუსეთის ლიდერობას საერთაშორისო ურთიერთობებში, საფრანგეთი აღიარებს იმ როლს, რომელიც რუსეთმა განსაზღვრა თავისთვის, როგორც მის უახლოეს გარემოცვაში, ისე მსოფლიოს სხვა წერტილებში, მათ შორის — ახლო აღმოსავლეთში. საფრანგეთი სთავაზობს რუსეთს, გამოიმუშაონ ახალი ერთობლივი და ორივესთვის ხელსაყრელი მიდგომები საერთაშორისო საკითხებისადმი“.**

ღია წყაროების მიხედვით
მოამზადა
**გიორგი გავაშელმა**



## ადრე ამას ვინმე წარმოიდგენდა?

# აშშ-მა ნატოს ყოფილი გენმდივანი ქვეყანაში არ შეუშვა

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უარი უთხრა ქვეყანაში უვიზო შესვლაზე ნატოს ყოფილ გენერალურ მდივანსა და ესპანეთის საგარეო საქმეთა ექსმინისტრ ხავიერ სოლანას. ამის თაობაზე წერს ესპანური გამოცემა El Paris-ი.**

ესპანეთის მოქალაქეებს შეუძლიათ, თავისუფლად შევიდნენ აშშ-ში (თუ ისინი გეგმავენ ამ ქვეყანაში დარჩენას არა უმეტეს 90 დღისა), ოღონდ მათ პასპორტებში არ უნდა იყოს აღნიშვნა, რომ იმყოფებოდნენ ირანში, სირიაში, სუდანში, ლიბიაში, სომალიში ან იემენში. სოლანა კი სტუმრობდა ირანს და ახლა მას ვიზის გაფორმება მოუწევს.

ხავიერ სოლანა ნატოს გენერალური მდივნის პოსტზე 1995-99 წლებში იმყოფებოდა. აშშ-ში ის ბრუკინგის ინსტიტუტში (ვაშინგტონი) გამოსვლას აპირებს.

ღია წყაროების მიხედვით მოამზადა **დავით ბერიძემ**

**რუსეთსა და საუდის არაბეთს გადაწყვეტილი აქვთ, აგრეთვე, OPEK -ის ალტერნატიული მუდმივმოქმედი ორგანიზაციის შექმნა. ამ ორგანიზაციას ექნება თავისი წესები და იქ მიიწვევენ სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებსაც. ამ ორგანიზაციაში ხმების განაწილების წესი იქნება OPEK -ისგან განსხვავებული, სახელდობრ, ქვეყნის სანავთობე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თითოეულ ქვეყანას განსხვავებული ხმათა რაოდენობა ექნება.**

ფაქტები და არგუმენტები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# OPEK+-ის ქვეყნების შეხვედრა

**22-23 ივნისს ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაიმართა ნავთობის ექსპორტიორი ქვეყნების ორგანიზაციის, ე.წ. OPEK+-ის ქვეყნების შეხვედრა. მონაწილე სახელმწიფოებმა მიიღეს რუსეთისა და საუდის არაბეთის ერთობლივი წინადადება ნავთობის ყოველდღიური მოპოვების ერთი მილიონი ბარელით გაზრდის შესახებ.**




რუსეთი და საუდის არაბეთი მიიჩნევენ, რომ ნავთობის მოპოვება უნდა გაიზარდოს თანდათანობით, თანაც ნედლი ნავთობის ფასი შეინარჩუნონ 80 აშშ დოლარის ფარგლებში. მოპოვების გაზრდის მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო.

აშშ ყველანაირად ცდილობდა, შეთანხმება ჩაეშალა (მაგრამ არ გამოუვიდა), რადგან ამერიკული ფიქლური ნავთობის კომპანიებისთვის 100 დოლარზე ნაკლები ფასი არარენტაბელურია, ყოველ შემთხვევაში, ევრაზიის კონტინენტზე ექსპორტისთვის.

ადრე OPEK+-ში არ არსებობდა შიგა დისციპლინა, რის გამოც ისინი ცუდად ახერხებდნენ ბაზრის რეგულირებას, რაც, თავის მხრივ, აშშ-ის საშუალებას აძლევდა, განესაზღვრა ნავთობის საერთაშორისო ფასები. ახლა რუსეთმა და საუდის არაბეთმა შეძლეს ყველა მონაწილე ქვეყანასთან საერთო ენის გამონახვა და ნავთობის ფასების განსაზღვრაც მათ ხელში გადავიდა.

**წარმატების მთავარი მიზეზი არის, ალბათ, ის, რომ რუსეთმა მონაწილე ქვეყნებს შესთავაზა, მოპოვება გაზარდონ უკვე არსებული კვოტების პროპორციულად, და ისიც, რომ, რუსეთისვე წინადადებით, ხდება საერთაშორისო ბაზრის წილის ფიქსაცია თითოეული მონაწილისთვის და ნავთობზე მოთხოვნის ზრდის შემთხვევაში (მოთხოვნა კი იზრდება და მომავალშიც გაიზრდება) გაიზრდება თითოეული მონაწილის წილიც. ასეთი მიდგომით სრულიად იცვლება ადრინდელი მდგომარეობა, როცა სანავთობო ბაზარი თითქმის მთლიანად აშშ-ის კომპანიებს ჰქონდათ მონოპოლიზებული და ბაზარზე არსებობა აშშ-ისადმი სრულ პოლიტიკურ ლოიალურობაზე იყო დამოკიდებული და ისიც ყოველთვის არა.**

**რუსეთმა და საუდის არაბეთმა შეძლეს ყველა მონაწილე ქვეყანასთან საერთო ენის გამონახვა და ნავთობის ფასების განსაზღვრა მათ ხელში გადავიდა**

ძლიერის მიერ სუსტის დაჯაბნა შეიცვალა შესაძლებლობების მიხედვით მოქმედების თავისუფლებით (ერთად შემუშავებული წესების ფარგლებში).

რუსეთსა და საუდის არაბეთს გადაწყვეტილი აქვთ, აგრეთვე, OPEK -ის ალტერნატიული მუდმივმოქმედი ორგანიზაციის შექმნა. ამ ორგანიზაციას ექნება თავისი წესები და იქ მიიწვევენ სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებსაც. ამ ორგანიზაციაში ხმების განაწილების წესი იქნება OPEK-ისგან განსხვავებული, სახელდობრ, ქვეყნის სანავთობე შესაძლებლობებიდან გამომდინარე, თითოეულ ქვეყანას განსხვავებული ხმათა რაოდენობა ექნება.

ახალი ორგანიზაციის შექმნა რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული. პირველი — OPEK-ი 60 წელზე მეტი ხნის წინათ შეიქმნა და მთლიანად ამერიკელების ინტერესებზე იყო მორგებული, ისინი აკონტროლებდნენ; მეორე — ბოლო რამდენიმე წელია, ყველა ნავთობმომპოვებელი ქვეყანა ცდილობს, დააღწიოს თავი ამერიკელების დიქტატს და დაიცვას თავისი ნავთობის რელიზაციის არეალი. ამან ნავთობის ბაზარი რეგიონალიზაციამდე მიიყვანა და, თავის მხრივ, ახალი წესების შემუშავების აუცილებლობა წარმოშვა.

ბაზრის რეგიონალიზაციამ ობიექტურად გააჩინა ბაზრის დაცულობის, სტაბილურობისა და დაბალანსების მოთხოვნა. ამ მოთხოვნების შესრულება კი რეგიონის წამყვანი სანავთობე ქვეყნის ფუნქციაა. რუსეთი და საუდის არაბეთი ამ პასუხისმგებლობას, როგორც ჩანს, იღებენ.



# კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი მოსკოვში ჩავიდა

**21-23 ივნისს მოსკოვს სამდღიანი ვიზიტით ეწვია კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტი მუნ ჩჟე ინი.**

რუსეთის პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინთან** გამართულ შეხვედრაზე მხარეებმა ორმხრივი თანამშრომლობით კმაყოფილება გამოხატეს, დაადასტურეს ერთგულება ჩრდილოეთ კორეის კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაჭრისადმი და ახალ პროექტებზე შეთანხმდნენ. კერძოდ, განიხილეს თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა და სარკინიგზო მიმოსვლის პერსპექტივა კორეის ნახევარკუნძულიდან ევროპის მიმართულებით. შეხვედრას მოჰყვა რუსულ-კორეული ბიზნესფორუმი „გზა ევრაზიის ერთობლივად აყვავებისა და მშვიდობისკენ კორეის ნახევარკუნძულზე“. თავისუფალი ვაჭრობის ზონაზე მანამდე თათბირობდნენ ჩინეთი, იაპონია და სამხრეთ კორეა, ახლა მონაწილეობა რუსეთსაც შესთავაზეს.

# ევროპას ნატო აღარ მოსწონს და საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნას ცდილობს



**ევროკავშირის ცხრა ქვეყნის თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც სამხედრო რეაგირების ერთობლივი ევროპული ძალების ფორმირებას ითვალისწინებს. ხელმომწერებს შორის არის დიდი ბრიტანეთიც. გაერთიანებულ სამეფოს მასში მონაწილეობა „ბრექსიტის“ შემდეგაც შეეძლება.**

ერთობლივი სამხედრო ძალების შექმნის ინიციატივა, რომელსაც საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი ხელმძღვანელობს, ავტონომიური ევროპული თავდაცვითი შეიარაღებული ძალების შექმნის გეგმის ფარგლებში მიმართული იქნება კრიზისულ სიტუაციებში ევროპის საზღვრებთან ჯარების სწრაფი განლაგებისკენ. ჯგუფში ერთიანდებიან **გერმანია, ბელგია, დიდი ბრიტანეთი, დანია, ნიდერლანდები, ესტონეთი, ესპანეთი** და **პორტუგალია.**

# იტალია ევროკავშირს ეჭვის თვალით უყურებს

**იტალიის პრემიერმინისტრის მოადგილემ და შინაგან საქმეთა მინისტრმა მატეო სალვინიმ განაცხადა, რომ ერთ წელიწადში გადაწყდება, ერთიანი ევროპა კიდევ იარსებებს თუ არა.**



სალვინის განცხადებით, საკვანძო ფაქტორები იქნება 2019 წლის ევროპის არჩევნები და მოლაპარაკებები ევროკავშირის ბიუჯეტზე. მატეო სალვინი ევროსკეპტიკური პარტია „ჩრდილოეთის ლიგის“ ლიდერია. ამ პარტიამ ევროსკეპტიკურ პარტია „ხუთი ვარსკვლავის მოძრაობასთან“ ერთად ჩამოაყალიბა იტალიის მთავრობა.

# «ევროსკეპტიციზმი ევროპაში ისე ვრცელდება, როგორც კეთრი»

**საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა შეშფოთება გამოხატა ევროპაში ნაციონალ-კონსერვატიული მოძრაობის მზარდი პოპულარობის გამო და განაცხადა, რომ ევროსკეპტიციზმი ევროპაში ისე ვრცელდება, როგორც კეთრი.**



„ბევრს ეჯავრება ევროკავშირი, მაგრამ მათ ის დიდი ხნის განმავლობაში სძულდათ. ახლა კი ვხედავთ, რომ ევროსკეპტიციზმი მთელ ევროპაში ვრცელდება, როგორც კეთრი, ქვეყნებში, სადაც გვეგონა, რომ ის აღარასოდეს გამოჩნდებოდა“, — განაცხადა მაკრონმა.

ღია წყაროების მიხედვით მოამზადა **გიორგი გავაშელმა**

საკითხავი
აი ეს არის...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყოველწლიურად ექსპერტები და განათლების სფეროს წარმომადგენლები აბიტურიენტების ჩაჭრის მაღალ მაჩვენებელს, ძირითადად, სკოლის დაბალი დონით ხსნიან, მაგრამ ამ დონის ამაღლებაზე ვინ უნდა იზრუნოს?**

# რატომ არის ყოველწლიურად გამოცდების შედეგები სამარცხვინო, სასკოლო განათლების დონე კი — კატასტროფული?

## არასწორი სასწავლო პროგრამა და სუსტი პედაგოგები — აი დღევანდელი განათლების სისტემა



**გამოცდების შედეგები სამარცხვინოა, სასკოლო განათლების დონე — კატასტროფული — ყოველწლიურად ეს გვესმის; გვეუბნებიან, რომ ეროვნული გამოცდების შედეგები უპრეცედენტოა, რომ სწორედ წელს ეროვნულ გამოცდებში ჩაჭრილი აბიტურიენტების რაოდენობამ ყველა რეკორდი მოხსნა, რომ მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აბიტურიენტთა კატასტროფულმა რაოდენობამ ვერ გადალახა, რომ ფიზიკის, ქიმიის გამოცდებში სამარცხვინო შედეგებია...**

ექსპერტები და განათლების სფეროს წარმომადგენლები აბიტურიენტების ჩაჭრის მაღალ მაჩვენებელს, ძირითადად, სკოლის დაბალი დონით ხსნიან.

მაგრამ ამ დონის ამაღლებაზე ვინ უნდა იზრუნოს?

სკოლის ფუნქცია მარტო სწავლება არ არის, ის უნდა იყოს განმავითარებელი, აღმზრდელი. თუ ბავშვს მასწავლებელი არ უყვარს, მას არც სწავლა უყვარს.

სკოლა არის კიბე სულის ამაღლებისთვის. დღეს კი სკოლაში ბევრი მასწავლებელი სათანადო ცოდნას არ ფლობს. ამ მასწავლებლებს ვაბარებთ ინდიგო ბავშვს, რომელიც მრავალმხრივ ნიჭიერია, ასეთი მასწავლებელი კი მას ვერაფერს შესძენს.

რა უნდა ვქნათ ასეთ შემთხვევაში?

ქართველ პადაგოგსა და ფსიქოლოგს, თავის დროზე პედაგოგ-ნოვატორად აღიარებულ შალვა ამონაშვილს ამ პრობლემის გადასაჭრელად საინტერესო მოსაზრება აქვს: „მასწავლებელი უნდა შევცვალოთ, მაგრამ როგორ? — თანდათანობით მაინც. სკოლაში ყოველთვის არის ერთ მასწავლებელი, ღვთისგან მოვლენილი. ასეთი მასწავლებლები შეიძლება გავამრავლოთ კარგი მიდგომით...

ბავშვს აქვს ორი სამკუთხედი: ერთი ამბობს, რომ ბავშვი არის მოვლენა: ბავშვს მოაქვს **თავისი გზა, თავისი მისია** და **უსაზღვრო ენერგიის** მატარებელია. უნდა გაიგოს მასწავლებელმა, რომ უნიჭო ბავშვი არ არსებობს. გონება არ არის ზარმაცი, **არსებობს მხოლოდ ჩვენი შეზღუდული პედაგოგიკა.**

მეორე სამკუთხედი ამბობს, რომ ბავშვს აქვს ფსიქოლოგია: უნდა **დიდობა**, უნდა **განვითარება, თავისუფლება.** ავაგოთ ამ სამზე პედაგოგიკა.

ილიამ თქვა: „ისე აღზარდე შენ შვილის სულიო...“ დღეს ბავშვს სულს უზრდის მასწავლებელი? ბავშვს გზას უკვალიანებს?

გურამიშვილისა არ იყოს, „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო?“

ეს თუ ვერ შეძელი, რა მასწავლებელი ხარ მაშინ“.

დღეს კი ექსპერტები გამუდმებით იმეორებენ, რომ მასწავლებლები ელემენტარულ მოთხოვნებსაც ველარ აკმაყოფილებენ, განსაკუთრებით ტექნიკური საგნების სპეციალისტები. და თუ ტექნიკური საგნების სპეციალისტები არ არიან ქვეყანაში, თუ ქიმია, ფიზიკა და ბიოლოგია არ იციან აბიტურიენტებმა, მომავალში არც ექიმი გვეყოლება ნორმალური და არც ინჟინერი.

საგანგაშო პერსპექტივაა, ვერაფერს იტყვი.

და ეს ყველაფერი განათლების არასწორი რეფორმით არის გამოწვეული. არასწორი სასწავლო პროგრამა და სუსტი პედაგოგები — აი დღევანდელი განათლების სისტემა.

საქართველო არ არის „გუშინდელი გამოჩეკილი“ ქვეყანა, უცხოელთა მიერ აღმოჩენილი და აშენებული. აქ ოდითგან ქართული გენი და ქართული ნიჭი ქმნიდა ეროვნულ კულტურას; ილვწოდა და აშენებდა ძლიერ სახელმწიფოს. ჩვენ ვართ ერი, რომელსაც აქვს მრავალი საუკუნის წინათ შექმნილი საკუთარი დამწერლობა, საკუთარი ენა, საკუთარი მიწა-წყალი და ჭეშმარიტი სარწმუნოება. დღეს მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ ფონზე, როცა ყველა მხრიდან უტევენ ტრადიციებს, კულტურას, ენასა და სარწმუნოებას, ადამიანები, სამწუხაროდ, ყოველდღიურ გაჭირვებაზე, მძიმე ყოფაზე უფრო ამახვილებენ ყურადღებას.

მაგრამ ისევ ილიას მივუგდოთ ყური:

**„ტყუილი ჩივილია, ტყუილი ტირილია უფულობისა, უქონლობისა. უნდა ვტიროდეთ და ვჩიოდეთ უცოდინარობას, უვიცობას, იმიტომ, რომ სათავე და მიზეზთა-მიზეზი ყოველ უბედურობისა ეგ უვიცობა, ეგ ცოდნის უქონლობაა. მაშასადამე, ცოდნა, სწავლა-განათლება, მარტო სამკაული-კი არ არის კაცისა, პირველ წყების საჭიროებაა, როგორც პური, როგორც წყალი, როგორც საჭმელი და სასმელი, ერთის სიტყვით, როგორც ყოველივე ის, ურომლისოდაც კაცს გაძლება და ხეირი ამ ქვეყანაზედ არ შეუძლიან“. „ცხოვრების მოედანზე საჭიდაოდ და გასამარჯვებლად კი იგი უნდა ეტანებოდეს სკოლებს, სასწავლებლებს, ამ სწავლა-ცოდნის მომფენელთ და მომავლინებელთ. მაგრამ, აბა ერთი უყურეთ, ან ამ მხრივ რა ყოფაში ვართ. აქაც, ჩვენდა საუბედუროდ, სხვებზედ უკანა ვართ დარჩენილნი“.**

მაგრამ ახლა რა ყოფაშიც ვართ, ამის წარმოდგენაც კი გაუჭირდებოდა თავის დროზე ერის მამას. ქართველთა გასანადგურებლად და დასაკნინებლად ყველაზე ეფექტური და ნაცადი ხერხი მის მომავალ თაობაზე, კერძოდ, მის აღზრდასა და განათლებაზე ზემოქმედებაა. წლებია, საქართველოში ეს ზემოქმედება მიმდინარეობს განათლების რეფორმის სახელწოდებით. შედეგად სკოლას ჩამოერთვა აღმზრდელობითი ფუნქცია, აიკრძალა სკოლებში რელიგიის სწავლება და სამლოცველო კუთხეები, მოსწავლე სკოლას ისე ამთავრებს, ერთი ლექსიც კი არ იცის ზეპირად, ნესტანი და დარეჯანი შეყვარებულები ჰგონია, ხოლო გრიგოლ ხანძთელი „სადღაციდან ეცნობა“, მაგრამ ვერ იხსენებს...

მსგავს რამეებს რომ ვისმენთ, გველიმება, მაგრამ ეს მართლა არ არის სასაცილო...

საგანგაშოა!

ამჯერად ისტორიას მივუბრუნდებით და მკითხველს მოვუთხრობთ, თუ როგორ იდგა სწავლა-განათლების საკითხი XI-XII საუკუნეებისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში. წერილის ავტორია ფილოლოგი, აწ განსვენებული **თემურ ქორიძე**, მასალა 2010 წელს დაიბეჭდა ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში“ (№5).

XI-XII საუკუნეებისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში კულტურის საერთო დონის განვითარებას სწავლა-განათლების საქმის აღმავლობაც კვალდაკვალ მიჰყვებოდა. კერძოდ, შესამჩნევად დაწინაურებულა ამ პერიოდში **სასკოლო განათლება. სკოლები არსებობდა ეკლესია-მონასტრებთან, საეპისკოპოსო კათედრებთან და, აგრეთვე, ცალკეც, როგორც დამოუკიდებელი დაწესებულება.**

გიორგი მთაწმინდელის ბიოგრაფის ცნობით, გიორგის მშობლებმა, როცა მათი ქალიშვილი თეკლე (გიორგი მთაწმინდელის და) შვიდი წლის შეიქნა, ტაძრისის დედათა მონასტერში (სამცხეს) მიიყვანეს და მის წინამძღვარს ჩააბარეს, რომელმაც „შეითვისა იგი“ და „კეთილად აღზარდა“. როცა გიორგი შვიდი წლისა გახდა, მშობლებმა ისიც ტაძრისში მიიყვანეს. აქ გიორგი იზრდებოდა „მონასტერსა მას შინა, და ისწავლიდა წერილთა საღმრთოთა დედაკაცისა მისგან, აწ უკვე გაზრდილი და განსწავლული „დისა მისისაგან“. დაწყებითი განათლების მისაღებად გიორგიმ ტაძრისში სამი წელი დაჰყო. ათი წლის რომ შეიქნა, ბიძებმა ახლა უკვე ხახულს წაიყვანეს, ლავრისა „მოძღუარს“ და „ეგრეთვე დიდსა ბასილის, ბაგრატის ძესა“ წარუდგინეს, რის შემდეგაც ჩააბარეს „მოძღურებათა შინა“ განთქმულ **ილარიონ თუალელს**, რომელიც იმ დროს ხახულში დამკვიდრებულიყო და მან გიორგის „წურთა იწყო“.

ზემოთ მოტანილი ცნობები აშკარად ცხადყოფს, რომ **ხახული არა მარტო საკულტო-სამონასტრო, არამედ სასწავლო-სასკოლო ცენტრსაც წარმოადგენდა**, სადაც საკმაოდ კარგად მომზადებული „მოძღუარნი“ (მასწავლებლები) ეწეოდნენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. საფიქრებელია, რომ ასეთივე სასწავლო დანიშნულების მისია უნდა ჰქონოდა დაკისრებული იმხანად ბევრ სხვა საკულტო-სამონასტრო ცენტრსაც საქართველოში.

აღსანიშნავია, რომ ადრეული ხანის დიდ მონასტრებთან (ოშკის, ოპიზის, შატბერდის, ბერთას, ხანძთას, ოთხთა ეკლესია) ხშირად გვხვდება ფართო მოცულობის მქონე შენობები. აკად. ექვთიმე თაყაიშვილის დაკვირვებით, ეს შენობები მონასტრებთან არსებული სემინარიებისათვის იყო განკუთვნილი, რომლებიც მომავალ ეკლესიის მსახურთ ამზადებდნენ.

**თუ რა საგნები ისწავლებოდა ზემოაღნიშნულ სკოლებში, ამის შესახებ ცნობები შემონახული აქვს გიორგი მცირეს „გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებაში“.** ხახულში გიორგისთვის უსწავლებიათ **თეოლოგია, გალობა, ჰიმნოგრაფია, ლიტურგიკა**.

ხახულში გიორგი ათი წლისა მიიყვანეს. აქედან გამომდინარე, ზემოდასახელებული საგნები (რომლებთან ერთად, რა თქმა უნდა, **ქართული მწიგნობრობაც** უნდა ვიგულისხმოთ) მას 10-დან და 12-13 წლამდე შეასწავლეს. თუ ამ ფაქტს განვაზოგადებთ, მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ **თეოლოგიის, ჰიმნოგრაფიის, ლიტურგიკისა და ქართული მწიგნობრობის შესწავლა ეკლესია-მონასტრებთან არსებულ სკოლებში საშუალო ასაკის მოსწავლეთა მიერ ხდებოდა.**

**ეკლესია-მონასტრებთან არსებული სკოლები ერთ-ერთი ოფიციალური სკოლები იყო XI-XII საუკუნეების საქართველოში. ამ დროისათვის გავრცელებული ყოფილა, აგრეთვე, კერძო საშინაო სწავლება.** საშინაო სწავლების ტრადიცია ძველთაგანვე არსებობდა საქართველოში და იგი უმთავრესად სამეფო კარისა და დიდგვარიანი ოჯახის შვილების აღზრდას უკავშირდება.

XII საუკუნეში თამარ მეფის აღზრდას მეთვალყურეობდა მისი მამიდა რუსუდანი. რუსუდანისავე სახლში იზრდებოდა დავით სოსლანი, შემდგომში თამარის ქმარი, რომელიც რუსუდანს „მოეყვანა საზდელად სახლსა შინა მისსა“.

**XI-XII საუკუნეებისა და XIII საუკუნის დასაწყისის საქართველოში სასკოლო განათლების დაწინაურებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ამ პერიოდში ქართველებმა კარგად გაიცნეს ბიზანტიური სკოლა.** მრავალი ქართველი, განსაკუთრებით დიდგვარიან ფეოდალთა ოჯახების წარმომადგენელნი, დროებით ან სამუდამოდ სახლდება ბიზანტიაში და იქაურ სკოლებში იძენს ბერძნულ სწავლა-განათლებას. მაგალითად, XI საუკუნის დამდეგს, ბაგრატ IV-ის გამეფების პირველსავე წელს, „წარვიდეს აზნაურნი ტაოელნი საბერძნეთს: ვაჩე კარიჭის ძე და ბანელი ეპისკოპოსი იოვანე, და მათ თანა სიმრავლე აზნაურთა ტაოელთა“. ტაოელი აზნაურის — ვაჩე კარიჭის ძის ოჯახმა მოგვცა ისეთი შესანიშნავი მოღვაწე, როგორიცაა **ეფრემ მცირე**. ცნობილია, აგრეთვე, რომ გიორგი მთაწმინდელმა საქართველოდან წაიყვანა ბიზანტიაში 80 ყმაწვილი. მართალია, როგორც კ. კეკელიძე აღნიშნავს, გიორგი მთაწმინდელს „განზრახვა ჰქონდა, ისინი ივერიის მონასტრის სამსახურისათვის აღეზარდა, მაგრამ უნდა ვიფიქროთ, მათგან არა ერთმა და ორმა მიიღო შესაფერისი განათლება მაშინდელი ბიზანტიის სკოლებშიც“. სომეხი ისტორიკოსის — ვარდან დიდის ცნობით, დავით აღმაშენებელმა საბერძნეთში გაგზავნა 40 ახალგაზრდა იქაურ სკოლებში სწავლის მისაღებად და მთარ- ▶

საკითხავი აი ეს არის...
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა.

◀ გმნელობით ხელოვნებაში გასაწვრთნელად.

ისეთ სკოლებს, როგორსაც ადგილი ჰქონდა ბიზანტიაში, საფიქრებელია, რომ თვით ქართველებიც მოაწყობდნენ საქართველოში და, რა თქმა უნდა, ეცდებოდნენ, რომ ქართული სკოლებიც თავისი სასწავლო-პედაგოგიური და სამეცნიერო მიღწევებით იმ დონეზე ყოფილიყო, რა დონეზეც იყო სკოლა მაშინდელ მოწინავე ქვეყანაში — ბიზანტიაში.

**დღეისათვის ქართულ მეცნიერებაში საცილობელი აღარაა, რომ XII საუკუნის საქართველოში არსებობდა უმაღლესი სკოლები, აკადემიები. ერთ-ერთ ასეთ უმაღლეს სკოლას წარმოადგენდა გელათის აკადემია.**

გელათი დავით აღმაშენებლისავე ხანაში თვალსაჩინო სასწავლო-სამეცნიერო ცენტრად იყო მიჩნეული. მონასტრის დამაარსებელმა დროულად დაიჭირა სათანადო თადარიგი და განსწავლული პირები მიიწვია იქ, საქართველოსა თუ უცხოეთში მოღვაწე გამოჩენილ ქართველ მწიგნობრებს თავი მოუყარა და შემოქმედებითი მუშაობისათვის უაღრესად ხელსაყრელი პირობები შეუქმნა. მათ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ცნობით, დავითმა „მუნვე შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა, არა თვსთა ოდენ სამეფოთა შინა პოვნილნი, არამედ ქუეყანისა კიდეთათ, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმიდე, სიკეთე, სისრულე, სულიერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა, იძინა და კეთილად გამოიძინა, მოიყვანნა და დაამკვიდრნა მას შინა". „მამული ლიპარიტეტი" შესწირა და მონასტერში დამკვიდრებულთ „უზრუნველი ტრაპეზი განუჩინა".

მემატიანის თხრობიდან ნათლად ჩანს, რომ **დავითს გელათის მონასტრის დაარსებისას ფართო მიზანი ჰქონდა დასახული. ის საფუძველს უყრიდა და ქმნიდა არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს.**

ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის ხანამდეც მონასტრები ფეოდალური საქართველოს კულტურულ განვითარებაში განსაკუთრებული მნიშვნელობის როლს ასრულებდნენ. მონასტრები საშუალო საუკუნეების საზოგადოების სწავლების ცენტრებს წარმოადგენდნენ, არაერთი მონასტერი იყო ამ დროს საქართველოში და მის გარეთ (პალესტინაში, სირიაში, ბიზანტიაში, ბულგარეთსა და სხვაგან), სადაც დიდი წარმატებით იყო გაშლილი შემოქმედებითი მუშაობა შუასაუკუნეობრივ საქრისტიანო მეცნიერებაში. **ენა, ლიტერატურა, ისტორია, პოეზია, ფილოსოფია, ფილოლოგია და ცოდნის სხვა დარგები ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენდა.** ქართველი ფეოდალური საზოგადოება დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული ქრისტიანული მეცნიერების წარმატებისადმი და ესა თუ ის სასულიერო მოღვაწე-მეცნიერი ყოველთვის დიდი სახელითა და პატივისცემით სარგებლობდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან საერო ხელისუფალნი, ბუნებრივია, ცდილობდნენ ქრისტიანული სწავლების ეს ავტორიტეტული წარმომადგენლები თავიანთ თანაშემწეებად ჰყოლოდათ ქვეყნის მართვა-გამგეობაში. სავსებით გასაგებია, რომ დავით აღმაშენებელმაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ცხოვრების ამ მხარეს. მაგრამ **ის, რაც დავითმა გელათის აშენებით დააპირა, არსებითად განსხვავდებოდა აქამდე არსებული პრაქტიკისაგან. დავითი შეეცადა, ყოველივე ამის „ორგანიზებას ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანების სამსახურად. გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ახალგაზრდა მეფეს, ის ამ დროს 30 წელს ძლივს იყო მიღწეული, ეს დიდი საქმე განუზრახეს მისმა უერთგულესმა მრჩეველ-თანაშემწეებმა საერო თუ საეკლესიო პოლიტიკის საქმეებში, — გიორგი მწიგნობართუხუცესმა და სხვა მონაზვნებმა. და მოწიფულ საქმეს თავი მოება. გონებრივ მუშაკთა საუკეთესო ძალები შემოკრიბეს ყველა იმ ადგილებიდან, სადაც კი ქართველები მოღვაწეობდნენ. დაარსდა აკადემია — გონებრივი ცენტრი ქართული ქრისტიანული მეცნიერებისა.** გასაგებია, თუ რაოდენ არსებითი და მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ეს ავტორიტეტი იმ დიდი საქმის შესრულებისათვის (ქვეყნის ცენტრალისტურად გაერთიანება და თურქთა განდევნა), რომელიც დავითმა წამოიწყო". მრავალგან დაქსაქსული კულტურული კერების ნაცვლად ერთი კერა შეიქმნა, საუკეთესო ძალები შემოკრებილ იქნა და პირდაპირ ჩადგა გაერთიანებული ქვეყნის კულტურის სამსახურში.

**დავითის ისტორიკოსი გელათის აკადემიის შესახებ წერს, რომ იგი არის „ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად, სასწავლოდ ყოვლისა კეთილისად, მოძღურად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესთა, დიაკონად ყოვლისა საეკლესიოსა შუენიერებისად". ეს ცნობა გვაძლევს იმის სრულ საფუძველს, რომ გელათი მივიჩნიოთ როგორც საერო-ფილოსოფიური მეცნიერების (ათენი), ისე სასულიერო-საეკლესიო განათლების (იერუსალიმი) თვალსაჩინო ცენტრად.** ისტორიკოსი გელათს ათენზე მაღლაც კი აყენებს. „ის გელათს ყოვლისა აღმოსავლეთისა მეორედ იერუსალიმად სახავს. იერუსალიმი არა მარტო ყოვლისა აღმოსავლისა, არამედ ყოვლისა დასავლეთისა თუ ქვეყნის ყველა მხარეთა სიბრძნის წყარო იყო.

ასე რომ ჩვენი ისტორიკოსი ამბობს, რომ გელათი ყოველ აღმოსავლეთში (მთელ აღმოსავლეთში) იერუსალიმობას გასწევს, ათინობას გასწევს. ასე რომ, **გელათის დანიშნულება და როლი საქართველოთი როდი ამოიწურება, ის მთელ აღმოსავლეთს მიჰფენს ქრისტიანულ სწავლას, ქრისტიანულ მეცნიერებას. ასეთი ფართო მიზნების სამსახურში ეხატებოდათ, ჩანს, დავითსა და მის თანაშემწეებს გელათი მისი აკადემიით. მეცნიერების სწავლების ცენტრი სჭირდებოდა ახალ ქრისტიანულ ქართულ პოლიტიკურ ერთეულს, რომელიც ახლო აღმოსავლეთში ბიზანტიის მონაცვლეობას ლამობდა".**



დავითის ისტორიკოსი გელათს ათენზე მაღლაც კი აყენებს.
„ის გელათს ყოვლისა აღმოსავალისა მეორედ იერუსალიმად" სახავს

ისტორიულ წყაროებში (მაგალითად, შემოქმედის გულანის მინაწერში) დაცული ცნობების მიხედვით, **დავითი 1106 წელს შეუდგა გელათის ანსამბლის მშენებლობას.** დავით აღმაშენებლის ისტორიკოსს გელათის მონასტრის მშენებლობის დაწყების შესახებ ამბავი 1103-1110 წლებს შუა აქვს მოთხრობილი. გელათის მონასტრის მშენებლობა კარგა ხანს გაგრძელებულა. დავითს მისი დამთავრება ვეღარ მოუსწრია. თავის ანდერძში ის გულისტკივილით აღნიშნავს, რომ დაუმთავრებელი დარჩა წამოწყებული მშენებლობა. მონასტრის მშენებლობის დასრულება დავითმა თავის ვაჟს — დემეტრე I-ს (1125-1156) დაავალა. საფიქრებელია, 1125 წლისათვის, როდესაც დავით აღმაშენებელი გარდაიცვალა, მონასტრის მშენებლობის დასრულებას ბევრი აღარაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, დავითის მემატიანე, რომელიც თავის თხზულებას 1123-1126 წლებში წერდა, გელათის ტაძარს დამთავრებულად ასახელებს და მას ხოტბასაც კი ასხამს. ყოველივე ეს შესაძლებელს ხდის, რომ მშენებლობის დასასრული დაახლოებით 1126 წლით დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, საგულისხმოა, რომ მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა გელათში ადრევე, დავითის სიცოცხლეშივე, გაჩაღდა. სწავლულმა და განათლებულმა მეფემ აღარ დაუცადა მონასტრის მშენებლობის დასრულებას და ქართველ მწიგნობრებს ადრევე მოუყარა თავი.

გელათის აკადემია თავის კედლებში აერთიანებდა ქართული კულტურის ყველაზე უფრო გამოჩენილ და პროგრესულ წარმომადგენლებს. XII საუკუნეში იგი გადაიქცა ქართული რენესანსის ერთ-ერთ მძლავრ კერად.

**გელათის აკადემიაში დავით აღმაშენებელმა მოიწვია ქართული კულტურის წარმომადგენლები, რომელნიც იმ დროს ათონის, პეტრიწონის, აგრეთვე, კონსტანტინოპოლისა და ბიზანტიის სხვა აკადემიებში მოღვაწეობდნენ. მოწვეულთა შორის იყვნენ: იოანე პეტრიწი, თეოფილე ხუცეს-მონაზონი, იოანე ტარიჭის ძე და სხვები, რომელთაც გელათში მეტად ნაყოფიერი სამეცნიერო-ფილოსოფიური მოღვაწეობა გაშალეს.**

ქართულ წყაროებში შემონახული ცნობების მიხედვით, ირკვევა, რომ გელათის აკადემიას საგანგებო თანამდებობის პირი ხელმძღვანელობდა, რომელიც „მოძღუართ-მოძღუარის" ტიტულს ატარებდა. „იგი მეცნიერი ბერია. უფლებით და ავტორიტეტით მოძღვართ-მოძღვარი მაღლა დგას კორპორაციის ყველა ადმინისტრაციულ და საეკლესიო ხელისუფლებაზე, მათ შორის მონასტრის წინამძღვარზეთ". მოძღვართმოძღვარს მთელს საქართველოში უდიდესი პატივისცემა ჰქონდა მოპოვებული, უაღრესად განათლებული პირი იყო. იგი აშკარად გელათში ზის და არის იქ არსებული აკადემიის უფროსი, ანუ, თანამედროვე ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, „რექტორი". გელათის მოძღვართმოძღვარი, როგორც აკადემიის რექტორი, დიდმოხელე სასულიერო პირთა (ჭყონდიდელი, „კათალიკოზნი ქართლისა და აფხაზეთისა" და სხვ.) შორის ყველგან პირველი იხსენიება. „ხელმწიფის კარის გარიგების" მიხედვით, მას მათზე მეტი უფლება და პატივი აქვს მინიჭებული. მაგალითად, დიდ დარბაზზე დასასწრებლად მოძღვართმოძღვარს საგანგებოდ ეგზავნება ერთი ჯორი და სამი ცხენი (ორი ცხენი მოწაფეებისათვის), დარბაზში პირველად ის შედის, შემდეგ კი — კათალიკოსი. მეფეც ყველაზე მეტი პატივისცემით მას ესალმება, ვიდრე კათალიკოსებს და ჭყონდიდელს.

აქვე ის ფაქტიც უნდა აღინიშნოს, რომ „მოძღუართ-მოძღუარი" სრულიადაც არ გულისხმობდა „მოძღვრების" მოძღვარს. „ამ ცნებაში მოძღვარი" ნაგულისხმევია აღმატებით ხარისხში, ე.ი. „მოძღვარი", რომელიც ყველაზე წარჩინებულია, ჩვეულებრივ მოძღვარზე მეტად ნასწავლია („მოძღვარი" ძველად მასწავლებელს ნიშნავდა)... „მოძღვარი" ძველ მონასტრებში მეცნიერ ბერს ეწოდებოდა, რომელსაც მოწაფეები ჰყავდა და მათ მეცნიერებას, მწერლობას და რაიმე ხელოვნებას ასწავლიდა. გელათის მოძღვართმოძღვარიც ასეთივე მასწავლებელი იყო, მაგრამ ჩვეულებრივ მოძღვრებთან შედარებით მას უფრო მეტი ცოდნა ჰქონდა და სკოლის უფროსიც იყო".

ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ტერმინი „მოძღუართ-მოძღუარი", როგორც ეს სამეცნიერო ლიტერატურაშია აღნიშნული, ძალზე ენათესავება ბიზანტიური უმაღლესი სკოლის მეთაურის („დიდასკალოს ტონ დიდასკალონ") სახელწოდებას.

ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში XII საუკუნის საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის არსებობის შესახებ ერთადერთი პირდაპირი და უტყუარი ცნობა მხოლოდ გელათის აკადემიას ეხება.

**არსებობს გვიანდელი ხანის ცნობები იმის შესახებ, რომ XII საუკუნის საქართველოში, გარდა გელათისა, უმაღლესი სასწავლებელი არსებობდა იყალთოში აკადემიის სახით, რომელსაც არსენ იყალთოელი ხელმძღვანელობდა.** იყალთოში ქართული უმაღლესი სკოლის არსებობის ფაქტზე მიუთითებენ **დავით რექტორი** და **თეიმურაზ ბაგრატიონი.**

გადმოცემით, უმაღლესი სკოლა უნდა არსებულიყო გრემშიც, მაგრამ ამის შესახებ რაიმე ძველი სარწმუნო წერილობითი წყარო ან დოკუმენტური მოწმობა არ მოგვეპოვება.

ისმის კითხვა: რა საგნები ისწავლებოდა ქართულ უმაღლეს სკოლებში?

**მკვლევართა აზრით, გელათისა და იყალთოს აკადემიებში, ძირითადად, სწავლების ისეთივე სისტემა უნდა ყოფილიყო შემოღებული, როგორიც საერთოდ იმდროინდელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში.** კერძოდ, ბიზანტიაში უმაღლესი სკოლის სასწავლო გეგმაში შვიდი დისციპლინა იყო საყოველთაოდ სავალდებულო. ეს სამეცნიერო დისციპლინებია ე.წ. ტრივიუმ — ქუადრივიუმ-ის (სამი + ოთხი) ციკლი: **გეომეტრია, არითმეტიკა, მუსიკა, რიტორიკა, გრამატიკა, ფილოსოფია, ასტრონომია.** „ამ შვიდი დისციპლინის სწავლება სავალდებულო იყო ყველგან, მაგრამ ამა თუ იმ სასწავლებელში, ადგილობრივი საჭიროებისდა მიხედვით, შეიძლებოდა დამატებითი საგანი ყოფილიყო გეგმაში შეტანილი. ჩვენ ვიცნობთ ბიზანტიის უმაღლესი სკოლების ისეთ გეგმას, სადაც, იმ შვიდი დისციპლინის გარდა, იყო მედიცინა; ზოგან შეტანილი იყო (მაგალითად, ბეირუთში) სამართლის მეცნიერება, სხვაგან კიდევ სხვა". რაც შეეხება საქართველოს უმაღლეს სკოლებს, ქართულ წყაროებში დაცული ცნობების საფუძველზე მკვლევარნი გამოთქვამენ ვარაუდს, რომ აქ, კერძოდ, გელათში, სავალდებულო უნდა ყოფილიყო ზემოხსენებული შვიდი დისციპლინა. ასეთი ვარაუდის გამოთქმისას მკვლევართ მხედველობაში აქვთ იოანე პეტრიწის ორიგინალური ფილოსოფიური ნაწარმოები „განმარტება პროკლე დიადოხოსის და პლატონური ფილოსოფიისათვის", რომლის ბოლოსიტყვაობაშიც იგი დაწვრილებით მსჯელობს ზემოაღნიშნულ შვიდ სამეცნიერო დისციპლინაზე, თუ რომელი მათგანი რისთვის არის საჭირო, რომელი მათგანი რა დასკვნების გამოტანის შესაძლებლობას ქმნის.

პეტრიწი ჯერ ტრივიუმ-ში შემავალ დისციპლინებზე — გეომეტრიაზე (ქვეყნის სამზომლო), არითმეტიკაზე (რიცხუნი) და მუსიკაზე (სამუსოი) მსჯელობს, რომლებიც საღვთისმეტყველო განათლების პირველ ციკლად აქვს წარმოდგენილი. ცოტა უფრო ქვემოთ იოანე პეტრიწი მეორე ციკლის (ქუადრივიუმ) თითოეული სამეცნიერო დისციპლინის (ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხუელობა) განმარტებას იძლევა.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რაში დასჭირდა იოანე პეტრიწს, ეხსენებინა ეს შვიდი დისციპლინა (ქუეყნის სამზომლოი, რიცხუნი, სამუსოი, ღრამატიკოსობა, რიტორობა, ფილოსოფოსობა, ვარსკვლავთმრიცხუელობა)? სავსებით ნათელია, რომ მან საქრისტიანო დებულებების განსამარტავად მოიშველია სწორედ ის დისციპლინები, რომლებიც ისწავლებოდა გელათის აკადემიაში, ე.ი. იქ, სადაც სხვებთან ერთად მანგანის აკადემიაში აღზრდილი იოანე პეტრიწი თვითონაც მოღვაწეობდა.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ტრივიუმ ქუადრივიუმ-ის საგნებისა, გელათის აკადემიაში, როგორც ჩანს, მედიცინაც ისწავლებოდა. მკვლევართა აზრით, XIII საუკუნის დასაწყისში თარგმნილი სამედიცინო ხასიათის „წიგნი სააქიმოი" სასწავლო დანიშნულების სახელმძღვანელო ნაშრომი უნდა ყოფილიყო, რომელიც ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში, კერძოდ, გელათში, მედიცინის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით იხმარებოდა.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საგულისხმო ფაქტი. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, როგორც კი დაამთავრებს თხრობას გელათის მონასტრისა და აკადემიის აშენების შესახებ, იქვე უმალ დასძენს: „აღაშენა ქსენონნი ადგილსა შემსგავსებულსა და შუნიერსა, რომელსა შინ შეკრიბნა ძმანი თვითოსახითა სენითა განცდილნი", ესე იგი: დააარსა საავადმყოფო სხვადასხვა სენთა სამკურნალოდ. და აი, ზოგიერთი მკვლევარის მოსაზრებით, ეს **ქსენონი („საავადმყოფო") დაარსდა გელათში, როგორც კლინიკა (ანუ პოლიკლინიკა: შდრ. „თვითოსახითა სენითა", ე.ი. სხვადასხვა დაავადებათა), რომელიც ემსახურებოდა გელათის აკადემიის სამეცნიერო კათედრას.**

XII საუკუნის ქართულ სკოლებში სწავლა-განათლების საქმე იმ დროისათვის მაღალი აკადემიური დონით ხასიათდებოდა. ეს სკოლები თავის მეცნიერულსა და პრაქტიკულ საქმიანობას ეწეოდნენ იმდროინდელი პროგრესული იდეების საფუძველზე.

რუბრიკას უძღვება **დარეჯან ანდრიაძე**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა ჩვენი უმაღლესი მორალური ღირებულებებისა და უნიკალური კულტურის საზოგადოების მავანი წევრები მაინცდამაინც ასეთი „საყოველთაო თავისუფლების“ მქონე ევროპასთან შეუღლებისკენ რომ უბიძგებენ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს. ბებერი ევროპა სახეს კარგავს, „განახლებული“ ევროპის მოდას აყოლილი ქვეყნები კი, როგორც მიმბაძველებს ემართებათ, კარგავენ თავიანთ იდენტურობას: მანკიერებამ დაიპყრო ასეთი „გაევროპელებული“ ერები...**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით

## ბალტიისპირეთის ფსკერი

### ბალტიისპირელი მამათმავლები აშშ-ის არმიაში მოსამსახურე პედერასტებს სიყვარულს ეფიცებიან

**ლატვიის რესპუბლიკის დედაქალაქი რიგა გაბრწყინდა ცისარტყელას ფერებით: ბალტიისპირა ქვეყნების 8 ათასზე მეტი მოქალაქე მონაწილეობდა „2018 წლის ბალტიის აღლუმში“, რომელიც სექსუმცირესობათა დასაცავად გაიმართა.**



ლგბტ-აქტივისტები თავიანთი უფლებების დასაცავად ყოველწლიურად მართავენ კვირეულებს ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში: ხან — ერთში, ხან — მეორეში, ხან — მესამეში. ამჯერად მოწყობილ აქციაზე, „ტრადიციულ მონაწილეებთან“ ერთად, გამოვიდნენ ადგილობრივი პოლიტიკური ძალების ლიდერები და სტუმრები მეზობელი ქვეყნებიდან, მათ შორის, დიპლომატიური მისიების წარმომადგენლები.

მაგრამ ისიც უნდა ვთქვათ, რომ **ბალტიისპირეთში მცხოვრებთა ნაწილი კატეგორიულად არ იზიარებს ამ „საყოველთაო“ მისწრაფებას. ბევრი მათგანი გამოვიდა ერთობლივ ღონისძიებაზე პრინციპულად განსხვავებული პოზიციის დასაცავად და ხელისუფლებას მოსთხოვა, აღკვეთოს ეს საზიზღრობა.**

უფრო მეტად გამჟღავნდა მოქალაქეთა ნეგატიური დამოკიდებულება სოციალურ ქსელებში. ინტერნეტმომხმარებლები განსაკუთრებით აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ გეიაღლუმის მონაწილეები ღონისძიებაზე შვილებით მივიდნენ.

„საცოდავი სანახავია. გარშემო უამრავი ბავშვია. რა მაგალითი უნდა მისცეს ამ ამორალურობამ მომავალ თაობას?“ — აღშფოთებული წერს ლატვიის ახალი ამბების რესურსის — Delfi-ის მკითხველი.

ნიშანდობლივია, რომ უამრავ საპროტესტო პლაკატს შორის იყო ასეთი შინაარსისაც: **„აშშ-ის საელჩო რიგაში მხარს უჭერს „ბალტიკ პრაიდს!“;** ასევე: **„ჩვენ გვიყვარს ამერიკული არმია!“.** ეს, ერთი მხრივ, მოწმობს, რომ ბალტიისპირელი მამათმავლები აშშ-ის არმიაში მოსამსახურე პედერასტებს სიყვარულს ეფიცებიან, მეორე მხრივ კი, ამტკიცებს, რომ პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად ისეთი ბილწი საშუალებაც მისაღებია, როგორც გეიაღლუმებია. შეგახსენებთ, რომ ბალტიისპირეთის სუვერენული რესპუბლიკების ტერიტორიაზე იმართება ნატოს ფართომასშტაბიანი წვრთნა, რომელშიც აშშ-ის სამხედრო ძალების ათასობით მოსამსახურე მონაწილეობს.



## მიგრანტი შეეცადა, დაეხრჩო «დაუმორჩილებელი» თანაკლასელი გოგონა

**მთელი გერმანია აღაშფოთა 14 წლის სუზანა ფელდმანის სიკვდილმა — მაინცელი ბავშვის, რომელიც 20 წლის ალი ბაშარმა გააუპატიურა და კვალის დასაფარად მოაშთო, შემდეგ კი მშობლიურ ერაყში გადაიხვეწა.**

და აი, გერმანიის დედაქალაქში განმეორდა მსგავსი დანაშაული — მადლობა ღმერთს, ლეტალური დასასრულის გარეშე.

გასული კვირის პარასკევს ბერლინის პოლიციამ დააკავა 19 წლის სირიელი ლტოლვილი. დაკავებისას მან წინააღმდეგობა გაუწია პოლიციელებს და მსუბუქად დაჭრა ოფიცრები.

„ახალ გერმანელს“ ბრალად ედება თანაკლასელი გოგონას დახრჩობის მცდელობა ბერლინ-ფრიდრიხსჰაინის საგანმანათლებლო ცენტრში.

გაირკვა, რომ ახალგაზრდა ცდილობდა, სექსზე დაეყოლიებინა თანაკლასელი გოგონა, მაგრამ უარი მიიღო, ამიტომ მის დახრჩობას შეეცადა, — იუწყება Die Welt-ის პორტალზე განთავსებული მასალა.

გოგონა გადაარჩინეს საგანმანათლებლო ცენტრის მოსწავლეებმა, რომლებმაც გამოიძახეს პოლიცია. სამართალდამცველებმა ყველას ჩამოართვეს ახსნა-განმარტება და დაიწყეს გამოკვლევა.

— საშინელებაა, როცა თითქმის ყოველდღიურად თავს ესხმიან ჩვენს ქალებსა და გოგონებს, საფრთხეს უქმნიან მათ სიცოცხლეს, — ამბობს საქალაქო პარლამენტის დეპუტატი **ჰუნარ ლინდემანი**, — ქალებისადმი ასეთი მოპყრობა შუასაუკუნეების შარიათული ფუნდამენტალიზმის გამოვლინებაა, რომელიც ყოვლად უცხო და მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის. პარტიამ „ალტერნატივა გერმანიისთვის“ პარლამენტში არაერთხელ განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა განხორციელდეს მოქალაქეების დაცვის რეალური ღონისძიებები. პრინციპულები უნდა ვიყოთ იმ ლტოლვილების მიმართ, რომლებიც შემჩნეულნი არიან კრიმინალურ ქმედებაში, მათი დეპორტაცია აუცილებლად უნდა განხორციელდეს, თანაც — დაუყოვნებლივ, მაგრამ მემარცხენე-ლიბერალურ მთავრობას ჩვენი არ ესმის. დღევანდელი სიტუაცია მთლიანად **ანგელა მერკელის** სინდისზეა — სწორედ მან დაიწყო 2015 წელს ლტოლვილების უკონტროლოდ მიღება. დღეს ამ უგნური პოლიტიკის შედეგებს ვიმკით.

# ევროსაზიზღრობა ადამიანურობის ზღვარს ქვემოთ დაეშვა




მართლა **გაუგებარია, როცა ჩვენი უმაღლესი მორალური ღირებულებებისა და უნიკალური კულტურის საზოგადოების მავანი წევრები მაინცდამაინც ასეთი „საყოველთაო თავისუფლების“ მქონე ევროპასთან შეუღლებისკენ რომ უბიძგებენ ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს.**

ბებერი ევროპა სახეს კარგავს, „განახლებული“ ევროპის მოდას აყოლილი ქვეყნები კი, როგორც მიმბაძველებს ემართებათ, კარგავენ თავიანთ იდენტურობას: მანკიერებამ დაიპყრო ასეთი „გაევროპელებული“ ერები...

**„როგორ მოვკლათ საკუთარი დედა?“ — ამ სათაურით ახლახან საფრანგეთის კინოეკრანებზე გამოჩნდა მორიგი კომედიური „შედევრი“.**

სამი შვილის საზიზღარი (შეიძლება ნებისმიერი სხვა ეპითეტითაც შევამკოთ) დედა გიჟია, თანაც ფულის განუზომლად მფლანგველი. უფროსი ძმა ნიკო თავის უსაქმურ ძმას და უნებისყოფო დას რადიკალურ წინადადებას შესთავაზებს: სადილის დროს დედა სიცოცხლეს გამოასალმონ.

„შესანიშნავი“ კომედიური სიუჟეტია, ახალგაზრდებისა და ბავშვების აღსაზრდელად და გასაწვრთნელად რომ გამოდგება ისეთი, — მომავალი თაობა აუცილებლად წავა კინოთეატრში კომედიის სანახავად და იქ ეზიარება ტრადიციულ ფასეულობებს.

ცოტა კი წავკბინეთ, მაგრამ


კადრი ფილმიდან

## რაგბის ვარსკვლავმა დაარწმუნა 15 წლის გოგონა, რომ კიბოთია დაავადებული და თავისი ბინძური განზრახვა აისრულა



**29 წლის რიან ნოქსი, რომელიც უელსში ქალთა რაგბის ვარსკვლავად არის აღიარებული, სამი წლის განმავლობაში ხვდებოდა არასრულწლოვან გოგონას. ბავშვი სექსუალურ ურთიერთობაში რომ ჩაეთრია, სპორტსმენმა თავი შეაცოდა და დაარწმუნა, რომ ტვინის კიბოთი იყო დაავადებული.** The Sun იუწყება, რომ პირველი სექსი მათ შორის მოხდა მაშინ, როცა გოგონა მხოლოდ 15 წლისა იყო. ბოლოს და ბოლოს, მსხვერპლი მიხვდა, რომ მოატყუეს და პოლიციას საჩივრით მიმართა. მორაგბემ თავდაპირველად უარყო ბრალდება, მაგრამ მხილებათა უტყუარობამ აიძულა, ეღიარებინა დანაშაული. რიან ნოქსს შვიდი წლით პატიმრობა მიუსაჯეს. ამასთანავე, იგი სამუდამოდ გარიცხეს უელსის მორაგბეთა კავშირიდან.

«დემოკრატიის» ისტორიიდან
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ინგლისში ცოლებით ვაჭრობის პოპულარობამ პიკს 1780-1850 წლებში მიაღწია. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, სულ ცოტა, 300 ასეთი ფაქტი. ყველაფერი კი 1753 წელს ქორწინების შესახებ კანონის მიღებით დაიწყო. მანამდე ქორწინების რეგისტრაცია საჭირო არ იყო. ქალები უუფლებონი იყვნენ და ქმრებს, პრაქტიკულად, ყველაფერში ემორჩილებოდნენ. რაც შეეხება განქორწინებას, ეს ისეთი ძვირად ღირებული პროცედურა იყო, რომ თავისთვის ამის უფლების მიცემა მხოლოდ ძალიან მდიდარ ინგლისელებს შეეძლოთ.**

# როგორ ყიდდნენ ინგლისელები ცოლებს

**საქართველოს ე.წ. სტრატეგიული მეგობრები ჩვენს ქვეყანას და სხვა სახელმწიფოებსაც გამუდმებით მიუთითებენ დასავლურ ღირებულებებსა და ფასეულობებზე — სექსუალური უმცირესობებისა და ქალთა უფლებების დაცვაზე, რასობრივ, რელიგიურ და გენდერულ თანასწორობაზე, თუმცა ამ დემოკრატიის აკვნად წოდებულ ქვეყნებში სულ ცოტა ხნის წინათ მძვინვარებდა რასიზმიც და სეგრეგაციაც, და ქალთა უფლებების დაცვა კი არა, ინგლისში პატივცემული ჯენტლმენები თავიანთ ცოლებს ერთი კათხა ლუდის საფასურად ან 1 გირვანქა სტელინგად ჰყიდდნენ.**



ნახატი „ცოლის გაყიდვა“: თომას როულენდსონი 1812-1814 წწ.

## გამაოგნებელი ფაქტები „დემოკრატი“ ბრიტანელების ისტორიიდან

XVII საუკუნიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე ინგლისში ნებისმიერ მამაკაცს, თუ ცოლი „მოჰყირჭდებოდა“, შეეძლო ბაზარზე გაეყვანა გასაყიდად. ეს ხდებოდა ასე: ქმარს ყელზე აღვირგამობმული ცოლი ბაზრის მოედანზე გაჰყავდა, სადაც მიჰყიდდა მას, ვინც მეტ თანხას შესთავაზებდა. ზოგიერთი მახვილგონიერი ინგლისელი ქმარი ამ საქმისთვის ქირაობდა აუქციონერს, რომელიც გასაყიდი ქალის ღირსებებს საჯაროდ წარმოაჩენდა.

ინგლისელი ისტორიკოსების მტკიცებით, ბაზარზე ცოლის გაყიდვა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ განქორწინების უფლების მისაღებად საჭირო იყო პარლამენტის თანხმობა, ეს კი ძალიან ძვირი ღირდა. ცოლის გაყიდვის პრაქტიკას ზოგიერთი „ძველ ჩვეულებას“ უკავშირებს და იმასაც, რომ ღარიბებისთვის ეს იყო ერთადერთი შანსი, თავიდან აერიდებინათ პენიტენციალურ დაწესებულებაში მოხვედრა.

„ცოლებით ვაჭრობის“ ზოგიერთი მომხრე კი ამტკიცებდა, რომ ქალების უმრავლესობა თანახმა იყო, ქმარს გაეყიდა. თუმცა უკვე XVIII საუკუნეში პროგრესულად განწყობილი ბრიტანელები ამ წესჩვეულებას ბარბაროსულსა და უღირსს უწოდებდნენ. XIX საუკუნეში კი ცოლის გაყიდვას უწოდეს „საკუთრების გადაცემა ახალი მფლობელისთვის“.

**გასაყიდი ცოლების ფასი სხვადასხვანაირი იყო. ზოგი 1 პინტა (0,56 ლიტრი) ლუდი ღირდა, ზოგი — 100 და მეტი გირვანქა სტერლინგი. ინგლისელთა ეს ჩვეულება აისახა ფერწერაშიც და ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც; მაგალითად, თომას ჰარდის რომან „კესტენბრიჯის მერში“, რომლის მთავარი გმირი ყიდის ცოლს, მაგრამ შემდეგ სინდისის ქენჯნის გამო მოკვდება.**

ცოლის გაყიდვის ფაქტებს დაწვრილებით აღწერდნენ ადგილობრივ გაზეთებში. ცოლის გაყიდვის პირველი შემთხვევა იყო **სამუელ უაიტჰაუსის** ცოლის, მერის, გაყიდვა 1733 წელს. **მერი უაიტჰაუსი** ვინმე **თომას გრიფიტსმა** 1 გინვანქა სტერლინგად იყიდა. კიდევ ერთი ქალბატონი, რომლის საწყისი ფასი 1 პენი იყო, ფერმერებმა საბოლოოდ 5 შილინგად და 6 პენად იყიდეს.

**ცოლებს ჰყიდდნენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. ცოლს ხშირად ყიდულობდა მისივე საყვარელი; ზოგჯერ ყოფილი ქმარი, ცოლი და მისი ახალი მფლობელი ერთად მიდიოდნენ ტავერნაში გარიგების წარმატებით დასრულების აღსანიშნავად.**

ინგლისში ცოლებით ვაჭრობის პოპულარობამ პიკს 1780-1850 წლებში მიაღწია. საარქივო დოკუმენტებით დასტურდება, სულ ცოტა, 300 ასეთი ფაქტი. ყველაფერი კი 1753 წელს ქორწინების შესახებ კანონის მიღებით დაიწყო. მანამდე ქორწინების რეგისტრაცია საჭირო არ იყო. ქალები უუფლებონი იყვნენ და ქმრებს, პრაქტიკულად, ყველაფერში ემორჩილებოდნენ. რაც შეეხება განქორწინებას, ეს ისეთი ძვირად ღირებული პროცედურა იყო, რომ თავისთვის ამის უფლების მიცემა მხოლოდ ძალიან მდიდარ ინგლისელებს შეეძლოთ. ცოლის გაყიდვა გაყრის საუკეთესო მეთოდად იქცა იმ წყვილებისთვის, რომლებიც ერთმანეთს ვერ შეეწყვნენ, მთავრობა კი ამ ყველაფერზე თვალს ხუჭავდა.

**ცოლის გაყიდვის შესახებ ბოლო ცნობა 1913 წლით არის დათარიღებული.**

**ქალმა, რომელმაც ჩვენება მისცა ქალაქ ლიდსის სასამართლოს, განაცხადა, რომ ქმარმა ის თავის კოლეგას 1 გირვანქა სტერლინგად მიჰყიდა.**

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იაპონიაშიც არსებობდა მსგავსი ტრადიცია. ე.წ. დროებითი ცოლების გაყიდვის პრაქტიკა საფუძვლად დაედო ჯაკომო პუჩინის ცნობილი ოპერის — „მადამ ბატერფლაის“ („ჩიო-ჩიო-სანის“) სიუჟეტს.

**გასაყიდი ცოლების ფასი სხვადასხვანაირი იყო. ზოგი 1 პინტა (0,56 ლიტრი) ლუდი ღირდა, ზოგი — 100 და მეტი გირვანქა სტერლინგი. ინგლისელთა ეს ჩვეულება აისახა ფერწერაშიც და ლიტერატურულ ნაწარმოებებშიც. მაგალითად, თომას ჰარდის რომან «კესტენბრიჯის მერში», რომლის მთავარი გმირი ყიდის ცოლს, მაგრამ შემდეგ სინდისის ქენჯნის გამო მოკვდება**







კარიკატურა ინგლისელ დიდგვაროვანზე, რომელიც სმითფილდის ბაზარში მიემართება ცოლის გასაყიდად



1830 წლის ფრანგული გრავიურა. ინგლისში ცოლის გაყიდვის შესახებ. მოქმედება ხდება მსხვილფეხა საქონლის ბაზარში, რაც მომხდარს აიგივებს საქონლის გაყიდვასთან და მიანიშნებს, რომ ცოლს საყვარელი ჰყავს, რადგან ქმარი რქებითაა გამოსახული

**მომზადდა ვებგვერდ politikano01.wordpress.com-ის მიხედვით**

ყველაზე ყველაზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**პორტუგალიის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა მნახველებს კონსტრუქციის სილამაზით აცვიფრებს. ვასკო და გამას სიგრძე 17,2 კმ-ია. ის ყველაზე გრძელი ხიდია ევროპაში.**

**ამჯერად გაგაცნობთ მსოფლიოში ყველაზე გამორჩეულ ხიდებს, ზოგი მათგანი ცნობილია სიგრძით, ზოგი — სილამაზით, ზოგიც — უცნაური კონსტრუქციით.**

# ყველაზე ცნობილი ხიდები



## მაგდებურგის საწყლოსნო ხიდი

ხიდები არსებობს არა მხოლოდ საავტომობილო და სარკინიგზო, არამედ წყლისაც(!). აი მაგდებურგის (გერმანია) საწყლოსნო ხიდი — 1 კმ სიგრძის მქონე ტექნიკის საოცრება, რომელიც აერთებს ორ არხს — ელბა-ჰაველსა და შუაგერმანულ არხს. მაგდებურგის საწყლოსნო არხს 80 წლის განმავლობაში გეგმავდნენ და აპროექტებდნენ. მშენებლობა დაიწყო 1919 წელს, მაგრამ შეწყდა მეორე მსოფლიო ომის პერიოდში და განახლდა მხოლოდ 1990 წელს. გერმანიის მთავრობამ დაამტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერია და ხიდი, რომელზეც გემები დაცურავენ, 6 წელში დასრულა, ამისთვის კი 500 მლნ ევრო დახარჯა. მასიურმა ნაგებობამ ბერლინი დაუკავშირა მდინარე რეინის პორტებს. ევროპაში ყველაზე გრძელი საწყლოსნო ხიდის სიგრძე 918 მეტრია, შექმნილია 24 ათასი ტონა ფოლადისა და 68 ათასი კუბ. მეტრი ბეტონისგან.



## ყველაზე მაღალი დაკიდებული ხიდი მსოფლიოში

ევროპაში ერთ-ერთი ლამაზი და მსოფლიოში ყველაზე მაღალი დაკიდებული ხიდია **ვიადუკი მიიო**, რომელიც აერთებს საფრანგეთის სამხრეთ ტერიტორიას მდინარე ტარნის ველთან. მისი ყველაზე მაღალი წერტილი მდებარეობს ზღვის დონიდან 343 მეტრზე. ვიადუკი მიიო სამ წელიწადში ააშენეს — გაიხსნა 2004 წელს. ამ ხიდის გავლისას ყველას ექმნება უსასრულობის შთაბეჭდილება, რაც გამოწვეულია ვიადუკის ხვეულების მცირე რადიუსით და, პრაქტიკულად, გამჭვირვალე 3 მ სიმაღლის ღობით.



## ყველაზე გრძელი ხიდი

დანიან-კუნშანის ვიადუკი მსოფლიოში ყველაზე გრძელ ხიდად ითვლება. აგებულია, როგორც პეკინი-შანხაის ჩქაროსნული სარკინიგზო მაგისტრალის ნაწილი. მშენებლობა დაიწყო 2008 წელს და დასრულდა 2010 წელს. დანიან-კუნშანის სიგრძე 164,8 კმ-ია. მდებარეობს ჩინეთის აღმოსავლეთ ნაწილში, პროვინცია ძიანსუში, ქალაქებს — შანხაისა და ნანკინს შორის. ხიდის 9-კმ-იანი მონაკვეთი გაყვანილია წყლის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით, ყველაზე დიდი წყალსატევი, რომელზეც გადის დანიან-კუნშანის ვიადუკი, არის ტბა იანჩენი. ხიდის მშენებლობაზე დაიხარჯა 10 მლრდ-ზე მეტი დოლარი.



## ყველაზე ცნობილი ხიდი

**ტაუერის** ხიდი ლონდონის ერთ-ერთი სიმბოლოა. მისი განსაკუთრებულობა გამოიხატება იმით, რომ მის მექანიზმებს ერთ წუთში შეუძლია რამდენიმეათასტონიანი კონსტრუქციის გახსნა და გემების გატარება.

ხიდის ასაშენებლად გამოიყენეს 11 ათასი ტონა ფოლადი. კოროზიისგან დასაცავად კი კონსტრუქცია მოპირკეთებულია ქვით. 1981 წლიდან ტაუერის ხიდს იყენებენ, როგორც მუზეუმს.





## ბრუკლინის ხიდი

ნიუ-იორკის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა, თავისუფლების ქანდაკებასთან ერთად, არის **ბრუკლინის** ხიდი. ეს არის მსოფლიოში პირველი ხიდი, რომელიც შეიქმნა ფოლადის გვარლებითა და ერთ-ერთი პირველი დაკიდებული ხიდია მსოფლიოში. ბრუკლინის ხიდის სიგრძე 1825 მეტრია. ის აერთებს მანჰეტენსა და ლონგ-აილდს — ნიუ-იორკსა და ბრუკლინს. ხიდის მშენებლობა გრძელდებოდა 13 წელიწადს და დასრულდა 1883 წლის 24 მაისს. დაიხარჯა 15,1 მლნ დოლარი.



## ყველაზე ძველი ხიდი აღმოსავლეთში

ირანული არქიტექტურის გამორჩეული ნიმუშია ამ ქვეყნის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობა ხიდი **კჰაჯუ** — უძველესი ხიდი აღმოსავლეთში. ხიდის გარდა, მას აქვს დამბისა და წყალსადენის ფუნქციებიც და მისი მეშვეობით მიდის წყალი ქალაქ ისფაჰანის ბაღებამდე. ხიდი ააგეს მდინარე ზაიანდეზე 1650 წელს. გადმოცემის თანახმად, ეს ხიდი ააგეს ირანის არმიის გვარდიის მეთაურის — **ალავერდი-ხანის** ხელმძღვანელობით. ის გახლდათ საქართველოდან მოტაცებული, ირანში გაყიდული გამუსლიმებული ქართველი (გვარად უნდილაძე).



## ხიდი X-ის ფორმის საყრდენით

ბრაზილიაში ააგეს მსოფლიოში ერთადერთი ხიდი, რომლის საყრდენსაც აქვს ასო X-ის ფორმა. ეს არის ხიდი ოლივეირა. ანძების განსაკუთრებული ფორმის, 138 მ სიმაღლის, ფოლადის 144 მძლავრი გვარლისა და შესანიშნავი დიოდური განათების გამო ოლივეირას ხიდი ქალაქ სან-პაულუს ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.



## პონტე ვეკიო

**პონტე ვეკიო** ეს არ არის, უბრალოდ, კონსტრუქცია, რომლის დანიშნულებაა მდინარე არნოს ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლა ან ტვირთის გადატანა; ეს არის XIX საუკუნეში აშენებული არქიტექტურული ძეგლი — სამთაღიანი ხიდი, რომელიც ფლორენციაში მდებარეობს.

მოამზადა **ნიკა კორინთელმა**

**როცა 1982 წელს „ბარსელონამ“ 7,6 მილიონ დოლარად შეიძინა დიეგო მარადონა, მსოფლიო გაოგნდა ტრანსფერში კოლოსალური თანხის გადახდის გამო, მაგრამ 1982 წელს მარადონაში გადახდილი 7,6 მლნ დოლარი არაფერია იმ თანხასთან (222 მილიონი ევრო) შედარებით, რომელიც ფრანგულმა კლუბმა „პარი-სენ-ჟერმენმა“ 2017 წელს ბრაზილიელ ნეიმარში გადაუხადა „ბარსელონას“.**

სპორტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1930 წელს ურუგვაიში ჩატარებული პირველი საფეხბურთო ჩემპიონატის შემდეგ საფეხბურთო სამყარო ძალიან შეიცვალა. თუ ეკონომიკური სირთულეების გამო ურუგვაის დედაქალაქში 1930 წელს ძლივს ააშენეს 90-ათასიანი სტადიონი, დღეს მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატების გასამართავად მილიარდები იხარჯება. მაგალითად, რუსებმა 2018 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვის მხოლოდ სტადიონების (სულ 12 არენა) აშენებასა და რეკონსტრუქციაში დაახლოებით 5 მლრდ დოლარი დახარჯეს.**

# ყველაზე მაღალშემოსავლიანი ფეხბურთელები 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე


ლიონელ მესი


კრიშტიანუ რონალდუ

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოს I საფეხბურთო ჩემპიონატზე ურუგვაიში უსახსრობის გამო ვერ ჩავიდა რამდენიმე ქვეყნის ნაკრები. 1930-1960 წლების პერიოდში ფეხბურთელების ანაზღაურება ისეთი დაბალი იყო, ამჟამინდელ ხელფასებთან შედარებაც კი სასაცილოა. ძალიან დაბალ ანაზღაურებად (ამჟამინდელთან შედარებით) ილებდნენ ისეთი ფეხბურთელები, როგორიც იყო **ბარინჩა, ამარილდო, დიდი, ვავა, პუშკაში...** ლაპარაკიც ზედმეტია ქართველ ფეხბურთელებზე — **ბორის პაიჭაძეზე, ავთანდილ ღოღობერიძეზე, მიხეილ მესხზე, სლავა მეტრეველზე, მურთაზ ხურცილავაზე, ვიტალი დარასელიაზე, ვლადიმერ გუცაევზე, დავით ყიფიანზე,** რომლებსაც არაერთი სახელოვანი ევროპული გუნდი სთავაზობდა კონტრაქტს. მიხეილ მესხსა და სლავა მეტრეველს კი თვით არგენტინელები და ბრაზილიელები ეპატიჟებოდნენ.

ეს რაც შეეხება სატრანსფერო რეკორდებს, ზოგიერთი ფეხბურთელის შემოსავლები (რეკლამებიდან, აქსესუარებიდან და ა.შ) კი დღეს რამდენიმე ათეულ მლნ-ს აჭარბებს.

როცა 1982 წელს „ბარსელონამ“ 7,6 მილიონ დოლარად შეიძინა **დიეგო მარადონა,** მსოფლიო გაოგნდა ტრანსფერში კოლოსალური თანხის გადახდის გამო, მაგრამ 1982 წელს მარადონაში გადახდილი 7,6 მლნ დოლარი არაფერია იმ თანხასთან (**222 მილიონი ევრო)** შედარებით, რომელიც 2017 წელს ბრაზილიელ **ნეიმარში** გადაუხადა „ბარსელონას“ ფრანგულმა კლუბმა „პარი-სენ-ჟერმენმა“.

**პოპულარულმა გამოცემა „ფორბსმა“ ორი კვირის წინათ შეადგინა 2018 წლის მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილე ყველაზე მაღალი ანაზღაურების მქონე ფეხბურთელების სია**ყ 2017 წლის შემოდგომაზე **ლიონელ მესიმ** გაახანგრძლივა კონტრაქტი ბარსელონასთან ისეთი კარგი პირობებით, რომ მნიშვნელოვნად გაუსწრო მადრიდის „რეალის“ პორტუგალიელ თავდამსხმელ **კრიშტიანუ რონალდუს**, რომელიც 2014-დან 2018 წლამდე ლიდერობდა ყველაზე შემოსავლიანი ფეხბურთელების სიას. აი „ფორბსის“ სარეიტინგო სია 2018 წლის ჩემპიონატში მონაწილე ფეხბურთელებისა, რომლებმაც 2017 წლის 1 ივნისიდან 2018 წლის 31 მაისამდე ყველაზე მეტი თანხა გამოიმუშავეს:

**1. ლიონელ მესი, 31 წელი შეუსრულდა ამა წლის 24 ივნისს.**

**ქვეყანა: არგენტინა.**

**კლუბი: „ბარსელონა“ (ესპანეთი).**

**საერთო შემოსავალი: 111 მლნ დოლარი.**

**ხელფასი/ბონუსები: 84 მლნ დოლარი.**

**შემოსავალი რეკლამებიდან: 27 მლნ დოლარი.**

**ძირითადი სპონსორები: Adidas-ი, Gatorade, Mastercard-ი, Pepsi, Lay's-ი, Huawei, Qoredoo...**

2017 წლის მიწურულს მესიმ გაახანგრძლივა კონტრაქტი „ბარსელონასთან“ ხელსაყრელი პირობებით და მისი ყოველწლიური ანაზღაურება, ბონუსებსა და პრემიებთან ერთად, 84 მლნ დოლარს შეადგენს. ამას გარდა, ლეომ გააფართოვა თავისი სარეკლამო პორტფილიო. მისი პარტნიორების სიაშია სპორტული აქსესუარების მწარმოებელი Adidas-ი, ყატარის ტელესაკომუნიკაციო კომპანია Qoredoo და რძის პროდუქტების მწარმოებელი ჩინური კომპანია Mengniu; კომპანია Pepsico მესის მეშვეობით უწევს რეკლამას რამდენიმე პროდუქტს — ჩიფსებს (Lay's), იზოტონიკ Gatorade-სა და Pepsi-ს.


ნეიმარი

**2. კრიშტიანუ რონალდუ, 33 წლის**

**ქვეყანა: პორტუგალია.**

**კლუბი: „რეალი“ (ესტონეთი).**

**ხელფასი /ბონუსები: 61 მლნ დოლარი.**

**შემოსავალი რეკლამებიდან: 4. მლნ**

**ძირითადი სპონსორები: Nike, Herbalife, Clear-ი, American Pourister-ი, CR7 Jeans-ი.**

რონალდუ დაეხმარა „რეალს“ ჩემპიონთა ლიგის ზედიზედ სამჯერ მოგებაში. მისი კონტრაქტი კიდევ 3 სეზონის განმავლობაში იმოქმედებს, რაც მას 60 მლნ დოლარის მიღების გარანტიას აძლევს, მაგრამ კრიშტიანუს აშკარად მეტი სურს, ამიტომ მისი მომავალი „რეალში“ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სამაგიეროდ, რონალდუს შესანიშნავად აქვს აწყობილი ურთიერთობა ბრენდებთან. წლის განმავლობაში შემოსავლების 47% მიიღო რეკლამებიდან, ეს 34%-ით მეტია გასული წლის ანალოგიურ მონაცემთან შედარებით. ფართოვდება რონალდუს სახელობითი ხაზიც — GR7: ახლახან კი გამოაცხადეს რონალდუს სახელობის სპორტდარბაზების ქსელის შექმნაზე.


პოლ პოგბა


ლუის სურესი

**3. ნეიმარი, 26 წლის**

**ქვეყანა: ბრაზილია.**

**კლუბი: პსჟ (საფრანგეთი).**

**საერთო შემოსავალი: 90 მლნ დოლარი.**

**შემოსავალი რეკლამებიდან: 17 მლნ დოლარი.**

**ძირითადი სპონსორები: Nike, Red Boll-ი, Gillette; Medonald's-ი.**

„ბარსელონიდან“ პსჟ-ში სკანდალურმა გადასვლამ ნეიმარი ყველზე ძვირად ღირებულ (250 მლნ დოლარი) ფეხბურთელად აქცია.

**4. პოლ პოგბა, 25 წლის**

**ქვეყანა: საფრანგეთი.**

**კლუბი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ (ინგლისი).**

**საერთო შემოსავალი: 29,5 მლნ დოლარი.**

**ხელფასი / ბონუსები: 25 დოლარი.**

**შემოსავალი რეკორდებიდან: 4,5 დოლარი.**

**ძირითადი სპონსორი: Adidas-ი.**

პოლ პოგბა 2016 წლის ზაფხულში გადავიდა „მანჩესტერ იუნაიტედში“ „იუვენტუსიდან“. იმ მომენტში ეს სარეკორდო ტრანსფერი იყო — 105 მლნ ევრო. კვირაში 290 ათასი გირვანქა სტერლინგის ანაზღაურებით პოგბა ინგლისის პრემიერლიგის ყველაზე მაღალ შემოსავლიან ფეხბურთელად იქცა.

**5. ლუის სურესი, 31 წლის**

**ქვეყანა: ურუგვაი.**

**კლუბი: „ბარსელონა“.**

**საერთო შემოსავალი: 26,9 მლნ დოლარი.**

**ხელფასი/ ბონუსები: 19,9 მლნ ლარი.**

**შემოსავალი რეკლამებიდან: 7 მლნ დოლარი.**

**ძირითადი სპონსორები: Adidas-ი, Pro Evolution Soccer-ი, Gatorade.**

„ბარსელონამ“ სუარესი „ლივერპულისაგან“ იყიდა 2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების შემდეგ, სადაც სუარესმა თავი გამოიჩინა 2 გოლითა და ერთი კბენით (კბილები ჩაასო იტალიელთა მცველ ჯორჯო კიელინის). „ბარსელონამ“ სუარესში თითქმის 82 მლნ ევრო გადაიხადა. სუარესი შესანიშნავად შეეწყო მესის და ბევრი ბურთი გააქვს (2017/1028 წლების სეზონში — 31 გოლი და 18 საგოლე გადაცემა). მის სარეკლამო პორტფოლიშია ჩინური კომპანიები: Tronsmart-ი (გაჯეტები) და Gome (მობილური ტელეფონები), აგრეთვე, ტურისტული ოფისი მალაიზიაში.

მოამზადა
**ნიკა კორინთელმა**

# «თბილისის უბნებში გიურზები გამოჩნდნენ»

# რატომ გავრცელდა დედაქალაქში დეზინფორმაცია?

**ცოტა ხნის წინათ რამდენიმე მედიასაშუალებამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ თბილისის რამდენიმე უბანში სხვა ქვეწარმავლებთან ერთად გიურზებიც გამოჩნდნენ, რაც მოსახლეობის პანიკის საფუძველი გახდა. „საქართველო და მსოფლიომ“ ამ მოარული ხმების თაობაზე ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს მიმართა. აღმოჩნდა, რომ ეს იყო დეზინფორმაცია, რომელიც ბოლო დროს თბილისში საკმაოდ გახშირდა. მომრავლდა თუ არა თბილისში ქვეწარმავლები, რამდენად სახიფათონი არიან ისინი ადამიანის სიცოცხლისთვის და რა უნდა ვიცოდეთ თუ გველმა გვიკბინა, „საქართველო და მსოფლიოს“ ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ჰეპერტოლოგი შოთა ზანდუკელი ესაუბრება.**



— სრული სიცრუეა ის, რომ თითქოს მედიასაშუალებებს მე მივაწოდე ინფორმაცია, თბილისის ზოგიერთ უბანში გიურზები გამოჩდნენო. მსგავსი რამ არც ერთ ჟურნალისტთან არ მითქვამს. რაც შეეხება რეალობას, დედაქალაქში **ყოველწლიურად იწყებენ საუბარს, რომ მომრავლდნენ ქვეწარმავლები, რომ ქალაქში „სასწაული ხდება“, მაგრამ ის, რომ ქვეწარმავლები აქაიქ გამოჩნდებიან, ჩვეულებრივი ამბავია, თუმცა, ბუნებრივია, პანიკას იწვევს.** შარშანდელთან შედარებით გამოძახებები თითქმის იმდენივეა, მაგრამ ოპერატიული შეტყობინებების წყალობით წელს მაისში შარშანდელზე 40 გველით მეტი დავიჭირეთ.

— **თბილისის უბნებში დაჭერილი გველები სახიფათონი არიან ადამიანის სიცოცხლისთვის?**

— თბილისის ტერიტორიაზე 15 სახეობის გველს შეიძლება შევხვდეთ, მე-16 არის გველხოკერა. ამ სახეობებიდან შხამიანი მხოლოდ გიურზაა, დანარჩენები ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ და დაკბენის შემთხვევაშიც პაციენტს არ სჭირდება სამედიცინო პროცედურების ჩატარება.

— **რა უნდა გავაკეთოთ, იმისათვის, რომ გველები საცხოვრებელ კორპუსებთან ან სახლის ეზოში არ მოხვდნენ?**

— ჰიგიენური ნორმები უნდა დავიცვათ. ეზო უნდა იყოს მოთიბული, დასუფთავებული, არ უნდა იყოს ახლოს სამშენებლო მასალის ნარჩენები დაყრილი და ეს მარტივი პრევენციული ღონისძიებები მეტ დაცულობას მოგვანიჭებს.

— **თუ გადავეყარეთ გველს, როგორ დავიცვათ თავი?**

— აუცილებლად უნდა დაიხიოთ უკან და არავითარ შემთხვევაში არ გადაადგილდეთ მისი მიმართულებით. ის თვითნებურად არ დაესხმება თავს ადამიანს და არც არაფერს დაუშავებს. შემდეგ აუცილებლად დარეკეთ 112-ში.

— **გველის მიერ დაკბენის შემთხვევაში, როგორ აღმოვუჩინოთ პირველადი დახმარება ადამიანს ან საკუთარ თავს?**

— ეცადეთ, დამშვიდდეთ და არ ჩავარდეთ პანიკაში, რათა სისხლმა აჩქარებით არ დაიწყოს მოძრაობა. არც ერთ შემთხვევაში არ დაიდოთ ლახტი; ეცადეთ, რომ დაწვეთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში და დაელოდოთ სასწრაფო სამედიცინო დახმარებას. ამის შემდეგ მედიკოსები დაადგენენ, რომელი სახეობის გველის ნაკბენია და საჭიროა თუ არა ვაქცინაცია. თვითნებური მკურნალობა ყოვლად დაუშვებელია. დაკბენილმა ადამიანმა უნდა დალიოს ბევრი წყალი და არავითარ შემთხვევაში გაზიანი ან ალკოჰოლური სასმელი.

ესაუბრა **სოფო კაკაჩია**

**P.S. შარშან ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს თანამშრომლებმა 438 გველი დაიჭირეს. ცხოველთა მონიტორინგის სამსახური მათ ბუნებრივ არეალში აბრუნებს — ნაკრძალებსა და დაცულ ტერიტორიებზე, იქ, სადაც შესაბამისი სახეობის გველები ბინადრობენ.**

# მივესალმებით: გარბენი «თბილისი» — ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის



**საქართველოს დედაქალაქში 24 ივნისს პირველად გაიმართა გარბენი „თბილისი“. გარბენი, რომლის ინიციატორი თბილისის მერიაა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციასა და მასობრივ სპორტში მოქალაქეთა ჩართვას ემსახურება.**

გარბენმა სტარტი ვაკის პარკიდან აიღო და თავისუფლების მოედანზე დასრულდა. თბილისის მერის — კახა კალაძის განცხადებით, მსგავსი ღონისძიებები, რომლებიც ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას ემსახურება, მომავალშიც გაგრძელდება.

„ეს არ იქნება ერთჯერადი ღონისძიება. ჩვენ მოსახლეობას შევთავაზებთ სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებას, რათა ყველა ადამიანს გავაგებინოთ, რამდენად მნიშვნელოვანია სპორტი, ჯანსაღი ცხოვრება. მიხარია, რომ ღონისძიებაზე ამდენი ხალხი მოვიდა, ყველა თაობის წარმომადგენელი. მომდევნო დღეებისა და კვირების განმავლობაში მოსახლეობას სხვა სახის სპორტულ ღონისძიებებსაც შევთავაზებთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

გარბენში რიგით მოქალაქეებთან ერთად ჩართულები იყვნენ, ასევე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ირაკლი კობახიძე**, მთავრობისა და დედაქალაქის საკრებულოს წევრები, ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები და პროფესიონალი სპორტსმენები.



# კვლევა: საქართველოში ახალგაზრდებში რელიგიურობის მაჩვენებელი 8 პროცენტით მეტია, ვიდრე ხანდაზმულებში

**„ახალგაზრები უფრო რელიგიურები არიან, ვიდრე ასაკოვნები მხოლოდ ორ ქვეყანაში — აფრიკულ განასა და საქართველოში“, — ნათქვამია Pew Research Center-ის გლობალურ ანალიზში.**

კვლევის მიხედვით: მსოფლიოს 106 ქვეყნიდან 46-ში 18-დან 39 წლამდე ადამიანების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ მისთვის ძალიან მნიშვნელოვანია რელიგია, ხოლო 40 წელს ზემოთ გამოკითხულებში ეს მაჩვენებელი გაცილებით დაბალია.

საქართველოში კი ახალგაზრდებში რელიგიურობის მაჩვენებელი 8 პროცენტით მეტია 40 წელს გადაცილებული ადამიანების რელიგიურობის მაჩვენებელზე.



# გერმანელების თითქმის ნახევარს სურს, რომ მერკელმა თანამდებობა დატოვოს

**ავტორიტეტული კვლევითი ორგანიზაცია YouGov-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოკითხული გერმანელების 43%-ს სურს, რომ გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა თანამდებობა დატოვოს.** ამავე დროს, გამოკითხულთა 42%-ს სურს, რომ მერკელი თანამდებობაზე დარჩეს, ხოლო 15%-ს კითხვაზე პასუხი არ აქვს.

# იტალიის შს მინისტრი: რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები უსარგებლო და საზიანოა

**იტალიის შს მინისტრ მატეო სალვინის თქმით, ბრიუსელის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების გახანგრძლივება ნაჩქარევი იყო.**



სალვინის განცხადებით, რუსეთი, იტალია და ევროკავშირი ერთმანეთს უნდა ესაუბრებოდნენ, თანამშრომლობდნენ ეკონომიკისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში. **„ჩვენ მზად ვართ, სიტყვებიდან საქმეზე გადავიდეთ, თუმცა ჯერჯერობით მარტონი ვართ ევროპაში ამ საკითხზე“**, — განაცხადა მატეო სალვინიმ

## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.

ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.

გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.

ტელ: 599-722-138; 247-58-83
მის.: წერეთლის №142, I სართ.
კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი

საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge

სარედაქციო კოლეგია
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894